


იუსტიციის



სამართლის
კონსტიტუციის
ბაზისებზე

სამართლის
„ბაზისებზე“
მედიაციები

სამართლებრივი
სამართლებრივი
ბიბლიოთეკა

სამართლებრივი მედიაციის კონსტიტუციის

სამართლებრივი მედიაციის

სამართლებრივი მედიაციის

სამართლებრივი მედიაციის

სამართლებრივი მედიაციის

სამართლებრივი მედიაციის

სამართლებრივი მედიაციის

სამართლებრივი
სამართლებრივი
სამართლებრივი

სამართლებრივი
სამართლებრივი
სამართლებრივი

სამართლებრივი
სამართლებრივი
სამართლებრივი



სახიჩვი

ახალი აგებები

უნიკალური ხელნაწერი
რუსტაპირირებულია 6

ვინ სთხოვდა შალვა ღაღინას
საქართველოს მფობრას 7

ქართული ხელნაწერები – „იუნესკოს“
წუსსაში! 8

ქიქელანჯელოს ავტოკოორტრები
ნამდვილია! 9

ედიღრულ თრაკიულ აკლამას
მპარცველის ხელი არ უმხმობა 11

**ქიქონა-განათუქიუჯღებელი ბიძონის
ქიქონიანი**
რუსეთის იმპერიასთან მობარა

უკანასკნელი ქართული მფუ ბრიბოლ I 12

საქიქუელს ელოღები
ზეკურნი დღვანი – საქართველოს
ღირსების მფრობლები 18

ქიქონი ქიქონი
რეკავ ბაბაუვილის „ამონი სული და
მგებნარე კალამი“ 26

ქიქონი მობიბი უსოთში
ქართული მობრანტები ფრანგულ
ჯარში 34

ღებნადღ ქცეული სინამდვილე 38

თონისის ისოქი
კველი თბილისის ღაკარგული ხეღები 42



48



53



56



62



64



72



74



78

სახჩქვი

| | | | |
|--|----|--|----|
| ტიხანაბი როგორი იყო იოსებ სტალინი გარემოებულად | 48 | ისტორიის სიუჟეტობანი მარკო პოლო – უდიდესი მკვლევარი თუ მატყუარა? | 64 |
| ჩვენებუი უსოილები სმები შალიაპინის ქართველობაზე | 52 | მსოფიოს ხანები ბრენლანდის მცხოვრებნი | 72 |
| ქაითუი ბენიელები გენერალი ბიორგი პრისტავი – თავრისის აღების გმირი | 53 | ბიხანის ისტორია როგორ „გაპარსოთ“ მილიონები | 74 |
| ბათოსოვა მკობ, სახელად რამაზ ჩხიკვაძე! | 56 | ქიხიტი მერაბ კოკრაშვილი: განა შეიძლება წარსულის გარეშე არსებობდე? | 78 |
| სივიჩისათვის სათუაბთან როგორ შეიქმნა პირველი დამფრლობა დღეამიწაზე | 62 | „ისტორიანი“ ბუჟუბისთვის 500 ვაჭტი ისტორიიდან | 82 |
| | | სკანვორდი | 90 |

ხელახლობის სპეხი

„დიადი!“ — სტალინის რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ამკობდნენ ამ ეპითეტით საბჭოთა მოქალაქეები. მეტიც, თანამედროვე ისტორიკოსებმა ორმოცდაათზე მეტი სახოტბო სიტყვათშეხამება მოძებნეს, რომლითაც სტალინის მიმართედნენ: საბჭოთა ხალხის მამა, დიდი ბელადი, დიდი მხედართმთავარი, ნაცადი ლენინელი, პარტიის გენიალური ბელადი, დიდი სტრატეგი, ჩვენი მასწავლებელი, კრისტალურად ნათელი გონება, ბრძენი, ფოლადი და სხვ. მისდამი მიძღვნილ წიგნებში ხშირად ამოიკითხავდით: „ჩვენ მივეყვებით სტალინს, როგორც ლენინს, ველაპარაკებით სტალინს, როგორც ლენინს, მან იცის ყველა ჩვენი ფიქრი, იგი ჩვენთვის ზრუნავს“. საბჭოთა კავშირში 7 ქალაქი, 45 რაიონი, 35 სოფელი, ასეულობით ქუჩა ატარებდა სტალინის სახელს. დიდების შარავანდედით შემოსილი საბჭოთა ბელადი როგორი იყო რეალურად, ამაზე მოგითხრობთ ჟურნალის წინამდებარე ნომერში. ეს აღწერილობა ჟანდარმერიის მიერ ჩატარებულ დათვალიერებაზე დაყრდნობითაა მოცემული. როგორც ცნობილია, მსჯავრდადებულის დაპატიმრების შემდეგ ადგენდნენ საგანგებო ოქმს, რომელშიც შექპონდათ მისი ფიზიკური აღწერილობა. ასეთი დოკუმენტი შეიქმნა 1902 წელს სტალინის დაპატიმრების შემდეგ. აღმოჩნდა, რომ დიდი ბელადი სულაც არ ყოფილა „დიდი“. მისი სიმაღლე 161 სანტიმეტრი გახლდათ. მარცხენა ფეხზე მეორე და მესამე თითები შეზრდილი ჰქონია... სტატიაში სტალინის ფიზიკურ მონაცემებზე ბევრ სხვა საინტერესო დეტალს ამოიკითხავთ.

ასევე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ მასალა „რუსეთის იმპერიასთან მეომარი უკანასკნელი ქართველი მეფე გრიგოლ I“. დღემდე რუსეთის საიმპერიო და საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიიჩნევდნენ, რომ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე იყო გიორგი XII. სტატიაში წამოყენებულია სათანადოდ არგუმენტირებული მოსაზრება, რომ ქართლ-კახეთის ბოლო და იმედროულად უკანასკნელი ქართველი მეფე იყო ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ერეკლე II-ის შვილთაშვილი, გიორგი XII-ის შვილიშვილი, იოანე ბატონიშვილის ვაჟი გრიგოლი (1789-1830).



დიდი ბელადი სულაც არ ყოფილა „დიდი“. მისი სიმაღლე 161 სანტიმეტრი გახლდათ...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რუზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამომწერი სთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91



უნიკალური ხელნაწერი რესტავრირებულია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცნობით, რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიაში უნიკალური ხელნაწერის, „ეფრემ ასური და ლავსაიკონის“ რესტავრაცია დასრულდა. მოგვსენებათ, ლავსაიკონი უდაბნოში მოღვაწე წმინდა მამათა ცხოვრების აღწერაა.

საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცული, XVIII საუკუნის ხელნაწერი წიგნის აღდგენას შეეწაობა მეთი დასჭირდა.

1767 წლით დათარიღებული ხელნაწერი წიგნის ზომა საკმაოდ დიდია — 47,5სმX35,7სმ, 222 ქაღალდის ფურცლისაგან შედგება და ცხრა კილოგრამს იწონის. ტყავგადაკრული, ტვიფრული ხის ყდა დაზიანებული იყო. წიგნის ძირითადი ტექსტი ნუსხურით, სათაურები და თავსოები კი ასომთავრულითა და სინგურით არის შესრულებული.

ხელნაწერს ჩაუტარდა დეზინფექცია, აღდგა ფურცლების ნაკლები ადგილები, გამაგრდა და გამკვეთრდა ნაწერი, აიკინდა და ჩაისვა ახალი ხისა და ტყავის ყდაში. ძველი ყდა კი რესტავრატორებმა სათანადოდ დაამუშავეს, აღადგინეს და ხელნაწერს დაურთეს.

ხელნაწერი შედგება სამი წიგნისგან. პირველ წიგნში მოთავსებულია: „ღირსისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა ეპისტოლე იოანეს მიმართ მონაზონთა მოთმინებისთვის“ და სწავ-

ლებანი: „სათნობისათვის სწავლანი ათნი“, „სიტყუანი მოღვაწეობისნი“, „მართლისა ცხოვრებისათვის“ და სხვ. (სულ 18 სწავლება).

მეორე წიგნში შესულია: „წმინდანთა შორის მამისა ჩუენისა ეფრემისი სიტყვაი მოღვაწეობისნი სრულყოფისათვის მონაზონისა შრომასა შინა...“ და სწავლებანი: „შიშისათვის ღვთისა“, „უშიშროებისათვის“, „სიყუარულისათვის“ და სხვ. (სულ 49 სწავლება). ორმოცდამეცხრეა „ანდრძი წმინდანთა შორის მამისა ჩუენისა ეფრემ ასურის“.

მესამე წიგნშია ლავსაიკონი. „ამას წიგნსა შინა წერილ არიან სათნობითნი მოღვაწეობანი და საკვირველნი ცხოვრებისა წარმატებანი სანატრელთა წმინდა მამათა პატიოსანთა და განშორებულთა უდაბნოს“. ლავსაიკონში შესულია აგრეთვე 80 სწავლებანი.

ხელნაწერი გადაუწერია ჯვრის საყდრის დეკანოზ იოანეს, რომელიც მეფე ერეკლე II-ისა და დედოფალ დარეჯანის მოძღვარი იყო.

ხელნაწერი არქივში 1923 წელს, შიომღვიმის მონასტრიდან შეიტანეს.

ეფრემ ასური (306-373) სირიელი პოეტი, მწერალი და საეკლესიო მოღვაწე იყო. მისი თხზულებები განსაკუთრებით პოპულარული იყო ქრისტიანულ აღმოსავლეთში, კერძოდ, საქართველოში. მის ნაწარმოებს X საუკუნიდან თარგმნიდნენ და სწავლობდნენ. ეფრემ ასურის ნაწარმოებების მთარგმნელთა შორის იყვნენ ექვთიმე მთაწმინდელი და ეფრემ მცირე (XI საუკუნის II ნახევარი).

ვინ სთხოვდა შალვა დადიანს საქართველოს მეფობას

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული დოკუმენტების ხელახალი დამუშავებისას სპეციალისტებმა მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებლის, მწერლის, დრამატურგის, რეჟისორის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის ცხოვრების შესახებ ახალ დეტალებსა და დოკუმენტებს მიაკვლიეს.

გაირკვა, რომ შალვა დადიანი 14 წლის ასაკში გამოსცემდა საყმაწვილო ხელნაწერ ჟურნალ „მოზარდს“. მისი გამოცემა 1888 წელს დაწყებული და ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. მუზეუმში ჟურნალის სულ 80 ეგზემპლარია დაცული.

სპეციალისტებმა შალვა დადიანის არქივზე მუშაობისას უფრო მნიშვნელოვან ექსპონატებსაც მიაკვლიეს — მის მიერ შესრულებულ დღემდე უცნობ სასცენო ესკიზებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წერილი, რომლის მიხედვითაც სოციალისტ-ფედერალისტები შალვა დადიანს საქართველოს მეფობას სთხო-




შალვა დადიანი

დნენ, თუმცა მან ეს ხუმრობად აღიქვა და ამით თავიდან აიცილა მძიმე ტვირთი.

შალვა დადიანი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკოლოზ დადიანის ოჯახში დაიბადა. განათლება მიიღო შინ მოწვეული მასწავლებლების ხელმძღვანელობით. ადრეული სიჭაბუკის წლებში გაიტაცა სოციალურმა და პატრიოტულმა იდეებმა.

1893 წლიდან შალვა დადიანმა მსახიობობა დაიწყო და შემდგომში ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილთან იღვწოდა ქუთაისის თეატრში. 1908 წელს ჩამოაყალიბა „მოდრაჟი დასი“, რომელიც რევოლუციურ სპექტაკლებს დგამდა საქართველოს სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე ბაქოსა და ნოვოროსიისკში. მეფის ცენზურის აკრძალვის მიუხედავად, დასმა პირველმა დადგა მაქსიმ გორკის პიესა „უკანასკნელი“.

შალვა დადიანი კომედიური ჟანრის ფუძემდებელია ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. მის პიესებში მხილებულია საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმის,



შალვა დადიანის ნახატის ესკიზი



სხედან: პეტრე ქავთარაძე, შალა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე.
დგანან: სანდრო შანშიაშვილი, ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე.

მლიქვნელობისა და თვალთმაქცობის გადმონაშთები. ის ასევე ავტორია პირველი ისტორიული რომანისა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში „გიორგი რუსი“.

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის არქივში აღმოჩენილი დოკუმენტებიდან ერთ-ერთი უმნიშ-

ვნელოვანესი შალვა დადიანის პირადი ჩანაწერებია, რომელიც მკრთალი ფანქრითაა შესრულებული და სადაც ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად სტალინთან და ბერიასთან ახლო მეგობრობისა, შალვა დადიანს საბჭოთა რეჟიმში მაინც ავიწროებდა.

6060 ჯავახიძე

ქართული ხელნაწერები – „იუნესკოს“ ნუსხაში!

წლეულს ქართული ხელნაწერები „იუნესკოს“ მსოფლიო ხელნაწერი ძეგლების დოკუმენტურ ნუსხაში შევიდა. იუნესკოს პროგრამას „მსოფლიო მემკვიდრეობა“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტი ივლისში წარუდგინა. 500-მდე ქართული ხელნაწერი დოკუმენტური მემკვიდრეობის შვიდ ახალ ძეგლს შორის მოხვდა. კოლექცია IX-XV საუკუნეების ბიზანტიურ-ქართულ ურთიერთობებს ასახავს. ნუსხაში შესულია ბიზანტიური ძეგლების უნიკალური თარგმანები, ზედდართული ქართული კომენტარები და სხვა შინაარსის ძეგლები. მათ შორის

არის თარგმანები, რომლის დედნები აღარ არსებობს და მეცნიერები მათ მხოლოდ ქართული წყაროების მიხედვით იკვლევენ.

ქართული წერილობითი წყაროების გვერდით „იუნესკოს“ რექსტრს დაემატა აშშ-ის, საფრანგეთის, ყაზახეთის, პორტუგალიის, სომხეთისა და ანგოლის დოკუმენტური ძეგლებიც, თუმცა მათ შორის ქართული კოლექცია ყველაზე ძველია.


იუნესკოს პროგრამა „მსოფლიო მემკვიდრეობის“ რექსტრში სულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 245 ხელნაწერი ძეგლია შესული.

მიქელანჯელოს ავტოპორტრეები ნამდვილია!

ხელოვნებათმცოდნეებმა უკვე დაადასტურეს, რომ ავტოპორტრეტი ნამდვილად დიდი შემოქმედის ნახელაუია. წრიული ფორმის ბარელიეფი, რომელიც თეთრი მარმარილოსგან არის დამზადებული, მდიდარი ტოსკანური ოჯახის კერძო კოლექციაში ინახება. ხელოვნებათმცოდნეებმა მხოლოდ ახლახან დაადასტურეს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ ჯეიმს ბეკის მიერ მის მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ მიქელანჯელომ ეს ავტოპორტრეტი 1545 წელს შექმნა.

დიდ ოსტატს იმ წელს 70 წელი შეუსრულდა და უკვე იცნობდნენ მის შედეგებს: ფრესკას „საშინელი სამსჯავრო“, დავითის ქანდაკებასა და „ქრისტეს დატირებას“, რომელიც დიადი მოქანდაკის ერთადერთი ხელმოწერილი ქმნილებაა.

საჯაროდ ბარელიეფი 2005 წლიდან იყო გამოფენილი, რამდენიმე ხნის წინ კი მისი შესწავლა იტალიის კულტურის სამინისტროს თანამშრომელმა, ისტორიკოსმა კლაუდიო სტრინატიმ ითავა. სტრინატი მიიჩნევს, რომ მიქელანჯელომ ავტოპორტრეტის შექმნა პაპ იუ-



მიქელანჯელოს ავტოპორტრეტი

ლიუს II-ის აკლდამაზე მუშაობის დროს დაიწყო. აკლდამა უნდა ყოფილიყო სამდონიანი მონუმენტური ნაკეთობა ადამიანის ნატურალური ზომის 40 ქანდაკებით. თუმცა სამუშაოს დაწყებიდან მალევე პაპმა მიქელანჯელოს ჯერ სიქსტეს კაპელას ჭერის მოხატვა სთხოვა...

იულიუს II 1513 წელს გარდაიცვალა და წმინდა პეტრეს ტაძარში დაკრძალეს, თუმცა მიქელანჯელო მისი აკლდამისთვის გათვალისწინებულ ფიგურებზე მუშაობას 1545 წლამდე განაგრძობდა. საბოლოოდ, აკლდამასან პიეტრო ინ ვინკოლის ბაზილიკაში აიგო. სტრინატი ამტკიცებს, რომ მიქელანჯელო

ავტოპორტრეტს სწორედ ამ კომპლექსისთვის ქმნიდა, თუმცა შემდეგ რატომღაც გადაიფიქრა და ნამუშევარი პიზაში ერთ-ერთ ოჯახს უსახსოვრა, რაც XVIII საუკუნის დოკუმენტებით დასტურდება. პიზის უნივერსიტეტის მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ტონდოსა (მრგვალი ნახატი ან ბარელიეფი) და აკლდამის მასალა ერთი და იმავე წარმოშობის მარმარილოა. აქამდე ხელოვნებათმცოდნეებს ძირითადად ის ფაქტი ამუხრუჭებდათ, რომ მიქელანჯელოს გვიანი ნამუშევრები, როგორც წესი, ცოტათი დაუშთაურებელია. ბოლო ფაქტებმა ბეკის მოსაზრება განამტკიცა.

მომზადებულია

„ესემირნაია ისტორიის“ მიხედვით

იულიუს II-ის აკლდამა



მდიდრულ თრაკიულ აკლდამას მპარსველის ხელი არ შეხებია

ბულგარეთის ჩრდილოეთში, ქალაქ ოპაკას მახლობლად მდებარე ყორღანების კომპლექსში მდიდრული თრაკიული აკლდამა აღმოაჩინეს, რომელსაც მპარცველის ხელი არ შეხებია. მასში ძვ.წ. II საუკუნეში კრემირებული დიდებულია დაკრძალული. არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელს, პოპოვოს ისტორიული მუზეუმის თანამშრომელ ნიკოლარუსევს მიაჩნია, რომ ეს, ალბათ, ერთ-ერთი უკანასკნელი თრაკიული სამარხია. ბულგარეთში თრაკიული აკლდამები სულ უფრო იშვიათად გვხვდება და მათი უდიდესი უმრავლესობა გაძარცვულია. ამ კომპლექსის მახლობლად ორი უძველესი დასახლება მდებარეობდა და სავარაუდოდ, ამ სასაფლაოთი სწორედ აქ მცხოვრებნი სარგებლობდნენ.

აკლდამაში შესანიშნავი არტეფაქტები აღმოჩნდა: გვირგვინის ექვსი კილიტა (ოქროს ფურცელი), ოქროსა და ბრინჯაოს სამკაული, კურამიკული ნაკეთობები, კოსმეტიკური ჭურჭელი, რომელიც მინისა და ბრინჯაოსგანაა დამზადებული. მაგრამ უნიკალური აღმოჩენა ე.წ ბალზამარიუმია — ადამიანის სხეულის ფორმის მომცრო კონტეინერი, რომელიც კეთილსურნელებათა შესანახად იყო გათვალისწინებული. „ეს ფუფუნების საგნებია, — ამბობს რუსევი, — დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ისინი ბულგარეთის ტერიტორიაზე არ არის წარმოებული ანუ იმპორტირებულია“.

novinite.com-ის მიხედვით



არტეფაქტი



ბალზამარიუმია — კეთილსურნელებათა შესანახი



talizi

თქვენი გულანერგვის ცენტრი

ტაშქანტის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE

რუსეთის იმპერიასთან მეომარი უკანასკნელი ქართველი მეფე გრიგოლ I

რუსეთის საიმპერიო და საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფედ გიორგი XII მიიჩნეოდა.

პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის მონოგრაფიაში „გრიგოლ I – უკანასკნელი ქართველი მეფე“ (თბილისი, 2008 წ.) წამოყენებულია სათანადოდ არეუმენტირებული მოსაზრება, რომ ქართლ-კახეთის ბოლო და იმედგარეულად უკანასკნელი ქართველი მეფე იყო ბაგრატონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, მეფე ერეკლე II-ის შვილითაშვილი, მეფე გიორგი XII-ის შვილითაშვილი, უფლისწულ იოანეს ერთადერთი ვაჟი გრიგოლი (1789-1830 წწ.).

გთავაზობთ ნიკო ჯავახიშვილის სტატიას, რომელშიც მოკლედ არის მოთხრობილი გრიგოლ ბაგრატონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.



გრიგოლი

გრიგოლ ბაგრატონის ავტოგრაფი

ქართული სახელმწიფოებრიობა სათავეს ათასწლეულთა სიღრმიდან იღებს.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერატორებმა, კერძოდ, ჯერ პავლე I-მა, ხოლო შემდეგ მისმა ვაჟმა ალექსანდრე I-მა, ხელი მოაწერეს მანიფესტებს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ. ამ გადაწყვეტილებით ისინი საქართველოს ისტორიაში შევიდნენ როგორც პირველი დამპყრობლები, რომელთაც ბაგრატონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის წინამძღოლობით არსებული ქართული სახელმწიფოებრიობის ძირფესვიანად მოსპობა, მისი პოლიტიკური სახელის სამუდამოდ წაშლა სცადეს. ისტორიიდან ცნობილია სხვა არანაკლებ სასტიკ დამპყრობელთა სახელები, რომლებსაც შესაძლოა იგივე სურდათ,

რაც რუს იმპერატორებს, მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობის ამა თუ იმ ფორმით არსებობას მაინც ეგუებოდნენ.

რუსეთის იმპერატორის მმართველობის ქვეშ იძულებით მოქცეული ქართველი ერის ჯანსაღ ნაწილს კვლავ ბაგრატონთა გამეფება სურდა. ამ გვარის სახით ქართველობას ეროვნული სახელმწიფოებრიობის ცოცხალი სიმბოლო ეგულებოდა. ამის გამო, რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქართული სამეფო ოჯახის წევრთა უმეტესობა სანქტ-პეტერბურგში გადაასახლეს.

რუსეთის საიმპერიო ადმინისტრაცია საქართველოში ისე იქცეოდა, როგორც დამპყრობელი დაპყრობილ ქვეყანაში. ამის გამო ქართველი ერის უკმაყოფილება თანდათან იმატებდა.

ყოველივე ზემოთქმულმა და განსაკუთრებით, ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამას მოჰყვა სახალხო ამბოხება კახეთში (1802 წ.) და აჯანყება მთიულეთში (1804 წ.), რომლებიც რუსეთის ადმინისტრაციამ სისხლში ჩაახშო.

1812 წლის 31 იანვრიდან კახეთი ახალი აჯანყების ალში გაეხვია. იმხანად საქართველოს განაგებდა რუსეთის იმპერატორის მიერ „მთავარსარდლად“ დანიშნული გენერალი, იტალიური წარმომავლობის მარკიზი ფილიპ ოსიპის ძე პაულუჩი.

მოსახლეობის უკმაყოფილებას კარგად გამოხატავს აჯანყებულთა მოხსენების შემდეგი სიტყვები: „ერთობით ვსწერთ ჩვენს მწუხარებას, რომელნიცა არ შესწრებთან წინაპარნი მამანი და პაპანი ჩვენნი ამისთანა მწუხარებას“.

აჯანყებაში ფაქტობრივად მისი დაწყებისთანავე ჩაება მეფე ერეკლე II-ის შვილთაშვილი, 23 წლის ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე (1789-1830 წწ.). იგი წარმოსადეგი, აზოვანი ვაჟკაცი ყოფილა.

გრიგოლი ორ თავდასა და ორ აზნაურთან ერთად შეეცადა, აჯანყების ალი ქართლშიც აებრილებინა. 9 თებერვალს შიდა ქართლის მთიანეთში აჯანყებამ იფეთქა. მთიულეებმა და ფშავ-ხევსურებმა ღუშეთი და ფასანაური აიღეს. მათ მოციქულები გაუგზავნეს გუდამაყრელებს, მოხვევებს და აჯანყებულთა დროშის ქვეშ დადგომა შესთავაზეს.

ქართველ მთიელთა მიერ სამხედრო გზის ჩაკეტვამ საქართველოში მყოფ რუსებს დიდი საშიშროება შეუქმნა. აჯანყებულები იმდენად გაძლიერდნენ, რომ ავჭალის მიდამოებშიც შემოადწიეს და თბილისში მყოფი რუსული ადმინისტრაცია რეალური საფრთხის წინაშე დააყენეს.

აჯანყებულებმა, რომელთა შორისაც კახეთის თავადაზნაურობის უმრავლესობა აღმოჩნდა, დამპყრობელთაგან გაათავისუფლეს თითქმის მთელი კახეთი. რუსთა გარნიზონები მხოლოდ თელავსა და ყარაღაჯში იდგა. აჯანყებულთა მოქმედების რაიონი შედარებით მცირე იყო ქართლში, სადაც ის, ფაქტობრივად, არ გაცვილებია არაგვის ხეობას. მართალია, ქართლელი გლეხობა აჯანყებას თანაუგრძნობდა, მაგრამ თავადაზნაურობის უმეტესობამ მას მხარი არ დაუჭირა. მათგან

აჯანყებაში ჩაებნენ იოსებ არაგვის ერისთავი და სვიმონ მაჩაბელი.

თებერვლის შუა რიცხვებში გრიგოლ ბატონიშვილი თავის მომხრეებთან ერთად, ქართლიდან კახეთში გადავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებულებს, რომლებსაც როგორც თვითონ აღნიშნავდნენ, „მეფის მეტი არაფერი აკლდათ“.

პატარა კახის შთამომავლის კახეთში გამოჩენა აჯანყებულთათვის უდიდეს სტიმულად იქცა. მათ გრიგოლი თავიანთ წინამძღოლად მიიღეს და მეფედ გამოაცხადეს, ხოლო მისი სახელი, როგორც მეფისა — ეკლესია-მონასტრებში იხსენიებოდა. ყოველივე ამას აღიარებდა თვით გენერალი პაულუჩი რუსეთის ხელისუფლებისთვის გაგზავნილ საიდუმლო წერილებში, რომლებიც შემდეგ „აქტების“ მრავალტომეულში გამოქვეყნდა.

ვინაიდან ამ სახელის მქონე მეფე ბაგრატიონთა დინასტიაში მანამდე არ ყოფილა, იგი გრიგოლ I-ად უნდა მოეხსენიოთ. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ქართველ მეფეთა უდიდეს უმრავლესობას რიგითი ნომერი ისტორიკოსებმა მიანიჭეს.

დამპყრობელთაგან გაათავისუფლებულ კახეთში არსებულ ვითარებას ალექსანდრე ფრონელი ასე აგვიწერს: „1812 წლის თებერვლის შუა რიცხვებში შიდა და გარე კახეთი თითქმის გასუფთავდა რუსთა მხედრობისგან, მათი მართვა-გამგეობა ხუხულასავით დაიფუშა ერთი შეებერვით... კახეთმა ძველებურად,



უფლისწული
იოანე ბაგრატიონი



მარკიზი ფილიპ პაულუჩი

ქართულად ამოისუნთქა და ქართულადვე დაიწყო ცხოვრება, ფიქრიანობა და აზროვნება. გულშემზარავი ჭყვილი საგზებეკუციო კამანდებისა აღარ გაისმოდა „კურთხეულ კახეთის“ ველ-მინდვრებში, სოფლიდან სოფლად აღარ დაძმუნულებდნენ სამგლე იასაულები უნტერაფიცრებით საბეგრო ურმების მოსაკრეფად. ერთის სიტყვით, კახეთი მხიარულობდა, ამაყობდა გამარჯვებით“.

გრიგოლ I-ის ენერგიული მოღვაწეობის წყალობით, აჯანყებულებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. გრიგოლის სამეფო ხელისუფლება ვრცელდებოდა კახეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე (რუსული გარნიზონები მხოლოდ თელავსა და ყარაღაჯში შემორჩნენ) და ქართლის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე (არაგვის ხეობაზე).

გრიგოლ ბაგრატიონის გამეფებით გამოწვეული ქართველთა სიხარული გაიზიარეს თავისუფლებისმოყვარე ჩრდილოეთკავკასიელებმა, კერძოდ, დაღესტნელებმა და თავაურელმა ოსებმა, ასევე თურქმანული მოდგმის ტომებმა — ბორჩალოელებმა და ყაზახელებმა, რომლებიც ქართველ მეფეებს ტრადიციულად ერთგულად ემსახურებოდნენ. ათასზე მეტი დაღესტნელი მეომარი აჯანყებულთა ლაშქარს შეუერთდა.

გრიგოლ I-ის წინამძღოლობით აჯანყებულნი რიცხობრივად უპირატეს და უკეთესად აღჭურვილ მტერს არ ეპუებოდნენ. მეფის ასეთმა ენერგიულმა მოღვაწეობამ და კახეთის აჯანყების საერთოკავკასიურ ამბოხებად

გადაქცევის საფრთხემ რუსეთის ხელისუფლება აიძულა, გადამჭრელი ზომებისთვის მიემართათ.

პირველ მარტს, სოფელ ჩუმლაყთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში აჯანყებულთა ოთხიათასკაციანი ლაშქარი რუსთა ჭარბ სამხედრო ძალას შეერკინა.

ბაგრატ ბატონიშვილი მოგვითხრობს: „მუნ იქმნა ბრძოლა ძლიერი, მოსწყვიტნეს მრავალნი რუსნი“.

საძულველ დამპყრობელთაგან სამშობლოს განთავისუფლების სურვილით გულანთებული გრიგოლ I მოსახლეობას მოუწოდებდა: „გამთენიისას კვლავ განახლდება ბრძოლა და ღმერთი შეგვეწყვა. სანამ ერთი კახელი ცოცხალია, კახეთი უკან არ დაიხვეს“.

აჯანყებულებს ბრძოლის გაგრძელება გაუჭირდათ, ვინაიდან საგარეო დახმარება შეფერხდა, ხოლო ამის პარალელურად, რეალური საშიშროება შეიქმნა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მდგარი რუსთა ჯარი საქართველოში გადმოვიდოდა.

აჯანყების გამარჯვებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა დარიალის კარიბჭის ჩაკეტვას. ამ სტრატეგიული ამოცანის უზრუნველსაყოფად აჯანყებულებმა სცადეს გადაბირებინათ ხევის მოურავი გაბრიელ ყაზბეგი (ჩოფიკაშვილი). მისი მხარდაჭერის მოსაპოვებლად მუამბოხეებმა გაბრიელს უდიდესი წყალობა აღუთქვეს, რასაც ამ უკანასკნელმა ისევ რუსული ჩინ-მედლები არჩია.

მარტის დასაწყისშივე, თიანეთის მახლობლად, აჯანყებულებმა რუსებთან მორიგი ბრძოლა გამართეს. აჯანყებულნი თავდადებით იბრძოდნენ, „ხიშტებს ზედ აწყდებოდნენ, კლდეებზე ცვიოდნენ, თავს იხოცავდნენ და ტყვედ კი არ ბარდებოდნენ“.

მტრის ჭარბი ძალების ომში ჩაბმის მიუხედავად, მეფე გრიგოლი ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებდა. მისმა მგზნებარე მოწოდებებმა გრიგოლის დეენა და შეპყრობა დააჩქარა.


გაჭირვების ჟამს, გრიგოლ I-მა, თავის ერთგულ მხედრებთან ერთად, თავი დაღესტანში, ანწუხის თემში შეაფარა. იქ ბაგრატიონი ხელმწიფე სათანადო პატივით მიიღეს.

პაულუჩის საიდუმლო დავალებით, ანწუხში ჩასულმა ზაზა ანდრონიკაშვილმა თავისი ნათესავი გრიგოლი დაარწმუნა, რომ რუსებმა მას დაუხოცეს მშობლები, რომელთა საგლოვადაც კახეთში შემოიტყუა. ასე ვერაგულად ჩაიგდეს ხელში უკანასკნელი ქართველ-

ლი მეფე დამპყრობლებმა, რომლებმაც იგი 6 მარტს დაატუსაღეს და რუსეთში გაგზავნეს. აჯანყების პირველი ეტაპის ჩახშობა რუსებს ძვირად დაუჯდათ. ერთი თვის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლებში დამპყრობლებს დაედუბათ 1350 მეომარი, ხოლო 212 დაიჭრა. რუსთა 510 მეომარი ტყვედ ჩაყარდა. იმავდროულად, აჯანყებულებმა მტერს მატერიალური ზარალიც მიაყენეს. კერძოდ, რუსებმა დაკარგეს უამრავი ცხენი და დიდძალი სამხედ-


რო ქონება. ამასთანავე, აჯანყება ამით მაინც არ ჩამცხრა და აპრილიდან მან ახალი ძალით იფეთქა. რუსეთში გადასახლებული გრიგოლი ბოლომდე ქართველ მამულიშვილად დარჩა. მან ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. თავის შემოქმედებაში აკრიტიკებდა იმ ქართველებს, რომლებიც ცდილობდნენ, რუსებს დამსგავსებოდნენ. საყურადღებოა გრიგოლის პატრიოტული

ტყვეობაში მყოფმა გრიგოლმა სულიერი თავშესაფარი პოეზიაში პპოზა და ლექსების წერას შეუდგა. მისი ლექსები აღსავსეა კაეშნითა და სამშობლოს მონატრებით. გთავაზობთ ერთ-ერთი ლექსის ორ ფრაგმენტს გრიგოლ I-ის ხელნაწერთან ერთად:



ბედგრულსა შემთხვევას შეეხვდი მწარესა,
 მოაკლდი ქართლისა ტკბილსა არესა,
 სატრფოს, დედისა, ვ ელ მღმობარესა
 აწ ვიგლოვ ზერობილი მენივართ მხარესა,
 ერთვ ულთა თან ზრდილთა მოყვასად მხმარესა,
 ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლს ღვარესა;
 ესე სჯობს ვითხრიდე თვით სამარესა.

ჰსჯობდა მამულინთვის მოკვლა თავისა,
 მტრისგან არ მიმელო ფიცა ზავისა,
 ტყვეობით რა ვნახე, კიდე ავისა?
 ვმართებს, ემანო, ჩაცმა ჩემზედ შავისა,
 ჰსწუხდეთ, მცხეთის კერძო, სად დამფარესა!
 ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლს ღვარესა,
 ესე სჯობს ვითხრიდე თვით სამარესა.



ქ: **პილის ვაგრა:** ნაპირი აუღე 2
 მძვინვე ხაშახა: ხეხან ჯე 2
 ხილვ ჯავრ: ვაგრა 2
 მწიანს ვაგრა: მანათი 2
 მავრა ქაშრა: მხოვე 2
 ისრა ეხსა: მხოვე 2
 მინს მვენე: ვე თქნ ქენ 2
 პილა

პენს

ქ: **მეს ივარ:** ჯე ვენი 2
 ეს ვაგრა: ვაგრა 2
 ქახე პილა: მინ ხე 2
 მინ ვენს: ვაგრა მინს ჯე 2
 მინ მინს: სე მენ 2
 პილა

პენს

ქ: **ვაგრა მინ:** სე მენ ხე 2
 სე ვინ მინს: მინს მინს 2
 სე მინს ვინს: სე მინს 2
 მინს მინს: მინს მინს 2
 მინს სე მინს მინს მინს 2

გრიგოლ ბაგრატიონი ავტორია არაერთი მშვენიერი სატრფიალო ლექსისა. აი, რამდენიმე მათგანიც:

* * *

მაისის ვარდო, ნამით ცურეულო,
შაშვრავ, ზამბახო, სოსან რეულო,
ზიღფო კავებო, გარდათხეულო,
მწვანის კორდითა შენართეულო,
მშვიდლო, ქამანდო მოზიდებულო,
ისარო, გულსა განიდებულო
შენის მშვენიების ვინ თქვას ქებანი.

მზეო, იკმარე ჩემი ვნებანი,
ეს ჟამ გ ულისა უკურნებანი,
ერთხელ მადირსე შენთან ზღებანი,
მეცა ვიწოხო კოკრთა შენთა სურნელებანი,
მითი მომეცეს საღებუნებანი.

ვიცი მოკვდები, რას მატებ სულსა,
რად ვის დაუჭერ მაგ ტანსა მკულსა,
რათ არ მიბრალებ ისარ ცემულსა,
სადაფის კარსა არ ჰყოფ ღებულსა,
ცეცხლს არ დამიშრეტ აცანთებულსა.
შავმან რათ სჯამოს შენი ტრფობანი.

* * *

ბუღბულო, ტკბილო, შაშვრავ, სოსანო,
კავ, ზიღფო, ნაზო, ნარგიზოსანო,
ლოკაზედ ხალო აღერსოსანო,
ბანოვანთ შორის უტურფესანო.

* * *

მზის უმჯობესო, მშვენიერო, ჰაერთა მნათო,
ბანოვანთ დისკო, კეკელაო, ნარნართა თაო,
მანგ-მოსილებით მოხდომილო, რიდ მოსართაო,
მელნისა ტბანო, განსხდომილნო, ზღვა
შესართაო.

და სატრფიალო ლექსები, რომელთა ავტორ-
რეაქცი და ცუდია ხელნაწერთა ეროვნულ
ცენტრში (იხ.: H-2130). აქ მოგვყავს რამდენ-
იმე ასეთი ნიმუში.

1830 წლის 22 სექტემბერს სანქტ-პეტერ-
ბურგში გარდაიცვალა მეფედყოფილი გრიგოლ
ბაგრატიონი, რომელიც იმხანად სულ 41 წლისა
იყო. დაკრძალეს წმინდა ალექსანდრე ნეველის
ლაერაში, სადაც ქართული სამეფო ოჯახის
არაერთი წარმომადგენელი განისვენებს.

ამრიგად, კახეთის 1812 წლის სახალხო
აჯანყების საწყის ეტაპზე, კერძოდ, 20 თებერ-
ვლიდან 6 მარტამდე ქართლ-კახეთის მნიშ-
ვნელოვან ნაწილში მეფობდა გრიგოლ I. იგი
იყო რუს ოკუპანტთა წინააღმდეგ მებრძოლი
ერთადერთი მეფე აღმოსავლეთ საქართველო-
ში, რომლის ლეგიტიმური უფლებები აღია-
რა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებ-
რძოლმა ქართველი ერის ღირსეულმა ნაწილ-
მა. მართალია, გრიგოლ I-ის მეფობა ორიო-
დე კვირაზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა, მაგ-
რამ ეს ფაქტი სამუდამოდ ჩაიწერა საქართვე-
ლოს ისტორიაში, როგორც ბაგრატიონთა დი-
ნასტიის ხელმძღვანელობით დარაზმული ქარ-
თველი ერის მოწინავე ნაწილის სამშობლოს
თავისუფლებისთვის თავგანწირული ბრძოლის
კიდევ ერთი, საუკეთესო მაგალითი.

რუსეთის საიმპერიო და შემდეგ საბჭოე-
რი ისტორიოგრაფია თავგამოდებით ცდი-
ლობდა (ხოლო თანამედროვე რუსი ისტორი-
კოსები და პოლიტოლოგები დღესაც ცდილო-
ბენ) დაენერგათ საგსებით მცდარი აზრი, ვი-
თომდაც „ქართველი მეფეები მუხლზე დაჩო-
ქილნი ემუდარებოდნენ რუს მონარქებს მათი
ქვეყნის შეერთებას და უკანასკნელმა მეფემ,
გიორგი XII-მ თავისი ნებით დაუთმო საკუ-
თარი სამშობლო რუსეთს“. სწორედ ამიტომ
იყო (და ამჟამადაც არის) მათთვის სრულიად
მიუღებელი, რომ უკანასკნელ ქართველ მე-
ფედ ელიარებინათ გრიგოლ I, რომელიც რუს
ოკუპანტებს იარაღით ხელში ებრძოდა.

სამაგიეროდ, რაც მიუღებელია დამპყრობ-
ლის იდეოლოგიისთვის, სწორედ ის არის ღირ-
სების საქმე ქართველი ერისთვის, რომელსაც
ბაგრატიონთა დინასტიიდან გამოსული უკა-
ნასკნელი მეფის — გრიგოლ I-ის მიერ რუს
ოკუპანტებთან წარმოებული ეროვნულ-გან-
მათავისუფლებელი ბრძოლიდან მეორასე
წლისთავზე კვლავაც რუსულ იმპერიალიზმთან
უხდება უთანასწორო ბრძოლა.

ნიკო ჯანაშიანი



ზეპური დედანი

სამართველოს ღიხსების მკვირვებები

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“, №10)

დედოფლები მეფეთა და მთავართა მეუღლეები, თანამეცხედრეები იყვნენ. სახელმწიფო სამართლის მიხედვით, დედოფალი აუცილებლად მეფური წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე ვერ შეძლებდა მის სადედოფლო ტახტზე დაბრძანებას. ამის ბრწყინვალე მაგალითია საქართველოს მეფე ლაშა-გიორგის (1213-1223 წწ.) რომანტიკული თავგადასავალი: ველისციხეში ყოფნისას მეფეს ერთი მშვენიერი გათხოვითი ქალი უნახავს. ჭაბუკი მეფე ისე მოხიბლულა უღამაზესი ქალით და ისე შეჰყვარებია, რომ ქმრისთვის ცოლი წაურთმევეა და თავისთან წაუყვანია. ამ ველისციხელი ქალისგან მას ვაჟიშვილიც კი შეეძინა, რომელსაც სახელად დავითი უწოდა (შემდგომში მეფე დავით VII ულუ). ქვეშევრდომისთვის გვირგვინაკურთხი ცოლის წართმევა სამეფო კარისთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა. შეწუხებუ-

ლი ვაზირები და ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლები ლაშა-გიორგისთან მივიდნენ და სთხოვეს, წამოგერილი ცოლი, მისი სატრფო, ისევ ქმრისთვის დაებრუნებინა. დიდი ელჩობა ახალგაზრდა მეფემ გადაჭრილი უარით გაისტუმრა. ველისციხელი ქალი მას თავის ცოლად მიაჩნდა და ეკლესიის მამათა დარიგებას არად აგდებდა. როცა ამ მუდარა-შეგონების გზით ვაზირები და ეკლესიის მესვეურნი ვერას გახდნენ, მაშინ მათ უკიდურეს გზას მიმართეს: სასახლეში მივიდნენ, ველისციხელი მანდილოსანი გამოიყვანეს, ისევ თავის ქმარს დაუბრუნეს და ჭაბუკი მეფე ამგვარად საყვარელ ქალს ჩამოაშორეს.

საერო და საეკლესიო ხელისუფლების მმართველ წრეებს იმედი ჰქონდათ, რომ ლაშა-გიორგი სატრფოს მალე დაივიწყებდა და კანონიერ ცოლს შეირთავდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა: რომანტიკოსმა მე-

ფემ თავის სიყვარულს ბოლომდე უერთგულა და ველისციხელი ქალის მოწინააღმდეგეთა გულის გასახეთქად, სიკვდილამდე უცოლოდ დარჩა.

პოლიტიკური ქორწინების ბრწყინვალე მაგალითია ლაშა-გიორგის ვაჟის, მეფის დავით ულუსა (1247-1270 წწ.) და მონღოლი ყაენის ქალიშვილის, ჯიგდა-ხათუნის შეუღლება, მაგრამ აქაც, ისევე როგორც უმეტეს შემთხვევაში, ჯიგდა ქრისტიანულ აღმსარებლობაზე გადმოდის, რასაც ადასტურებს აბელის ეკლესიის საქტიტორო წარწერა, სადაც მონღოლი ჯიგდა უკვე თამარ-ხათუნად მოიხსენიება და შეუღლესთან ერთად ეკლესიის მამულებლად გვევლინება.


უჩვეულოა, იმავე მეფე დავით ულუს მესამე ცოლის, გვანცა დედოფლის სიყვარულის ამბავი: რაჭის ერისთავის, კახაბერ კახაბერისძის ასული ავაგ ათაბაგის მეუღლე იყო. დავით ულუს გვანცა ავაგის დაკრძალვაზე უნახავს ბიჯნისში. ისტორიკოსი წერს, რომ მეფემ „იხილა ქმნულ კეთილი, ეტრფიალა და შემდგომად მცირედისა მოიყვანა იგი ცოლად და დედოფლად“. ამ ქორწინების შედეგად 1259 წელს დაიბადა შემდგომში თავდადებულად წოდებული დემეტრე II.

ჟამთააღმწერლის გადმოცემით, ერთ-ერთი დიდმოხელე, მესტუმრე ჯიქური, რომელიც დავით ულუს გარდაცვლილი მეუღლის, ჯიგდა-ხათუნის ერთგული იყო, ვერ შეეგუა გვანცას გვირგვინოსნობას და ინტრიგებს ხლართავდა. მეფეს იმდენად უყვარდა გვანცა დედოფალი, რომ მესტუმრე ჯიქურის ინტრიგების გამორკვევის შემდგომ, ბრძანება გასცა და იგი გაუსამართლებლად დაახრჩვეს მტკვარში.

1260-61 წლებში დავით ულუს მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების დროს გვანცა დედოფალი მცირეწლოვან ვაჟთან ერთად თავს ბიჯნისს აფარებდა, თუმცა მონღოლებმა საქართველოს დედოფლისა და უფლისწულის დატყვევება შეძლეს. მეფემ ამ მძიმე ვითარებიდან გამოსვლა და ტყვეების დახსნა ყაენთან შერიგებით სცადა. გვანცა დედოფალსა და ყრმა დიმიტრის ერთხანს ყურადღებას არ აკლებდნენ. ოჯახი უშვილო მონღოლმა დიდგვარონმა ქალმა შეიფარა, მან ქართველთა სტუმრობა „კარგად გამოსცადა“ და მალე დაფუძმძიმდა. მიუხედავად ამისა, გვანცა დედოფლისთვის მონღოლეთში ტყვეობა საბედისწერო აღმოჩნდა. იგი ყაენის ბრძანებით ზღვაში და-



მეფეთ
მეფეთ
ლაშა
გიორგი



მეფეთ
მეფეთ
დემეტრე II



დავით VII ულუს მონეტები

ახრჩვეს. ჟამთაღმწერელი ამ ტრაგიკული მოვლენის მთავარ დაძაბვასაც ასახელებს. ეს დედოფლის ქალიშვილი ზუაშაგია, რომელიც გვანცას პირველი ქმრისგან, ავად ათბავისგან ჰყავდა. ზუაშაგი ამ დროს მონღოლთა კარზე დაწინაურებული დიდმოხელის მეუღლე იყო. ქალიშვილმა, როგორც ჩანს, დედაზე შური იძია, ვერ აპატია მეორედ გათხოვება, რადგან ამის გამო დაობლებული დედასაც მოაშორეს და მონღოლეთში გაგზავნეს. მეორე მხრივ კი მომხდარი ფაქტი პოლიტიკური

თეიმურაზ I და დედოფალი ზორეშანი



ვითარებით იყო ნაკარნახები. მონღოლებს, როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო ტახტზე ქართველი დედოფალი ეზედმეტბოდათ. ამიტომ უცოლოდ დარჩენილ მეფეს მალევე შერთეს მონღოლი ქალი, სახელად ესუქნი.

ესუქნი მონღოლთა ერთ-ერთი უწარჩინებულესი ოჯახის, ჩინგიზ ყაენის საჭურველ-მტვირთველ ჭორმადანისა და ალთანა-ხათუნის ქალიშვილი იყო. მალე ესუქნი დედოფლის გარშემო მითქმა-მოთქმა დაიწყო. ჭორის მიხედვით, ბასილი მწიგნობართუხუცესმა დედოფლის სარეცელი გაიზიარა. ამ ჭორმა მეფის ყურამდეც მიაღწია. გაბრაზებულმა ხელმწიფემ ბასილი შუა ქალაქში ძელზე ჩამოახრჩო. დალატის ერთი მხარე სასტიკად დაისაჯა, თუმცა მეორეს, როგორც ჩანს, მეფის რისხვა არ შეხებია. საუარაუდოდ, დავითი დედოფალს მონღოლთა შიშით ვერ გაეყარა. არც ის არის გამორიცხული, გავრცელებული ხმა მეფეს უსაფუძვლო ჭორად მიეჩნია და იგი მხოლოდ ბასილი მწიგნობართუხუცესის წინააღმდეგ პოლიტიკური ანგარიშსწორების საბაბად გამოეყენებინა.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, ესუქნი დედოფალი დავით ულუს სიკვდილამდე მეფის თანამეცხედრე იყო. მეტიც, ჟამთაღმწერელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მოარული ხმებით, გვირგვინოსნის სიკვდილში დედოფლის ხელიც ერიაო. ბასილის მკვლელობით შეურაცხყოფილმა ესუქნი საქართველთა მეფე შურისძიების მიზნით მოწამლაო.

საქართველოს პოლიტიკურად დაქსაქსვის შემდეგ ისეც ხდებოდა, რომ ქორწინებისას სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მეფე და მომავალი დედოფალი რჯულს არ იცვლიდა. მაგალითად, როსტომ ქართლის მეფემ (1632-1658 წწ.) ქეთევან აბაშაშვილზე „ქრისტიანულ-მაჰმადიანურად“ იქორწინა.

დედოფალთა თანამეცხედრობა პოლიტიკურ თანამმართველობაშიც გამოიხატებოდა, მაგრამ დედოფლის ძალაუფლება მეფის სიძლიერეზე იყო დამოკიდებული. მაგალითისათვის ნესტან-დარეჯანი, იმერეთის დედოფალი: „თვითონ მეფეც იყო და დედოფალიცა, ბაგრატს არაფერი ეკითხებოდა“. იგი ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის (1625-1633 წწ.) და დედოფალ ზორეშანის ასული იყო. მას სამი მეუღლე ჰყავდა: ზურაბ არაგვის ერისთავი, იმერეთის მეფე ალექსანდრე III და ვახტანგ ჭუჭუნაშვილი. იმერეთში დედოფლობის დროს ნესტან-დარეჯანმა არნახული სისას-

დედოფალი ნესტან-დარეჯანი
და იმერეთის მეფე
ალექსანდრე III



ტივე გამოიჩინა. მან თავისი გერი, ბაგრატ IV ტახტიდან ჩამოაგდო, თვალები დასთხარა და ცოლიც წაართვა. უაღრესად პატივმოყვარე და დიდი ნებისყოფის ქალმა ქმრად ვახტანგ ბაგრატიონი შეირთო, რომელსაც ჭუჭუნიასშვილის ზედწოდება ჰქონდა. სამეფოს რეალურად დედოფალი განაგებდა, მაგრამ ნესტან-დარეჯანის ძალაუფლებამ დიდხანს ვერ გასტანა, იგი მალე შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

1668 წელს გათავზედებული დედოფალი ნათლულმა შუბით მოკლა.

ისეც მომხდარა, რომ ერთი დედოფალი რამდენიმე მეფე-მთავრის ცოლი ყოფილა. ქართლის დედოფალი მარიამ დადიანი ჯერ სიმონ გურიელის ცოლი იყო, მოგვიანებით ქართლის მეფე როსტომზე დაქორწინდა, მისი სიკვდილის შემდგომ მარიამი, შაჰ-აბას II-ის ბრძანებით თბილისის ციხეში გამოკე-



ტეს, 1658 წელს კი, ყაენის დაძალებით ცოლად შეირთო ვახტანგ შაჰნავაზმა, რომელსაც ორი ცოლი ესვა. მარიაში დიდი მოღვაწე იყო და მის ცოლად მოყვანას შაჰ-აბასიც ცდილობდა, თუმცა დედოფალმა თავის დასახსნელად ფანდი იხმარა, ჭაღარა თმა მოიკვეცა და გაუგზავნა, უკვე დაებრდიო.

არსებობს მარიაშის მიერ დამოუკიდებლად გაცემული მრავალი დოკუმენტიც. ისინი მოწმობენ, რომ მარიაშის რეალური უფლებები საგრძნობლად აღემატებოდა სხვა ქართველ

დედოფალთა ტრადიციულ უფლებებს და ზოგჯერ მეფის იურისდიქციასაც კი უტოლდება. მარიაში როსტომ მეფისგან დამოუკიდებლად ათარხნებს (საგადასახადო იმუნიტეტს ანიჭებს) თბილელსა და მისი სამწყვსოს ყმებს, ასევე უწესებს ალავერდელს საგადასახადო შეღავათებს, აახლებს ძველ სამეფო სიგელებს და სხვ. ეკლესიათა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით მრავალი შეწირულების სიგელი გაუცია მარიაშს სადედოფლო შემოსავლების ხარჯზეც. დედოფალი მარიაში დაახლოებუ-

ლი იყო ქართლის უმაღლეს სამღვდელთა-სთან, კარგად იცნობდა ეკლესიის საჭიროებებს და ქმედით დახმარებას არ აკლებდა მათ. მარიამის თაოსნობით აღადგინეს იმ დროისთვის ძლიერ დაზიანებული თბილისის სიონი, თემურ-ლენგის დროს შემუშავებული კვირაცხოვლის ეკლესია, სვეტიცხოვლის გუმბათი, ბოლნისის ეკლესია, განუახლებიათ რუისისა და ურბნისის ეკლესიები, ალავერდის ტაძარი, მოუხატავეთ წმინდა ესტატეს ეკლესია (ერთაწმინდაში). მარიამმა 1650 წელს თბილისში ჩამოსულ რუს მხატვარ ივანე დანილოვს მოახატვინა სიონი. სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარებიათ მცხეთაში, გრემში, ზაგემში, მარტყოფში, ზედაზენზე, სამებაში, ნინოწმინდაში და სხვ. მარიამ დედოფალი საუკეთესო წარმომადგენელია იმდროინდელი არისტოკრატი ქართველი ქალებისა, რომლებიც თავიანთ უპირველეს საქმედ მიიჩნევდნენ მწიგნობრობას, ქველმოქმედებასა და ეკლესიაზე ზრუნვას. ბერი ეგნატაშვილი იუწყება, რომ ასეთ საქმეებს მარიამ დედოფალი იმიტომ ახერხებდა, რომ „ედვა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველსა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან. იყო ყოველითა შემკული კეთილით, რომლის მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ ყოფილა“.

მარიამ დედოფალი, უკვე ასაკოვანი და ფრიად პატივცემული, აღარ მონაწილეობდა აქტიურად სახელმწიფო საქმეებში. მარიამმა თავის მესამე მეუღლეზე მეტხანს იცოცხლა. იგი გარდაიცვალა 1682 წელს.

განსხვავებული ფიგურა იყო დედოფალი ნესტან-დარეჯან ჭილაძე. მას ქმარმა საარაკოდ უერთგულა. მეუღლე კი სამეგრელოს ძლიერი მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) იყო. მომავალი დედოფალი მთავარმა ბიძის, გიორგი ლიპარტიანს წაართვა. არქანჯელო ლამბერტის სიტყვით: „მაშინ, როდესაც მთავარი, გატაცებული ლიპარტიანის ცოლის სიყვარულითა, ცდილობდა თავისი სურვილის დაკმაყოფილებას, სხვა მის ცოლს, დედოფალს, ეტრფივალბოდა და უსირცხვილოდ დაუახლოვდა. ეს იყო მისი ვეზირი, სახელად პაპუნა, იგი, ვითარცა მეორე პირი მეფის შემდეგ, ყოველივეს განაგებდა სახელმწიფოში. ასეთი საქმე ხომ დიდხანს არ დაიძალბა... მთავარი საშინლად გაბრაზდა, მაშინვე გააგდო ცოლი და ბერძნების სჯულისამებრ, შესარცხვენად ცხვირი მოსჭრა“. შემდეგ მთავარი მრავალრიცხოვანი ამალით ბიძამისს ეწვია და ცოლი



ნესტან-დარეჯან ჭილაძე

წაართვა. „წამოიყვანა დარეჯან ყველა მისი ქალებით და მოიყვანა სასახლეში, სადაც დიდის ამბით დაიწერა ჯვარი და გახადა იგი დედოფალი“. ლევან დადიანს განსაკუთრებულად უყვარდა ნესტან-დარეჯანი. ჭილაძის ასული 1639 წელს გარდაიცვალა, ლევანი ღრმა გლოვასა და სევდას მოუცაეს, მთავარი დიდხანს ჩაკეტილა განმარტოებით ბნელ სენაკში. არ დარჩენილა სამეგრელოში ეკლესია-მონასტერი, რომელსაც საბოძვარი არ მიეღოს ნესტან-დარეჯანის სულის საკურთხებლად და ცოდვათა მოსანანიებლად. ლევანის საოქრომჭედლო სახელოსნოში არაერთი ხატი მოიჭვდა, რომელთა უმრავლესობას „ამ სოფლის მნათი“ ნესტან-დარეჯანის სახელიც ამშვენებს. ლევან დადიანის დიდმა და ცოდვიანმა სიყვარულმა იერუსალიმსაც კი მიადწია. ლევანმა ვალებიდან გამოიხსნა ჯვრის მონასტერი, მისი რესტავრაციისთვის სახსრებიც გაიღო და მეუღლესთან ერთად თავიც გამოახატვინა ფრესკაზე.

ნესტან-დარეჯან ჭილაძის მსგავსად ბევრი ისტორიული ძეგლის სახელი უკავშირდება ქართველ დედოფლებს. მაგალითად, ოლთისის ციხის შესახებ საინტერესო ცნობაა და-

ცული ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში. ამბავი თეიმურაზ I-ის მეუღლეს, დედოფალ ხორეშანს ეხება. ხორეშან დედოფლის სიზმრის ნახვა და იმავე დღეს ახდენა ერთი იყო. რომელ ციხეშიც დედოფალი ბრძანებულა, იმის ქვეშ ბაღი ყოფილა. ვარდის ყვავილობის დროს მხლებლებითურთ ბაღში ჩასულა. იმ ღამით კი ასეთი სიზმარი უნახავს: „თურმე ბაღი გველებით აიფხო, ჩემკენ საკბენად მოიზიდებოდნენ, მე ციხისკენ წავედი და გველებიც უკან ამედევნენ, მაგრამ ციხეში შევასწარი. უცებ ჰაერიდან ორბნი მოფრინდნენ და გველები დაიტაცეს“. მერე კი დედოფალმა მხლებლებს უთხრა: „ადექით, აქ ნუღარ დგახართ, ციხეში ავიდეთ“.

შუაღამე გადასული იყო, როცა ციხესთან შეიარაღებული რაზმი გამოჩნდა. გათენებისას ქართველებმა შეიტყვეს, რომ ბაღს ყიზილბაშთა ლაშქარი დასხმოდა. მეციხოვნეებმა დედოფალი ოლთისის ციხეში შეიყვანეს და მტერს ზემოდან თოფი და ზარბაზანი დაუშინეს. კონსტანტინოპოლს მიმავალ მეფე თეიმურაზს ზარბაზნის ხმა გაუგონია. თანამგზავრებს უბრძანა, — ვისაც ცხენი გყავთ, დაიბარიითო. ციხესთან ახლოს რომ მივიდნენ, ყიზილბაშებს შეუტყეს. თავგამეტებით იბრძოლეს, ყიზილბაშნი ამოწყდნენ და მეფე თეიმურაზმა გაიმარჯვა. დედოფლის სიზმარი ასე მალე ახდა...

ახდენა არ ეწერა ნინო ბაგრატიონ-დადიანის ოცნებებს, რომელიც საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პირია. ცნობილი ისტორიკოსი თამარ პაპავა წერდა: კავკასიაში რუსული იმპერიალიზმის დამკვიდრების შემდეგ „ნინოს მხოლოდ სამეგრელო მიაჩნდა ქართული პოლიტიკური რაობის გახანგრძლივებულ დასაყრდენად და ამკარად სამეგრელოს გაფართოება-გაძლიერებისთვის იღვწოდა. მას ჰქონდა პირველი ცდა რუსეთის იარაღითა და დიპლომატიის დახმარებით აფხაზეთზე შეტევისა“.

დედოფალი აფხაზეთის მხარეში, რომელიც მაშინ გათურქების საშიშროების წინაშე იდგა, ყველანაირად ცდილობდა ქრისტიანული რწმენის გადარჩენას, ითხოვდა სამთავროზე სამეგრელოს ისტორიული უფლების აღდგენას. 1810 წლის 21 ივლისს დედოფალმა შავი ზღვის რუსული ფლოტის დახმარებით მოახერხა სოხუმის ციხის აღება და აფხაზეთის დაცლა თურქი ემისრებისგან. ძალიან მალე ნინომ გამდგარი ჯიქეთის დამოუკიდებელი თე-

მებიც დაიმორჩილა. ბაგრატიონის ასული ძალიან ენერგიული მმართველი იყო. მაგალითად, იგი პირადად იბრძოდა შავი ზღვის სანაპიროს თურქთა მფლობელობისგან გასათავისუფლებლად

სიცოცხლის ბოლო წლები ნინო დადიანმა რუსეთში გაატარა, ფაქტობრივად, საპატიო ტყვეობაში. ის ერთხანს პეტერბურგის სასახლეებსა და კანცელარიებში ცდილობდა ძველი უფლების აღდგენასა და სამეგრელოში დაბრუნებას, თუმცა უშედეგოდ. დედოფალი რამდენიმე ხანში პეტერბურგიდან რიაზანში გადასახლეს, მოგვიანებით ვორონეჟში, სიცოცხლის ბოლოს ის სრულ მარტობასა და დიდ შვეიწროებაში ჩავარდა. დაკრძალულია პეტერბურგში.

გიორგი კალანდია



ნინო დადიანი

ყოველ პარასკევს,
 ჟურნალ „საბავშვო
 ქარუსელთან“ ერთად,
 დიდი ქართულების
 ბიოგრაფიების
 თითო წიგნი!



4 - დან -
 11 ნომერამდე

მაღე გამოვა:

- 28 მიხეილ მესხი
- 29 ექვთიმე თაყაიშვილი
- 30 დემეტრე თავდადებული
- 31 ჰამლეტ გონაშვილი
- 32 მიხეილ ჯავახიშვილი
 და სხვა დიდი
 ქართულები



წიგნის ფასი 2.50
 (ჟურნალთან ერთად 3.50)



**გამოქანილი
 აღამიანების ბიოგრაფიები**

წიგნების სერია ბავშვებისთვის

შედეგში
 მიხეილ მესხი

რევაზ გაბაშვილის „ამბოხი სული და მკბენარე კალამი“

სიცოცხლეში მხოლოდ სამჯერ უტირია რევაზ გაბაშვილს: „პირველი იყო სიხარულის ტირილი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო, მეორე – ამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად გამოწვეული წუხილი და მესამეც – უცხოეთის მიწაში ჩაწოლის ახლო მოლოდინში...“ – წერს ჟურნალ

„კეკასიონში“ სამგლოუიარო გვერდზე ერთი მისი თანამდგომი, ფსევდონიმით „ძველი მგობარი“. დიდი პატრიოტი, ღირსებით სავსე ქართველი, უკომპრომისო, მეღვარი, ზოგჯერ შესაძლოა დაუზოგავიც, თუკი საქმე საქართველოს ინტერესებზე ეხებოდა. „... მისთვის საქართველო იყო არა ეტაპი რომელიმე ლოზუნგის განხორციელებისა, – არა საცადი მინდორი, – არამედ საერთაშორისო კულტურულ-პოლიტიკური თვითღირებულება“ და იქვე – „უნდა აღინიშნოს, რომ საერთო საზომში რეზო დიდ გამონაკლისს წარმოადგენდა თავისი ზასათითა და მოქმედებით“ – ეს მოსაზრებებიც „ძველი მგობრისაა“.

ერთ-ერთი მოგონება რეზო გაბაშვილზე, მის სიცოცხლეში, 1920-იან წლებში დაიწერა, რომლის ავტორი გენერალი ალექსანდრე ჩხეიძეა:

„ტაბახმელაზე შტაბში ვხედავდი მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეს და სხვადასხვა ჯურის მიტინგურ მოკამათებს, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ სრული საბრძოლო აღკაზმულობით და თავი მოხალისის თვითკმაყოფილებით ეჭირათ; მაგრამ არც ერთი მათგანი შტაბსა და გზატკეცილს არ გასცილებია; ერთადერთ გამონაკლისს შეადგენდა რეზო გაბაშვილი, რომელიც ჩონაში, თოფით ხელში ახლდა [იუნკერთა] სკოლას ბრძოლაში და მასთან ერთად გადაიტანა მძიმე პირობები. გორში ის წვიდა წინა პოზიციებზე და ამხნვევდა ჯარისკაცებს“.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი შტრიხებია სამშობლოსთვის აღსრულებული მამულიშვილის პორტრეტისთვის.

არ შევუდგებით რეზო გაბაშვილის ბიოგრაფიის მშრალ ქრონოლოგიურ თხრობას...



საცა უნდა იყვე, საქართველოსა თუ ზიზნობაში გაფანტული, სამშობლოზე იფიქრე, ქართველო, სამშობლოსთვის იშრომე და იზრუნე, იბრძოლე...

რევაზ გაბაშვილი

1984 წელს ცნობილმა ქართველმა ემიგრანტმა კარლო ინასარიძემ მიუნხენში გამოსცა რადიოდოკუმენტაციის სქელტანიანი კრებული სახელწოდებით „პატარა „ოქროს ხანა“. ასე უწოდებს ავტორი 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს. კრებულში გამოქვეყნებულია მრავალი პოლიტიკური და იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტი, განხილულია მონოგრაფიები დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, დამოუკიდებლობის აქტი, საქართველოს პირველი კონსტიტუცია... კრებულს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მე-7 თავი: „რამდენიმე ინტერვიუ დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ“. აქ დაბეჭდილია დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მიმართვა, რომელიც მან 1938 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავზე დაწერა და თავად წაიკითხა პარიზში გრამოფონის ფირფიტების სტუდიაში. ეს უნიკალური ჩანაწერი ნოე ჟორდანიას ქალიშვილმა, ასმათ ჟორდანია-ფაღაუმ გადასცა რადიო „თავისუფლების“ რედაქციას. აქვეა გამოქვეყნებული 1968 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის 50 წლისთავთან დაკავშირებით ჩაწერილი ინტერვიუები ცნობილ ემიგრანტებთან პავლე სარჯველაძესთან, ნიკო ურუშაძესთან, გენერალ გიორგი კვინიტაძესთან, რეზო გაბაშვილთან...

გთავაზობთ სრულად ინტერვიუს რეზო გაბაშვილთან, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ბევრ უცნობ და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. კორესპონდენტი თავად კარლო ინასარიძეა ოთარ კეთილაძის ფსევდონიმით.



კარლო ინასარიძე



რადიო „თავისუფლების“ აუდიო-არქივი

ინტერვიუ რეზო გაბაშვილთან (26 მაისი, 1968 წ.)

(ფირი)

ოთარი: „ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე პარიზიდან!

პატივცემულო თანამემამულენო, ვინ არ იცნობს ჩვენში ჩვენს სახელოვან მწერალს, ეკატერინე გაბაშვილს. თქვენ ალბათ არ იცით, რომ მისი ვაჟიშვილი, ბატონი რეზო გაბაშვილი, რომელიც ახლა 86 წლისაა, ცხოვრობს პარიზში. ჩვენ გვსურს ბატონ რეზოს შევეკითხოთ, თუ რა განიცადა მან 1918 წლის 26 მაისს, როცა გამოცხადდა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, როცა აღდგენილ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ სანამ სა-

ქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს შევხებოდეთ, გვსურს ბატონ რეზოს ვკითხოთ, თუ რას მოგვიყვება ის თავისი ცხოვრების შესახებ, რომელიც მან განვილო საქართველოში და შემდეგ ემიგრაციაში, უმთავრესად, პარიზში.

ბატონო რეზო, ხომ არ მოგვითხრობთ თქვენი ცხოვრების მთავარ მომენტებს?

რეზო: დავიბადე წარსულ საუკუნეში, 1882 წელს, 6 ნოემბერს, თბილისში, საკუთარ სახლში; დღეს დაარქვეს ეკატერინე გაბაშვილის ქუჩა.



რევაზ
გაბაშვილი
ახალგაზრდობისას

ოთარი: სად მიიღეთ დაწყებითი განათლება, ბატონო რეზო?

რეზო: წერა-კითხვა თვითონ დედაჩემმა მასწავლა და რვა წლისა შევედი ე.წ. სათავადაზნაურო სკოლის მეორე განყოფილებაში... მერე ეს სკოლა გადაკეთდა გიმნაზიად და 1902 წელს იყო მესამე გამოშვება და მეც ამ წელს დავასრულე გიმნაზია. მაშინვე წავედი საზღვარგარეთ, ბელგიაში – ლიეჟში; იქ იყო მაშინ ელექტროტექნიკური ინსტიტუტი, სადაც დავეყავი 1905 წლის ზაფხულამდე, როცა რუსეთსა და საქართველოში პირველმა რევოლუციამ იფეთქა და რადგანაც მთელი ქართველობა ვემზადებოდით საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ჯერ კიდევ მაშინ... ერთი ყიფიანი იყო ბრიუსელში. ის გვასწავლიდა თოფის სროლას... ვემზადებოდით, ასე ვთქვათ, რევოლუციისა და საქართველოს გათავისუფლებისთვის... და ზაფხულში, როცა მე შევისწავლე ბომბებისა და ასაფეთქებელი მასალების დამზადება, დაებრუნდი საქართველოში. არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ ჩაეწერილვარ წევრად, მაგრამ რადგან ორი პარტია იყო – ერთი დემოკრატიული, რომელიც ემსახურებოდა მართო რუსეთის დემოკრატას, მეორე – ფედერალისტები, რომლებიც აყენებდნენ, ასე თუ ისე, ეროვნულ საკითხს, მე იმათ მივეკედლე... ეს იყო ჩემი პირველი პოლიტიკური გამოსვლა. აქტიური გამოსვლა, თორემ პოლიტიკურ საკითხებში, პოლიტიკურ ასპარეზზე მე უკვე 15-16 წლიდან გამოვედი: ვესწრებოდი 1890-იან წლებში ძალიან გავრცელებულს მთელ რუსეთსა და საქართველოში ე.წ. „სამეცნიერო წრეებს“, სადაც პოლიტიკური მოღვაწეები გამო-

დიოდნენ და გვასწავლიდნენ ამ მთელ რევოლუციურ ამბებს, თავიანთ მეცნიერულ შეხედულებათა მიხედვით. მე ვესწრებოდი ამ კრებებს; და პირველი პოლიტიკური გამოსვლა იყო 1901 წელს. მაშინ მე დავესწარი დემონსტრაციას და ჩემი თვალით ვნახე საშინელი ამბები – ყაზახებმა როგორ თავ-პირი დაამტვრიეს დემონსტრანტებს... სცემდნენ, თავ-პირს ამტვრევდნენ და მე ვერ მოვითმინე, 18 წლის ვიყავი მაშინ, და დავიყვირე: „არა გრცხვენიათ, ტყვე ხალხს თქვენ კიდევ სცემთ მათრახებს?“ გამომიდგა ერთი ყაზახი ცხენით და ტროტუარზე რომ არ წაქცეოდა ცხენი, თავს გამიხეთქვდა... ხმალი მოიქნია და უნდა დაერთყა და სწორედ ამ დროს ცხენი წაექცა ქვაფენილზე და მე ამ დროს ვისკუპე, ალექსანდრეს ბაღია თბილისში, და ამით გადავრჩი სიკვდილს. სოციალ-დემოკრატების გამოსვლა იყო ერევნის მოედანზე და იქ საშინელი ამბები დატრიალდა. სოციალ-დემოკრატებს ჩამოტანილი ჰქონდათ სოფლებიდან სარები, კეტები და ამით აპირებდნენ შებრძოლებას ყაზახებთან...

ოთარი: შემიძღვ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება, ბატონო რეზო?

რეზო: აი, ლიეჟში რომ წავედი და მინდოდა ელექტროინჟინერი გავმხდარიყავი, მაგრამ 905-ის რევოლუციამ შემიშალა ხელი... დაებრუნდი საქართველოში და ფედერალისტების დავალებით, როცა რეაქციამ გაიმარჯვა, 1906 წელს წამოვედი პარიზში: რაკი რევოლუცია დამარცხდა, აქ იყო გიორგი დეკანოზიშვილი, მთავარი ხელმძღვანელი პარტიისა, დამავალეს, ახალი ინსტრუქციები მიმელო მისგან და დაებრუნებულიყავი საქართველოში. 906-ში მე მოვიარე პარიზი, ვნახე დეკანოზიშვილი და დაებრუნდი საქართველოში, მაგრამ არ შემიძლო თბილისში გამოცხადება, იმიტომ, რომ – შირინკინმა, რომელიც ვორონცოვის მარჯვენა ხელი იყო, დედაჩემს გამოუცხადა: „ვამ სინ უ ნას ვისელბი, ნო ონ ვილეტელ, უ ნას ტოლკო პერი ოსტალის ვ რუკას“... მეძებდნენ, ამიტომ წავედი ბაქოში და ვმსახურობდი ნავთის ქარხანაში, საინჟინერო საქმეები მაინტერესებდა, მუხთაროვთან ვმუშაობდი, მენავთე იყო მუხთაროვი.

მაგრამ უნდა წარმოიდგინოთ მაშინდელი რუსული რეჟიმი: ვცხოვრობდი ბაქოში, ჩემი სახელით და გვართი და არავის ჩემთვის ხელი არ უხლია, მიუხედავად იმისა, რომ და-



რუზო გაბაშვილი (უკანა რიგში მარცხნიდან მეორე) ბელგიაში, ბრიუსელი, 1904 წ.

მეძებდა ჟანდარმერია ჩამოსაკიდებლად. ეს ერთი. მეორე გარემოება, უფრო უცნაური, იმაში იყო, რომ 1907 წელს, მაშასადამე რევოლუციის ორი წლისთაზე, მე შევედი პეტერბურგის უნივერსიტეტში და მიმიღეს მეორე კურსზე, ჩამითვალეს ბელგიური სემესტრები... იქ გული ამეყარა რევოლუციაზე, მე ვიყავი ნაციონალ-რევოლუციონერი და არა ინტერნაციონალური... სრულებით გული ამეყარა რევოლუციონერებზე. იმიტომ, რომ მე დაერწმუნდი, ეს რევოლუციონერები უარესები არიან, ვიდრე ისინი, ვისაც ვებრძოდით... იმიტომ მე სრულებით დავანებე თავი პოლიტიკას და ჩავები მეცნიერულ მუშაობაში... და სწორედ მაშინ ცოლიც შევიერთე, შვილიც შემეძინა და სწავლის გარეშე სრულებით არ ვერეოდი პოლიტიკაში. აი, ამ დროს მოხდა უცნაური რამ რუსეთში: ლევ ნიკოლაევიჩ ტოლსტოი, 75 წლის კაცი, სახლიდან გაიქცა, რა მიზეზით, კაცმა არ იცოდა, და სადღაც ასტაპოვოში, ესაა სადგური, მოკვდა. ამან გა-

მოიწვია მთელ რუსეთში, უნივერსიტეტებში, საშინელი ამბავი... „ტოლსტოესკიე დნი“ — ასე დაარქვეს და მთელი სტუდენტობა გაიფიცა. უმთავრესად იყო პირველი, მეორე კურსის სტუდენტობა. უფროსები არ იღებდნენ ამაში მონაწილეობას და რაკი მე უკვე მესამე კურსზე ვიყავი, არაფერში ვერეოდი. ლექციაზე შევედი უნივერსიტეტში, ამ დროს მოხდა „ობლავა“, მასში მოვხდი და დამიჭირეს. ეს იყო 1910 წლის დასასრულს, სამთვე-ნახევარი ციხეში ვიჯექი. მიუხედავად იმისა, რომ ყველას მივწერე, რომ მე არაფერ შუაში არ ვიყავი... სამი თვის შემდეგ გამოგვიშვეს, 27 კაცი ვიყავით დაჭერილი, და გამომიცხადეს: „ბეზ პრავა პოსტუპლენია ვ უნივერსიტეტ“. ასე რომ, არ დამამთავრებინეს უნივერსიტეტი და წამოვედი თბილისში... რაკი რევოლუციონერებზე გულაყრით ვიყავი, შევუდექი საზოგადოებრივ მუშაობას და აი, ამ დროს, ე.ი. 1910-დან 1921 წლამდე, ეს იყო ჩემი საუკეთესო წლები, რომლებშიაც მე, შემიძლია

ეთქვა, 24 საათი გადავარდნილი ვიყავი საზოგადოებრივ უმთავრესად პოლიტიკურ საქმიანობაში. დავაარსეთ საქართველოს ეროვნული პარტია.

ოთარი: რომელ წელს დააარსეთ, ბატონო რეზო, საქართველოს ეროვნული პარტია?

რეზო: ეს იყო 1911 წელს.

ოთარი: ვინ შეადგინა ამ პარტიის პროგრამა?

რეზო: ჩვენ ვიყავით სამნი – მე, შალვა ამირეჯიბი და დათა ვაჩნაძე. მერმე, პირველივე თვეებში, ჩვენ შემოგვიერთდნენ უფროსი თაობიდან და ახალგაზრდობიდან. ასე რომ, პირველივე თვეებში ჩვენ ავიყვანეთ პარტიის რიცხვი თითქმის ას კაცამდე. და მერმე არსებობდა ჩვენი პარტია, ეროვნული პარტია 1917 წლამდე, ვიდრე მოხდა რევოლუცია და მაშინ გადაკეთდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად.

ოთარი: ბატონო რეზო, ახლა ჩვენ ვუახლოვდებით იმ პერიოდს, როცა თებერვლის რევოლუცია მოხდა და საქართველოში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელმაც ნიადაგი მოუზადა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. რას გვეტყვით ამ პერიოდზე?

რეზო: ამისათვის ცოტა უნდა უკან დავიხიოთ: 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა გიორგი მაჩაბელი, დიდი პოლიტიკური მოღვაწე და გონიერი ადამიანი. ჩამოგვიტანა გერმანიასთან, ავსტრიასთან და ოსმალეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომ ეს სამი სახელმწიფო სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და როგორც კი რომელიმე ამ სახელმწიფოს ჯარი ფეხს შემოდგამდა საქართველოს ტერიტორიაზე, გამოაცხადებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და სცნობდნენ იურიდიულად. ჩვენ მივიღეთ თუ არა ეს ხელმოწერილი ხელშეკრულებანი, მოვიწვიეთ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები – სოციალ-დემოკრატებისა, ფედერალისტებისა და ქუთაისში და გაიმართა კონფერენცია, 1915 წელს, გაქანებული ომის დროს. სოციალ-დემოკრატებიდან იყვნენ წარმომადგენლები – თვითონ ჟორდანიას და ევგენი გეგეჭკორი, ფედერალისტებიდან: გრიგოლ რცხილაძე და სამსონ ფირცხალავა, ჩვენი მხრიდან ვიყავით მე და შალვა ამირეჯიბი. ეს კრება ჩატარდა ახალგაზრდა ქართველის სახლში, რომელიც იმავე დროს ამ კონფერენციის თავმჯდომარე იყო. ამ კრებას გიორგი მაჩაბელი გააცნო



შალვა ამირეჯიბი



გიორგი მაჩაბელი



საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომის მონაწილენი

მთელი მდგომარეობა და გადმოულაგა ეს ხელშეკრულებანი და დაეიწყეთ მსჯელობა. ბატონმა ჟორდანიამ განაცხადა შემდეგი: „ბატონებო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ, მე და ჩვენი პარტია, ვართ ამ ომში მომხრენი ანტანტისა და იმავე დროს რუსეთისა და ამას ვერ გადაუცდებითო. მხოლოდ თქვენ იმუშავეთ მაგ გზითო, ე.ი. გერმანელებთან ერთად და ჩვენ არანაირ ხელს არ შევიშლით და პირიქით, თუ საჭირო იქნება, აქა-იქ დაგვხმარებითო“. და მე უნდა დავუმატო ამას, რომ მართლაც, როდესაც ჩვენ შემდეგ მოგვიხდა გერმანელებთან ასე თუ ისე კავშირის დამყარება, — ჟორდანიამ ხელი კი არ შეგვიშალა, პირიქით, ხელს გვიწყობდა. აი, ეს ერთადერთი გასამართლებელი მოვლენა, რომელიც მე მახსოვს მთელი ნოე ჟორდანიას ბიოგრაფიიდან და ისტორიიდან.

ოთარი: ბატონო რეზო, ხომ არ მოგვითხრობთ, თქვენ პირად განცდებზე, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ე.ი. 1918 წლის 26 მაისს? სად ბრძანდებოდით მაშინ?

რეზო: მე, რასაკვირველია, ვიყავი თბილისში და დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ბევრი შრომა გავწიე პირადად და პარტიის სა-

შუალებითაც. აი, ამ სამზადისის ერთ-ერთი მაგალითი: ქუთაისის კონფერენცია გიორგი მაჩაბლის ჩამოსვლის დროს. გარდა ამისა, ჩვენ



დავით ვაჩნაძე



საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. 1918 წლის 26 მაისი

ვაგროვებით იარაღს მომავალი დამოუკიდებლობისთვის და ეს იარაღი შემოდოდა როგორც ყიდვით, ისე შემოწირულებით რუსის ჯარის ოფიცრებიდანაც კი და მოგვიდოდა წყალქვეშა ნაგებით გერმანიიდან.

ოთარი: როგორ შეხვდა ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის გამოცხადებას?

რუზო: ქართველი ხალხი, შეიძლება ითქვას, დედიან-ბუდიანად, დიდი აღტაცებით შეხვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. როდესაც პარლამენტში ნოე ჟორდანიამ წაიკითხა დამოუკიდებლობის აქტი და მერე აივნიდან ხალხს გამოუცხადა, შეიძლება ითქვას, რომ სასახლის გარშემო მთელი თბილისი იყო და აღტაცებით ტაშს უკრაუდა, მღეროდნენ და ხეიმობდნენ.

ოთარი: ასეთივე მდგომარეობა იყო ალბათ საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში?

რუზო: ყველგან... სოფლებში, ქალაქებში დიდი აღტაცებით შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და იმ დღეს, ვლასა მგელაძე გაიქცა მამადავითის ეკლესიაში, ზარები დარეკა და ილია ჭავჭავაძისა და აკაკის საფლავს ჩასძახა, — გაიხარეთ, საქართველო დამოუკიდებელი გახდაო.

ოთარი: როგორც იცით, ბატონო რუზო, საქართველოში გვყავს ახალი თაობა, რომლე-

ბიც დაიბადნენ დამოუკიდებლობის პერიოდის შემდგომ დროში და მათ არა აქვთ საშუალება გაეცნონ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს. თქვენ რას ეტყოდით ჩვენს ახალგაზრდობას... რას უსურვებდით ჩვენს ხალხს და ჩვენს ახალგაზრდობას საქართველოში?

რუზო: ჩემი ხანგრძლივი გამოცდილებით და მეტადრე ხუთი ათასი წლის ისტორიის შესწავლით, მეცნიერულად, არქეოლოგიურად და ენათმეცნიერების საშუალებით, მე დავრწმუნდი, რომ ყოველი პატარა ერი, რომელიც ებრძვის თავის მოძალადეს და მოწინააღმდეგეს, უფრო მეტს იგებს, ვიდრე როდესაც ის შეურიგდება და წაუსვება დამპყრობელს.

ოთარი: დიდად გმადლობთ, ბატონო რუზო.

* * *

რევაზ გაბაშვილი ინტერვიუში არაფერს ამბობს თავის პოლიტიკურ, სამეცნიერო და ჟურნალისტურ საქმიანობაზე ემიგრაციაში. ცხოვრების უდიდესი ნაწილი მან უცხოობაში გაატარა. 1921 წლიდან ოთხ წელიწადს სტამბულში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ პარიზში დამკვიდრდა. ცოლ-შვილი საქართველოში დატოვა და მხოლოდ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1968 წელს ინახულეს შვი-

ლებმა – ცილა და გურამ გაბაშვილებმა თითქმის ნახევარი საუკუნის უნახავი მამა.

1969 წლის 14 მარტს რეაზ გაბაშვილი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი პარიზში, ბანიოს სასაფლაოზე დაკრძალეს.

„ქართულ ინტელექტუალურ ოჯახს ემიგრაციაში დაეკარგა ერთი მისი დიდი და ვერავისით შემცვლელი წევრი... ეს დანაკარგი განსაკუთრებით მტკივნეული და საგრძნობი გახდა მაშინ, როდესაც მასზე პოლიტიკურად გამწვრალი მოპირდაპირენი მასისურად დაესწრნენ დაკრძალვას და ამ პატივისცემის აქტით საბოლოოდ წაშალეს მასზე გავრცელებული, ყოვლად უმინაარსო ხმები...“ — წერდა ჟურნალ „კავკასიონში“ „ძველი მეგობარი“.

„უმინაარსო ხმები“ და დიდი მითქმა-მოთქმა კი მოჰყვა რეზო გაბაშვილის მოგონებათა წიგნს „რაც მახსოვს“. წიგნი 1959 წელს მიუნხენში გამოიცა. ამ ფაქტმა განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები აღაშფოთა. ბატონი რეზო მოგონებებში უკომპრომისო და შეუვალია — საქმე საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეხება და მას სხვაგვარად არ შეეძლო.

მსურს ეს პუბლიკაცია მისივე სიტყვებით დავასრულო:

„თუ რომ ქართველი ემიგრაცია გაერთიანდება ჯანსაღი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის გარშემო (და არა გაცვეთილი პარტიულ „იდეალების“ ირგვლივ) და ხელს გაუწვდის საქართველოშიაც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხს, გარედან დახმარებით — მაშინ არავითარ პესიმიზმს ადგილი აღარ ექნება ჩვენი გამარჯვებისთვის.“

საქართველოს ათასწლოვანი ისტორია, ქართველი ხალხის ეროვნული სული, — ამის საწინდარია.

საცა უნდა იყვე, საქართველოსა თუ ხიზნობაში გაფანტული, სამშობლოზე იფიქრე, ქართველო, სამშობლოსთვის იშრომე და იზრუნე, იბრძოლე...


...შენც შეგწევს ძალა, საქართველოს მომავალ ბრწყინვალეებას ერთი ნაპერწკალი მაინც შეჰმატო, — და „აწმყო თუ არა გწყვალობს, მომავალი შენია!“

თვალნათლივ ვხედავ ბატონ რეზოს ტაბახმელის ფრონტზე — „ჩოხაში, თოფით ხელში ახლდა სკოლას [იუნკერთა] ბრძოლაში... გორში ის წაეიდა წინა პოზიციებზე...“

რუსულან კოჯახიძე



რეაზ გაბაშვილის რედაქტორობით პარიზში გამოშვებული გაზეთ „მამულიშვილის“ პირველი ნომერი





დვანან:
გიორგი ოდიშელიძე,
ნიკოლოზ თოხაძე,
ივანე ვახნაძე,
სზედან:
ალექსანდრე
ჯინჯარაძე და
ალექსანდრე
კინწურაშვილი

ქართული ემიგრანტები ფრანგულ ჯარში

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის შემოდგომაზე, სტამბოლში გახიზნული 80-მდე ქართველი ოფიცერი და იუნკერი პოლონეთმა მიიღო. ზუთი იუნკერი საფრანგეთის სენ-მიქსენის სამხედრო სკოლაში გაიგზავნა, რომლის დამთავრების შემდეგ ისინი კოლონიურ ჯარებში მსახურობდნენ.



ქართველი ოფიცრები: გიორგი ოდიშელიძე, ივანე ვაჩნაძე, ნიკოლოზ ამილახვარი, ლულუ კერესელიძე

ქართველ ლტოლვილთა უმრავლესობა საფრანგეთში დასახლდა. თითქმის ყველამ დაიტოვა საქართველოს პასპორტი, ლტოლვილის სტატუსი და არ მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა

1928 წლიდან, საფრანგეთის მაშინდელი სამხედრო სამინისტროს დადგენილებით, ქვეყანაში მცხოვრები ჯარში გასაწვევი ასაკის უცხოელი ლტოლვილები, მათ შორის ქართველებიც, ვალდებული იყვნენ სამხედრო სამსახური მოეხადათ. 1831 წელს საფრანგეთში შეიქმნა უცხოური ლეგიონი, რომელიც დარსების დღიდან მონაწილეობდა პლანეტის თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში. ლეგიონში იღებდნენ 18-40 წლის უცხოელ მამაკაცებს. ხუთწლიანი კონტრაქტის დასრულების შემდეგ ლეგიონერი საფრანგეთის მოქალაქეობას იღებდა. ხელფასი მაღალი იყო. ამიტომ ქართველ ლტოლვილთაგან ბევრმა მიაშურა უცხოურ ლეგიონს და მალე გაითქვა სახელი, როგორც საუკეთესო მეომარმა. მათგან ნაწილმა ოფიცრის მაღალ ჩინსაც მიაღწია.

უცხოური ლეგიონის ოფიცერთაგან ჩვენ ვიცნობთ საფრანგეთის გმირს, დიმიტრი (ბაზორკა) ამილახვარს, მაგრამ არანაკლები პატივისცემით სარგებლობდნენ სხვა ქართველი



დავით შალიკაშვილი

ოფიცრები — სენ-მიქსენის სამხედრო სკოლის უკვე ნახსენები ხუთი კურსანტი: გიორგი ოდიშელიძე, ნიკოლოზ (კუკური) თოხაძე, ივანე ვაჩნაძე, ალექსანდრე ჯინჭარაძე, ალექსანდრე კინწურაშვილი; სენ-სირის სახელგანთქმული სამხედრო სკოლის კურსდამთავრებულები: ნიკოლოზ ამილახვარი, ალექსი ჩხენკელი, ირაკლი ჯორჯაძე, ლეო (ლულუ) კერესელიძე; აგრეთვე დაეით შალიკაშვილი, ალექსანდრე ბერაძე, კონსტანტინე ამილახვარი, პეტრე ხვედელიძე და სხვები.

ყოფილი ემიგრანტი შოთა ბერეჟიანი იხსენებდა: „კარგად მახსოვს 1939 წლის 14 თებერვლის, საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული, ბასტილის აღების აღსანიშნავად გამართული აღლუმი. ამ წელს, სხვა დიპლომატებთან ერ-

თად, მოწვეული იყო ინგლისის მეფე გეორგ VI ცოლითა და შვილებით. ახლანდელი დედოფალი სულ პატარა გოგონა იყო. აღლუმზე უცხოური ლეგიონის ორი ასეულის მეთაურები იყვნენ დიმიტრი ამილახვარი და ნიკოლოზ თოხაძე — ორი ულამაზესი ვაჟკაცი. შანხელიზე ზე დიდი ოვაციის თანხლებით ჩაიარეს. ქართველები ბევრნი ვიდრე იქ და ძალიან ბედნიერი ვიყავით, რომ სწორედ ქართველები შეერჩაით ასეულების წინამძღოლებად. აფრიკიდან მათ გენერალი მიკელი ჩამოჰყვათ. — რაღა ეს უცხოელი ოფიცრები დანიშნეთ მეთაურებადო, — უსაყვედურა მიკელს პარიზის კომენდანტმა გურომ. — მაგათზე უკეთესი არ გვყავსო, — თავი იმართლა გურომ.

1939 წლის სექტემბერში, როცა საფრან-



გეთი მეორე მსოფლიო ომში ჩაება, მობილიზაციით გაიწვიეს სამოქალაქო პირები, მათ შორის 170 ქართველი ემიგრანტიც. თავდაპირველად ქართველი ჯარისკაცები მსახურობდნენ სხვადასხვა სამხედრო ნაწილში. საქართველოს ლტოლვილი მთავრობის წყალობით (ევგენი გეგეჭკორი დაახლოებული იყო საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრ გი მოლესთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ბონკურთან), 1940 წლის მარტში მთავარსარდლობის ბრძანებით შეიქმნა სამხედრო ნაწილი, რომელიც მხოლოდ ქართველებისგან შედგებოდა და მას **Unite Georgienne** ეწოდა. ქართულ „უნიტესა“ და საფრანგეთის სარდლობას შორის შუამავალი იყო ფრანგი ოფიცერი, პოლკოვნიკი პიო, რომელსაც ძალიან უყვარდა

ქართველები. ნაწილი ჩამოყალიბდა სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ ბარკარესში, მერე გადაიყვანეს სოფელ სეტფორში. ასეულის უფროსად დაინიშნა კაპიტანი გიორგი ოდიშელიძე, რომელიც უცხოურ ლეგიონში მსახურობდა. მას ლეგიონიდან ჩამოჰყენენ კოტე ამილახვარი, ლეო (ლულუ) კერესელიძე, არჩილ ტყემალაძე (ვალტორნისი). ნაწილში შოთა ბერეჟიანის ცნობით იყვნენ: მეთაურები — დელანუე, ფრანგული სარდლობის ოფიცერი, კაპიტანი გიორგი ოდიშელიძე; ლეიტენანტები — ივანე სტაროსელკი და კოტე ამილახვარი, ადიუტანტი არჩილ ვალტორნისი; სერჟანტები — ლეო (ლულუ) კერესელიძე, ალექსანდრე ბერაძე, პეტრე ოდიშარია, ანდრო რეზვიამეილი, გრიგოლ აბულაძე, შალვა ზიზანიშვილი, მთიელი რუფატ ზალილოვი, ნიკოლოზ ელიავა, ალექსანდრე ფარეშვილი; კაპრალები — ვასილ ბარკალაია, იასონ მამულაშვილი, შოთა თაქთაქიშვილი, გიორგი (გოგლიკა) ვაჩნაძე, სერგო დონდუა, გიორგი ბერიძე, ნიკოლოზ ამილახვარი, ალექსანდრე დონდუა; ჯარისკაცები — აკაკი ამირეჯიბი, ვლადიმერ ზუბალაშვილი, შალვა კაკიტელაშვილი, ალექსანდრე ალანია, შოთა ბერეჟიანი, დავით სხირტლაძე, ფილიპე პეტრიაშვილი, ალექსანდრე ტარასაშვილი, ვლადიმერ დარაშვილი, ზურაბ აბაშიძე, ელიზბარ მაყაშვილი, ირაკლი ზედგინიძე, ბიძინა სიღამონ-ერისთავი, კუკური ჯაყელი, ვეტიზი აბულაძე, ზურაბ ციციშვილი, ირაკლი ჯაფარიძე, მიხეილ ზუდადაშვილი (ზუდადოვი) და სხვები.

ბასტილიის აღების აღსანიშნავად გამართული აღლუბი, 1939 წლის 14 ივლისი. აღლუმზე უცხოური ლეგიონის ორი ასეულის მეთაურები იყვნენ დიმიტრი ამილახვარი და ნიკოლოზ თოხაძე



ნაწილის შესავსებად ქართველები არ ეყოთ, ფრანგი და ესპანელი ლტოლვილებიც შეიყვანეს. მაგრამ სანამ ნაწილი გაწვრთნეს, საფრანგეთი დამარცხდა და მარშალმა პეტენმა ტერიტორია ორად გაყო — გერმანიის მიერ ოკუპირებულ და თავისუფალ ზონად. ლეგიონიდან ჩამოსული ქართველები, ოდიშელიძესთან ერთად, აფრიკაში დაბრუნდნენ. დანარჩენები, ვინც თავისუფალ ნაწილში აღმოჩნდნენ, საფრანგეთის ჯარიდან გაუშვეს. ფრანგულ ჯარში მყოფ ქართველთა ნაწილი შემდეგ გერმანულ არმიაში ჩაქვერა, რათა მათი დახმარებით გაეთავისუფლებინა სამშობლო, ნაწილი კი ფრანგ პარტიზანებს შეუერთდა და საფრანგეთის წინააღმდეგობაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ კი გენერალ დე გოლის ზელმძღვანელობით განაგრძო ბრძოლა საფრანგეთის გასათავისუფლებლად.

რუსულან დაუზვილი

ლეგენდად ქცეული სინამდვილა

დimitრი ამილახვარი საფრანგეთში დღესაც კი იმდენად პოპულარულია, რომ ნებისმიერ ფრანგს, მით უმეტეს სამხედროს რომ სთხოვო, დაასახელოს საფრანგეთის სამი ყველაზე გამოჩენილი სამხედრო პირი, ასე ვიპასუხებთ — ნაპოლეონი, შარლ დე გოლი, პრინცი ამილახვარი.

2008 წლის 2 თებერვალს, თბილისის კინოს სახლში გაიმართა პრემიერა დოკუმენტური ფილმისა, „ქართველი ლეგიონერი“. დარბაზი მაყურებლით იყო გადაჭედილი. ეს ბუნებრივად გახლდათ. ფილმი ეძღვნებოდა ქართველი თავადიშვილის, საფრანგეთის ქართველი გმირის, დimitრი ამილახვარის ხსოვნას.

დარბაზში შეკრებილები მიესალმნენ გადამღები ჯგუფის წევრებს: რეჟისორ გიორგი თორაძეს, კინოოპერატორ რევაზ მახათაძეს და ამ სტრიქონების ავტორს, როგორც ფილმის პროდიუსერსა და სცენარის ავტორს.

კინოსტუდია „მემატინანეს“ გადამღები ჯგუფის წევრებმა გაიხსენეს საფრანგეთში ყოფნის ეპიზოდები. შეხვედრა უცხოელთა ლეგიონის მეთაურ, გენერალ ლუი პიშო დე შამფლურთან, რომელსაც სახსოვრად გადასცეს წმინდა გიორგის მოქრული ხატი და სთხოვეს, ეს ხატი იქ დაესვენებინათ, სადაც დimitრი ამილახვარის მუნდირი და ტყვიით გახვრეტილი ქუდია მოთავსებული. გენერალმა მადლიერებით მიიღო საჩუქარი, აღნიშნა, რომ წმინდა გიორგი მათი მფარველიცაა და იქვე დასძინა, რომ ხატს სამხედრო მუზეუმში, ვიცე-პოლკოვნიკ დimitრი ამილახვარის ნივთებთან დააბრძანებდნენ.

„ის იყო დიდი, ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით — აღნაგობით, გამბედაობით და კეთილშობილებით“, — ასე დაახასიათა დimitრი



შარლ დე გოლი აჯილდოებს დimitრი ამილახვარს

„საქართველოსა და საფრანგეთს შორის ბრძოლის ველეზზეც დამყარდა სისხლით ნათესაური კავშირები.

კერენის ბრძოლისა და სირიის სამხედრო მოქმედებების ვეტერანი, ქართველი დimitრი ამილახვარი საფრანგეთისათვის 1942 წელს გმირულად დაეცა, ლიბიაში. იგი დღესაც რჩება უცხოური ლეგიონის ლეგენდარულ ფიგურად, ერთ-ერთ იმ მებრძოლად, რომელსაც შარლ დე გოლმა საფრანგეთის სიამაყე უწოდა. ის საქართველოს სიამაყეცაა“.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის გამოსვლიდან თბილისში, თავისუფლების მოედანზე. 2011 წლის 7 ოქტომბერი

რი ამილახვარი გენერალმა მონკლარმა.

1942 წლის 24 ოქტომბერი. შორეული აფრიკა, ევვაპტე. მოკავშირეთა ერთიანი არმია იბრძვის გერმანულ ფაშისტთა წინააღმდეგ. წინა პოზიციაზეა საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონი.

დილის 10 საათია. ლეგიონმა სტრატეგიულად საჭირო ჰიმეიმას მთა დაიკავა, მაგრამ ფაშისტთა ტანკების შემოტევამ უკან დაახევინა...

დანადმულ ველზე ჭურვი აფეთქდა და მისი ნამსხვრევებით თავში სასიკვდილოდ და-

იჭრა ლეგიონის მეთაური დიმიტრი ამილახვარი.

დაღუპული მეთაური თანამებრძოლებმა იმ ტანკზე დაასვენეს, რომელიც სამი წლის შემდეგ, გენერალ ლეკლერკის დივიზიასთან ერთად პირველი შევიდა განთავისუფლებულ პარიზში.

ასე დასრულდა შორეულ ეგვიპტეში საქართველოზე მეოცნებე ჭაბუკის, უცხოელთა ლეგიონის მეთაურის, 35 წლის დიმიტრი ამილახვარის სიცოცხლე.

დიმიტრი ამილახვარი, მეტსახელად „ბაზორკა“, საფრანგეთის მომავალი ეროვნული გმირი და უცხოელთა ლეგიონის მეთაური, 1906 წლის 12 ნოემბერს, სამეფო გვირგვინის მხედართა ტიტულის მფლობელის, ზედგინიძეების შთამომავალთა ოჯახში დაიბადა.

1921 წელი. თებერვლის აუღსახსენებელი დღეები. თბილისის დაცარიელებული ქუჩები და... აფრიალებული წითელი დროშები. კოჯრის მისადგომებთან დაღუპული იუნკრები და მოღიმარი სერგო ორჯონიკიძე. მე-11 წითელი არმია გამარჯვებას ზეიმობს, რუს ჯარისკაცებს შორის არის ახალწვეული ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც წლების შემდეგ თბილისში სტუმრობისას ამაყად იტყვის: „საქართველოს განთავისუფლებაში მეც მივიღე მონაწილეობა და მახსოვს ქართველი ხალხის ბედნიერი სახეები“.

„ბედნიერი საქართველოს“ საუკეთესო შვილები (გაქცეულ მთავრობას არ ვგულისხმობ) კი სამშობლოს ტოვებენ, ზოგი დროებით (ასე ეგონათ), ზოგიც სამუდამოდ.

ბათუმის ნავსადგურიდან შორეული საფრანგეთისკენ მიემგზავრებიან ემიგრანტებად ქცეული ქართველები, მათ შორისაა დიმიტრი ამილახვარის ოჯახიც.

15 წლის გულანთებულ, მეოცნებე ყმაწვილს ველარასოდეს ეღირსება საქართველოს ხილვა და უკანასკნელ სასუფეველს, მამლუქების მსგავსად, შორეულ ეგვიპტეში იპოვის...

ამილახვრების ოჯახი პარიზში დამკვიდრდა. დიმიტრი ნაპოლეონის მიერ დაარსებულ, ტრადიციებით განთქმულ სენ-სირის სამხედრო სკოლაში მიაბარეს. ვინ იცის, იქნებ იმ იმედით, რომ ევროპაში განათლებაშიღებული ქართველი ოფიცერი ოდესმე სამშობლოს ბოლშევიკური ურჩხულისგან დაიხსნიდა.

დიმიტრი ამილახვარმა სასწავლებელი 1926 წელს დაამთავრა. სიმამაცითა და ნიჭიერებით გამორჩეული ახალგაზრდა ოფიცე-



დიმიტრი ამილახვარი

სიმამაცითა და ნიჭიერებით გამორჩეული ახალგაზრდა ოფიცერი უცხოურ ლეგიონში ჩარიცხეს. 20 წლის დიმიტრი უკვე კაპიტანია — იმ დროის საფრანგეთის არმიის ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი.



დროშის გადაცემის მომენტი უცხოურ ლეგიონში

რი უცხოურ ლეგიონში ჩარიცხეს. 20 წლის დიმიტრი უკვე კაპიტანია — იმ დროის საფრანგეთის არმიის ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი.

ფრანგი სამხედრო ისტორიკოსი მას ასე ახასიათებს: „დიმიტრი ამილახვარი მნიშვნელოვანი ფიგურაა ფრანგული არმიის ისტორიაში. იგი გამოირჩეოდა ჯენტლმენობით, ჰუმანურობით, თავდაჯერებულობით, შეუდარებელი საბრძოლო ტაქტიკით, რომელსაც დღესაც ასწავლიან ახალგაზრდა ოფიცრებს“.

დიმიტრი მოწოდებით იყო სამხედრო — მომთხონი და იმპეროლოვად, ჯარისკაცებზე მზრუნველი. სწორედ ამ თვისებებით დაიშასხურა ლეგიონერთა სიყვარული, ხოლო გამბედაობითა და თავგანწირვით — პატივისცემა, რომელიც თავანისცემას უფრო ჰკავდა.

პარიზში დიმიტრი ულაძეს ირინე დადიანზე დაქორწინდა. ორი შვილიც შეეძინათ — თამარი და ოთარი, მაგრამ მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, მეორე მსოფლიო ომმა წყვილი საშუალოდ დააშორა...

ომამდე მცირე ხნით ადრე მიიღო დიმიტრი ამილახვარმა საფრანგეთის მოქალაქეობა. მიუხედავად ხელმძღვანელობის მოთხოვნისა, წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობა არ დათმო (უნებლიეთ გვახსენდება საქართველოდან წასული თანამედროვე ახალგაზრდები, ყოველგვარი ხერხებით რომ ცდილობენ უცხო ქვეყანაში დამკვიდრებას).

დიმიტრი ამილახვარი სიცოცხლის ბოლომდე გულანთებულ ქართველ პატრიოტად დარჩა, თუმცა თავი საფრანგეთის თავისუფლებას შესწირა.

გერმანელმა ფაშისტებმა დაიპყრეს საფრანგეთი. მხოლოდ რამდენიმე გმირი, გენერალ შარლ დე გოლის მეთაურობით განაგრძობდა ბრძოლას. მათ შორის იყო დიმიტრი ამილახვარიც.

ამილახვარი ყველა იმ ბრძოლაში მონაწილეობდა, სადაც მისი ლეგიონი იბრძოდა.

შესანიშნავმა სტრატეგმა ნორვეგიაში მე-13 ბატალიონი განადგურებას გადაარჩინა, ხოლო აფრიკაში ბრძოლის დროს, მიუხედავად ხელმძღვანელობის სკეპტიციზმისა, ჯიუ-

შარლ დე გოლის მიერ დიმიტრი ამილახვარის დაჯილდოება ფრანგულ პრესაშიც აისახა

1942, à l'extrême sud du secteur d'El-Alamein (Égypte). A El-Himeimat exactement, au pied d'une montagne escarpée qui domine un plateau sablonneux truffé de mines, sorte de no man's land que personne ne voudrait conquérir. La veille, Montgomery a déclaré: «Je n'ai pas l'intention de déclencher mon offensive. Il veut percer par le nord. Pour réussir, il faut fixer l'ennemi sur l'ensemble du front. D'où l'opération de diversion menée à El-Himeimat par la 13^e DBLE (13^e demi-brigade de Légion étrangère) qui doit concentrer sur elle la réaction adverse. Il est 9 h 30. Le combat dure depuis plus de neuf heures orsqu les légionnaires reçoivent l'ordre de décrocher. Le lieutenant-colonel Amilakvari, qui surveille le repli, a tout lieu d'être satisfait : ses hommes ont tenu bien au-delà de ce qui leur était demandé. Soudain, une salve de quatre obus éclate autour de l'offi-



Koenig et Amilakvari (à droite) décorés par de Gaulle de l'ordre de la Libération. (Photo DR.)

ce. C'est lui qui, après l'expédition de 1940 en Norvège, gagne le ralliement de la 13^e DBLE à la France libre — le général de Gaulle s'en souviendra et fera de lui l'un de ses Compagnons de la Libération. A Homs, en Syrie, dans un décor de palais d'Orient, c'est encore lui qui reçoit, le genou à terre, le nouveau drapeau de la 13^e DBLE, désormais placée sous son commandement.

Cérémonie dimanche

Le 50^e anniversaire de la bataille d'el-Alamein [23 oct-4 nov 1942], qui mettait aux prises une armée germano-italienne aux ordres de Rommel et une armée britannique constituée d'unités de huit pays alliés aux ordres de Montgomery, sera célébré dimanche en Égypte. Les cérémonies se dérouleront au cimetière allemand, une austère forteresse de pierres ocres, dominant la mer et le désert.

...isme quand on parle d'Amilakvari — même le style des communiqués militaires, d'habitude sec et cassant, s'envoie à son propos. Amilakvari est devenu une

qu'un moyen : entrer à Saint-Cyr. C'est chose faite en 1924. Deux ans plus tard, il part pour Sidi Bel Abbès, le berceau historique de la Légion étrangère. Toujours volontaire,

... et surtout, il est devenu un chef adoré par ses hommes.


Sur son passage, la foule crie : « Vive la Légion ! » — Désormais, Amilakvari ne vivra plus que pour cette vieille Légion, refuge de tant d'apatrides.

Et pour la France. « Nous, étrangers, dit-il à sa manière à la fois grave et simple, n'avons qu'une seule façon de prouver à la France notre gratitude pour l'accueil qu'elle nous a fait : c'est de mourir pour elle. »

C'est lui qui, après l'expédition de 1940 en Norvège, gagne le ralliement de la 13^e DBLE à la France libre — le général de Gaulle s'en souviendra et fera de lui l'un de ses Compagnons de la Libération. A Homs, en Syrie, dans un décor de palais d'Orient, c'est encore lui qui reçoit, le genou à terre, le nouveau drapeau de la 13^e DBLE, désormais placée sous son commandement.

Enfin la gloire

Puis le lieutenant-colonel Amilakvari rejoint Koenig et la 1^{re} brigade française libre pour son épopée de sable et de vent : Bir Hakeim, El-Alamein... Dans l'organigramme de la nouvelle 13^e DBLE, on remarque quelques noms qui deviendront célèbres : Messmer, Simon, Paris de Bollardière, Sairigné, etc. Pour l'anecdote, un jeune



დიმიტრი ამილახვარის პირადი ბარათი უცხოური ლეგიონის არქივში

ტად გაიტანა თავისი გეგმა, მტერი სასტიკად დამარცხა და ფაშისტი გენერლის, ერვინ რომელის ქებაც დაიმსახურა — ასეთი მედგარი და ჭკვიანური წინააღმდეგობა იშვიათად შემხვედრიაო.

დიმიტრი ამილახვარს, ბატალიონის ასეულის მეთაურს, ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისთვის სამჯერ მადლობა გამოუცხადეს და ლეგიონის კავალერის ორდენით დააჯილდოეს. ლეგენდარულმა გენერალმა, საფრანგეთის მომავალმა პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა, მას პირადად მიაბნია მკერდზე გათავისუფლების ჯვარი.

...დიმიტრი ამილახვარს ერთი მოსახსნამი ჰქონდა, რომელსაც არასდროს იშორებდა და ამბობდა, სანამ ეს მოსახსნამი მაქვს, ტყვიისა არ შეშინაო. მართლაც, ბრძოლის ველზე, ტყვიების ზუზუნში ამ მოსახსნამით ყოველთვის უწინებლად გადარჩენილა. 1942 წლის 24 ოქტომბრის დილას მოსახსნამი დაკარგა, რამდენიმე საათის შემდეგ კი სასიკვდილოდ დაიჭრა...

სიკვდილის წინ ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „ჩვენ, უცხოელებს მადლიერება გვმართებს იმ სიტბოსთვის, რომელიც საფრანგეთმა გამოიჩინა ჩვენდამი. ამის დასამტკიცებლად მისთვის სიცოცხლესაც არ ვიშურებთ!“

„ბრძოლის ველზე დაიღუპა გმირი, რომელმაც დათრგუნა ყველა ადამიანური სისუსტე, ღირსეულად განელო ხანმოკლე ცხოვრება და არავის წინაშე დაუჩოქია. მან დაუჩოქა მხოლოდ უფალს, ლეგიონის დროშას, ახლა კი სასიკვდილოდ დაჭრილმა შესამედ ჩაიხოქა ისე, რომ ვეღარ წამოღდა. ასე დაიღუპა 35 წლის დიმიტრი ამილახვარი, ქართველი ფრანგი ოფიცერი, მეთაური, ყველგან და ყოველთვის ღირსეული შვილი იყო თავისი გვარისა“, — ამ სიტყვებით დაემშვიდობა სახელოვან ქართველ რაინდს გენერალი მონკლარი.

დიმიტრი ამილახვარი ვერც საფრანგეთის გათავისუფლებას მოესწრო და ვერც ომის დამთავრებას. ქართველი ვაჟკაცი შორეულ ეგვიპტეში, სამძო სასაფლაოზე განისვენებს. მის სახელს ფრანგები არ იფიქრებენ და ყოველი წლის 24 ოქტომბერს თავს იყრიან მის წმინდა საფლავთან.

...დიმიტრი ამილახვარის დაღუპვიდან ორი წლის შემდეგ, 1944 წლის დეკემბერში, შობა დღეს, ირინე დადიანი უცხოელთა ლეგიონის ხელმძღვანელობამ ამილახვარის ხსოვნის საღამოზე მიიწვია. ირინე, თავისი მცირეწლოვანი ქალ-ვაჟითა და დით, ლეგიონისკენ სამხედრო მანქანით გაემშურა და ავტოკატასტროფაში დასთან ერთად დაიღუპა. ობლად

დარჩენილი ბავშვების აღზრდა დიმიტრი ამილახერის თანამებრძოლმა და მეგობარმა, შემდგომში საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა კენინგმა იკისრა. მაღლიერმა ფრანგებმა კი ობლები „საფრანგეთის შვილებად“ აღიარეს და მათთვის სითბო და სიყვარული არ მოუკლიათ.

საქართველოს ბედუკუდმართობის ბრალია, რომ ჩვენს სახელოვან მამულიშვილებს სამშობლოდან შორს უწევდათ ბრძოლა, მშობლიურად ქცეულ სხვა ქვეყანას იცავდნენ საკუთარი სისხლის ფასად.

დიმიტრი ამილახვარი, რომლის სახელიც სამწუხაროდ, საქართველოში ბევრმა არ იცის, საფრანგეთის ეროვნული გმირია. მისი სახელი ოქროს ასოებით არის შესული საფრანგეთის ისტორიაში.

დიმიტრი ამილახერის საფლავი ვევიბტეში, მშათა სასაფლაოზე



საფრანგეთის სამხედრო აკადემიისა და უცხოელთა ლეგიონის მუზეუმებში დაცულია დიმიტრი ამილახერის პირადი ნივთები და იმ ჭურვის ნამსხვრევი, თავში რომ მოხვდა. სენ-სირის სამხედრო სკოლის 1956 წლის გამოშვებას ამილახერის სახელი მიენიჭა. დიმიტრი ამილახვარი საფრანგეთში დღესაც კი იმდენად პოპულარულია, რომ ნებისმიერ ფრანგს, მითუმეტეს სამხედროს, რომ სთხოვო, დაასახელოს საფრანგეთის სამი ყველაზე გამორჩეული სამხედრო პირი, ასე გიპასუხებთ — ნაპოლეონი, შარლ დე გოლი, პრინცი ამილახვარი.

დიმიტრი ამილახვარმა სამუდამოდ დატოვა კვალი ნათელი საფრანგეთის თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაში, რის ერთ-ერთი დასტურიც გახლავთ ფრანგი პოეტის, მორის როსტანის მისდაძი მიძღვნილი ლექსი, რომელიც თარგმნა რუზო თაბუკაშვილმა.

წონა ღაბაშვიდი

მორის როსტანი

ლექნდად ქცევა სინამდვილეს
დროდარო შვენის,
დღევ უფერულო, უკვდავება
თურმე გელოდა!
უგრძესად იქცა უმოკლესი
სიცოცხლე შენი,
თავადიშვილო, იმ შორეულ
საქართველოდან.

მოგკლეს და მაინც ვგ სიკვდილი
სიკვდილს არ ჰგავდა,
აღარ დასცალდათ შენი სულის
გვემა ტიალებს,
შენი გმირობა რადგან უკვე
იქცა არაკად,
შენზე სათქმელი რაღა რჩება
მემატიანეს?!

პატარა ჯვარი უდაბნოში,
ზეცის კარებთან,
შუბლზე კი ორი ნატყვიარი
დაგრჩა იარად,
გმირობისათვის ერთი ტყვიაც
ხომ იკმარებდა,
მამ ეს სიცოცხლე სიკვდილს
ორჯერ რად ეზიარა?!

შენ ორი ტყვიით ორჯერ მოგკლეს,
კაცო ნათულო,
რომ შეწირული შენს საფრანგეთს,
შენს საქართველოს!

თარგმნა რუზო თაბუკაშვილმა

ქველი თბილისის დაკარგული ხედი

ბეჩანაძემ ხოლონიამ ტფილისში წმინდა ჰახია-ჰაჰიას სახელობის ევანგელუმი-ლათინური ეკლესია ააგო



XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან საქართველოში ჩამოსახლებას იწყებენ გერმანელი კოლონისტები. ეს პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა. გერმანელები სხვადასხვა ინტენსიურობითა და რაოდენობით შემოდინდნენ საქართველოში. პირველი ტალღის შედეგად (1817-1819 წლებში) ამიერკავკასიაში აღმოცენდა გერმანელთა რვა კომპაქტური დასახლება, მათგან ექვსი — საქართველოში.

საქართველოში შექმნილ კოლონიათა შორის ორი მოეწყო თბილისის მაშინდელ გარეუბანში: თბილისის კოლონია კუკიაზე და ალექსანდრესდორფი დიდუბეში. ამგვარად, გერმანელებმა იმთავითვე მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს დედაქალაქთან. ამასთან, საკუთრივ თბილისის გაფართოებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოიწვია დედაქალაქის სივრცეში კუკიისა და დიდუბის შემოსვლა. კოლონისტებმა, აღმოჩნდნენ რა თბილისის საზღვრებში, კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარეს დედაქალაქთან. გერმანელები აქტიურად ჩაებნენ თბილისის განვითარების პროცესში. შედეგად, გერმანელთა თბილისის

კოლონიებმა დიდი კულტურულ-ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა. ისინი დედაქალაქთან აკავშირებდნენ ქვეყანაში არსებულ სხვა კოლონიებს.

თბილისის გერმანელებმა ერთობლივი ძალისხმევით დაიწყეს ტრადიციული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც პირველ რიგში გამოიხატა მასშტაბური აღმშენებლობით სხვადასხვა სფეროში. ეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა თბილისის კოლონიების მნიშვნელობას და ხაზს უსვამდა თბილისის ახალშენის მისწრაფებას ერთგვარი ცენტრალური კოლონიის სტატუსის მოსაპოვებლად.

გერმანელთა მიერ თბილისში ტრადიცი-



ული გარემოს მოწყობისა და აღმშენებლობის ერთ-ერთი გამორჩეული შედეგი გახდა წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის აშენება. ტაძარი მდებარეობდა მიხეილის პროსპექტისა (1840-იანი წლების მიწურულიდან 1899 წლამდე მას ეწოდებოდა მიხეილის ქუჩა, საბჭოთა პერიოდში პლენანოვის პროსპექტი. ამჟამად კი დავით აღმაშენებლის პროსპექტია) და ე.წ. კირკის (ახლანდელი კოტე მარჯანიშვილის) ქუჩის კუთხეში. ტაძრის აგება დაიწყო 1894 წელს, საზეიმოდ აკურთხეს 1897 წლის 30 მაისს. ეკლესიამ ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იარსება. იგი მთლიანად დაანგრეს 1940-იანი წლების მიწურულში ტერიტორიის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. იქ არსებული

ეკლესიის კვალი მთლიანად წაიშალა.

თუმცა დაუპრუნდეთ ამ ეკლესიის ისტორიას.

საქართველოში დასახლებულმა გერმანელებმა თავიდანვე იზრუნეს ეკლესიებისა და სასწავლებლების მოწყობისთვის. სახელმწიფო ხაზინის დახმარებისა თუ ნებაყოფლობითი შეწირულობების სოლიდური ნაწილი სწორედ საეკლესიო ცხოვრების ორგანიზებას ხმარდებოდა. აღსანიშნავია, რომ თბილისის კოლონიაში გერმანელთა პირველი ეკლესია აშენდა 1820 წელს. მის ადგილას ახალი ტაძარი უკვე 1832 წელს აიგო. ტაძრების მშენებლობამ დღის წესრიგში დააყენა კოლონიებში საერთო საეკლესიო მმართველობის, საღვთისმსახურო სისტემისა და რელიგიური წესჩვეულებების მოწესრიგება. საქართველოში ჩამოსულ გერმანელთა შორის იყვნენ როგორც პროტესტანტი ლუთერანები, ისე სექტანტი ლუთერანები (სეპარატისტები, პილიასტები. მათი მოსაზრების თანახმად, მოახლოებული იყო სამყაროს დასასრული და აუცილებელი იყო თავის გადარჩენა წმინდა მიწაზე ჩასვლით ან მის სიახლოვეს ცხოვრებით). ამიტომაც ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ჩამოყალიბებულმა საეკლესიო წესდებამ (1832 წ.) საქართველოში დაამტკიცა ევანგელურ-ლუთერანული მრწამსი. წესდებას საფუძვლად დაედო ევანგელე (სახარება) და აუგსბურგის რელიგიური ზღვის ლუთერანული დოქტრინა (1555 წ.). ამგვარად, გერმანელთა ეკლესიებს საქართველოში, და მათ შორის წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესიას, ეწოდებოდა ევანგელურ-ლუთერანული.



თბილისის ხედი.
XX საუკუნის დასაწყისი

წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესიას, ისევე როგორც გერმანელთა ეკლესიებს ზოგადად, შემოკლებით უწოდებდნენ კირხეს (გერმანულად Kirche ნიშნავს ეკლესიას). იგი მთლიანად აშენდა თბილისში მცხოვრები გერმანელების ნებაყოფლობითი შემოწირულობებით. ტაძრის აგება დაახლოებით 50 ათას მანეთზე მეტი დაჯდა. შეწირულობებში დიდი წვლილი მიუძღვით რიგით გერმანელებსა და მათ ოჯახებს. XIX საუკუნის 90-იანი წლებისთვის საქართველოში მტკიცედ დაფუძნებულიყო გერმანული კაპიტალი. ამდენად, ეკლესიის მშენებლობისას მნიშვნელოვანი სახსრები გაიღეს აგრეთვე მეწარმე გერმანელთა მდიდარმა ოჯახებმა. ეს დიდი დახმარება იყო უბრალო მრევლის შენაწირთა ფონდისთვის.

ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 1894 წელს იმდროინდელი მიხეილის პროსპექტისა და ე.წ. კირკის ქუჩის კუთხეში ძველი ლუთერანული ეკლესიის (აშენდა 1834 წელს) ტერიტორიაზე. შედგება ახალი ეკლესიის უკანა მხარეს მოექცა ძველი ტაძარი. ძველი ტაძარი მცირე ზომისა იყო და ვერ იტევდა გაზრდილ მრევლს. ამიტომაც გადაწყდა გაცილებით დიდი ეკლესიის აშენება, რომელიც მრევლსაც დაიტევდა და გერმანელთა კოლონიის ღირსშესანიშნავი ადგილიც გახდებოდა. ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობდა სამი წლის განმავლობაში. ეკლესიის საზეიმო კურთხევა და გახსნა დაიკვამა 1896 წლის, 30 მაისს, კვირას. ტაძრის გახსნის დღეცა და მისი სახელობაც (მოციქულთა პეტრესა და პავლესი) მთლიანად განისაზღვრა კოლონიათა ვანგელურ-ლუთერანული წესდებით, რომლის მიხედვითაც რე-

ლიგიური წესები აღესრულებოდა კვირა დღეს ან წმინდა მოციქულთა ხსენების დღეს.

დღლით, ძველ პატარა ტაძარში მრავალსტუმართან და გერმანელთა მრევლთან ერთად შეიკრიბნენ: ლუთერანი სასულიერო კრებული გენერალ-სუპერინტენდენტის, პ. ფონ-ვეერეტის მეთაურობით; ლუთერანული ეკლესიის მშენებელი კომიტეტის წარმომადგენლები; ლუთერანული საეკლესიო საბჭოს წევრები; სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენლები. 10 საათისთვის ეკლესიაში მივიდა კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის უფროსი, გენერალ-ადიუტანტი, თავადი გრიგორი სერგის ძე გოლიცინი. 11-ის ნახევრისთვის ეკლესიაში მივიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე. ეკლესიაში ჩატარდა მცირე ლოცვა, რომლის შემდეგაც პ. ფონ-ვეერეტმა მრევლთან ერთად ძველი ეკლესიისადმი სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა.

ამის შემდეგ შეკრებლმა ხალხმა ნელ-ნელა დატოვა ძველი ეკლესია. პროცესია დაიძრა წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ახალაშენებული ეკლესიისკენ. მსვლელობას წინ მიუძღოდა ტაძრის არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი. მას ხავერდის ბალიშზე დასვენებული მიჰქონდა ახალი ეკლესიის მთავარი კარიბჭის გასაღები. პროცესიას მიაცილებდა ზარის ხმა ახალი ეკლესიის სამრევლოდან და სასულე ორკესტრი.

ახალ ეკლესიასთან შეკრების შემდეგ საეკლესიო მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარემ გუსტავ ივანეს ძე რადემ ლეოპოლდ ბილფელდისგან ჩაიბარა გასაღები და მიმართა პ. ფონ-ვეერეტს: „სამი წლის წინ ამ ადგი-



მიზელის პროსპექტი. ფოტოს შუაში მოჩანს გერმანელთა ეკლესია

ლას ამ ღვთის სახლის საფუძვლის ჩაყრისას თქვენ ბრძანეთ: ადამიანის ნებისმიერი წამოწყების წარმატება დამოკიდებულია ღვთის კურთხევაზე. ეს სიტყვები გამართლდა: ჩვენი ახალი ეკლესია აგებულია; გარეგანი ხედის მიხედვით ყველა დარწმუნდება, თუ რამდენად გამართლდა ჩვენი იმედები მაშენებლის მიმართ, შიგნითა ხედს კი ახლა ყველა დაინახავს. გთხოვთ, მიიღოთ ჩემგან გასაღები და გახსნათ ტაძარი“. კარიბჭის გახსნის შემდეგ შეკრებილები ეკლესიაში შევიდნენ, სადაც სრული ლიტურგია და ქადაგება გაიმართა. ამასთან პ. ფონ-ვეერტმა აღნიშნა რუსეთის იმპერატორის თანადგომა იმპერიაში ლუთერანული ეკლესიებისადმი. შემდეგ პ. ფონ-ვეერტმა აკურთხა საეკლესიო ჭურჭელი, საკურთხეველი, ორღანი და სამრეკლო. საზეიმო წირვას ასევე ესწრებოდნენ: გრიგორი სერგის ძე გოლიცინის თანაშემწე, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ფრეზე, კავალერიის გენერალი, კავკასიის საარმიო კორპუსის მეთაური, თავადი ივანე გივის ძე ამილახვარი, გუბერნიის მმართველი კონსტანტინ კონსტანტინის ძე სტეფანოვიჩი. წირვისას ეკლესიაში მარცხენა და მარჯვენა მხარეს წინა რიგები დაიკავეს თბილისის ევანგელურ-ლუთერანული საქალაქო სამრევლოს მაღალჩინოსნებმა. ლიტურგიის დროს ყურადღება მიიპყრო ადგილობრივი მრევლის წევრთაგან შექმნილმა მგალობელთა გუნდმა. საზეიმო ღონისძიება პირველი საათისთვის დასრულდა. საღამოს შეძლებული გერმანელი მეწარმის, ფ.კ. ვეტცელის ბაღში გაიმართა სადილი

მაღალი სასულიერო ხარისხის ლუთერანი სამღვდლო პირებისა და სხვა სტუმრებისთვის. ტაძრის არქიტექტორი იყო გერმანელი ლეოპოლდ პეტრეს ძე ბილფელდი, რომელმაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო და სანქტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემია დაამთავრა. 1868 წლიდან კავკასიის საფოსტო ოლქის არქიტექტორად მუშაობდა, 1875-1883 წლებში საგზაო-სამშენებლო კომიტეტის არქიტექტორად, 1883-დან 1917 წლამდე ე.წ. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორად... აღსანიშნავია, რომ ბილფელდის პროექტის მიხედვით 1904-1910 წლებში აიგო თბილისში ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური ტაძარი. წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ახალაშენებული ეკლესია უმნიშვნელოვანესი იყო თბილისის გერმანელებისთვის. კოლონისტების ყოველდღიური ცხოვრება (მაგალითად, ოჯახური ურთიერთობანი, სამეურნეო საქმიანობა, საქორწინო წეს-ჩვეულებანი) და ყველა სფერო განსაზღვრული იყო პროტესტანტული სარწმუნოების ეთიკითა და მოძღვრებით. ეკლესიის წინამძღოლი, პასტორი ამ ყველაფრის მქადაგებელი და დამცველი იყო. შედეგად, ახალაშენებული ეკლესიის ირგვლივ მთელი კოლონია შემოიკრიბა. ეს ტაძარი იქცა გერმანელთა მთავარ სასულიერო ცენტრად, რომელიც იტყვედა და აერთიანებდა თბილისის მთელ გერმანულ სამრევლოს. გარდა კოლონისტათვის სარწმუნოებრივი

მნიშვნელობისა, ახალ ეკლესიას კიდევ ერთი ფუნქცია მიენიჭა. იგი გადაიქცა კოლონისტთა კულტურულ-საზოგადოებრივ ცენტრად. მოციქულთა ხსენების დღეებზე, ასევე ყოველი თვის პირველ პარასკევს, ასევე ჯვრისწერებსა და ყოველ კვირა დღეს კოლონიის მთელი მოსახლეობა იკრიბებოდა ახალ დიდ ტაძარში წირვა-ლოცვისთვის. მთელი კვირის მუშაობის შემდეგ ოჯახები, სანათესაოები, ნაცნობ-უცნობი გერმანელები ერთმანეთს ზღვებოდნენ ეკლესიაში. რელიგიური რიტუალის შემდეგ ეკლესიის ფართო ეზოში გამოდიოდნენ. იქ მთელი დღეებისა თუ კვირის უნახავი გერმანელები ერთმანეთს ესალმებოდნენ, მოიკითხავდნენ. აქვე ახალგაზრდა ვაჟები და გოგონები ეცნობოდნენ ერთმანეთს და საფუძველი ეყრებოდა მომავალ ოჯახებს.

წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის გერმანელთა ეკლესიამ თავისი წვლილი შეიტანა არქიტექტურული კუთხით თბილისის ევროპეიზაციის პროცესშიც. XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან თბილისი პრაქტიკულად საბოლოოდ კარგავს ძველი, ფეოდალური ტიპის ქალაქის სახეს და სულ უფრო მეტად იძენს ევროპული ქალაქის ცალკეულ ნიშნებს. თბილისის არქიტექტურაში ინტენსიურად შემოდის


დასავლური ხუროთმოძღვრების ტრადიციები და თემატიკა. 1847 წელს გაზეთ „ზაკავკასსკი ვესტნიკი“ წერდა: „თბილისი ერთგვარი იანუსია, რომელიც ერთი სახით აზიისკენ არის მიმართული, მეორით – ევროპისკენ“. ამ ტენდენციაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიას, რომელიც თვალში საცემ დასავლურ იერს ქმნიდა. თბილისისთვის უცხო გოთიკური სტილის დიდი ზომის ეს ნაგებობა, ძალიან მაღალი სამრეკლოთი და ჯვრიანი შპილით ცენტრალური კარიბჭის თავზე, ქალაქის თითქმის ყველა უბნიდან ჩანდა. ეკლესიის სამრეკლო და შპილი დაახლოებით 10 მეტრით აღემატებოდა უბნის შენობათა სახურავებს.

გერმანელთა კოლონია მიმდებარე ტერიტორიებით ვაკე რელიეფზე მდებარეობდა. ეს სივრცე განაშენიანების შედეგად შედარებით მოკრძალებული, სადა და ერთ-ორსართულიანი სახლებით შეივსო. ასეთ ფონზე ახალი ეკლესია კიდევ უფრო გამოკვეთილი ზღვებოდა. თბილისისთვის იშვიათი გოთიკური სტილით იგი არა მარტო მიმდებარე ტერიტორიაზე ქმნიდა დასავლეთ ევროპულ იერს, არამედ მთელი დედაქალაქის ევროპეიზაციის ტენდენციაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეჭირა.

მინილ ბარნოვი

წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის გერმანულ-ლუთერანული ეკლესია თბილისში. 1897 წლის ფოტო





**როგორი იყო
იოსებ სტალინი
გარეგნულად**



ბათუმში პირველი დაპატიმრების შემდეგ ჟანდარმერიის მიერ შედგენილი სტალინის სხეულის დათვალიერების ოქმი

იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) გარეგნობის შესახებ ბოლო ხანებში უამრავი ჭკორი გაერცვლდა. დმერთმა უწყის, რომელ წყაროზე დაყრდნობით, მაგრამ დაბეჯითებით კი ამტკიცებენ, რომ იოსებ ჯუღაშვილს გააჩნდა თანდაყოლილი ფიზიკური ნაკლი (დაბრეცილი ფეხები ჰქონდა, ვერ ხმარობდა ცალ ხელს და სხვ.). არსებობს უტყუარი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ სტალინის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ. ესაა 1902 წლის 17 ივლისის ქალაქ ბათუმში ჟანდარმთა ცალკეული კორპუსის პოდპოლკოვნიკ შაბილსკისა და ბათუმის საქალაქო ექიმ ელიავას მიერ შედგენილი ოქმი სტალინის სხეულის დათვალიერების თაობაზე. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის 1886 წლის 26 მაისის №807 ცირკულარის მიხედვით, პირველი დაპატიმრების შემდეგ აუცილებლად უნდა შედგენილიყო პატიმრობაში მყოფის სხეულის დათვალიერების ოქმი, რომელიც 16 კითხვაზე პასუხის გაცემას ითვალისწინებდა. ოქმი დგებოდა ჟანდარმერიაში, მაგრამ ექიმის აუცილებელი მონაწი-

ლეობით. პატიმრის სხეულის დათვალიერების ოქმს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამ ოქმის საფუძველზე რამდენიმე წლის შემდეგაც უნდა ამოეცნოთ გარდაცვლილი პატიმარი, თუნდაც სხეული უაღრესად დასახიჩრებული ყოფილიყო. იოსებ ჯუღაშვილი 1902 წელს პირველად დააპატიმრეს ბათუმში და ხსენებული ცირკულარის საფუძველზე შედგა მისი სხეულის დათვალიერების ოქმი. ოქმში პატიმარ იოსებ ჯუღაშვილის სხეულის დათვალიერების შედეგად შემდეგ კითხვებს გაეცა პასუხი:

1. სიმაღლე — 2 არშინი და 4, 1/2 ვერშოკი (161, 8 სანტიმეტრი. — გ. ვ.).
2. ასაკი — 23 წელი.
3. სხეულის აგებულება — ნორმალური.
 - ა) აქვს თუ არა სხეულის ნაწილებზე რაიმე განსაკუთრებული — მარცხენა ფეხზე შეზრდილი აქვს მეორე და მესამე თითები.
 - ბ) აქვს თუ არა თავის დაჭერის რაიმე განსაკუთრებული მანერა — არა.
4. გარეგნობით მოხდენილი შთაბეჭდილება — ჩვეულებრივი.
5. თმის ფერი თავის, დაწვების, უღვაშე-

ბის, წვერის, ბაკენბარდების, წამწამების — თავის — მუქი წაბლისფერი, უღვაშებისა და წვერის — წაბლისფერი.

თმის ტიპი — სწორი.

თმის გარცხნილობა — გადავარცხნილი.

იპარსავს თუ არა თმას — არ იპარსავს.

6. თმის ფერი და სიდიდე, აქვს თუ არა გარეგნული დათვალიერებით რაიმე თავისებურება თვალებს, აქვს თუ არა რაიმე თავისებურება გარეგნული დაკვირვებით გამოხედვაში, შორსმხედველია თუ ახლომხედველი, ატარებს თუ არა სათვალეს — თვალები მუქი წაბლისფერია, საშუალო სიდიდის, სათვალეს არ ატარებს.

7. თავის ფორმა და განსაკუთრებული გარეგნული ნიშნები — ჩვეულებრივი.

8. შუბლის ფორმა და განსაკუთრებული ნიშნები — შუბლი სწორი, არცთუ ისე მაღალი.

9. ცხვირის ფორმა და ზომა — ცხვირი სწორი, გრძელი.

10. სახის ფორმა, კანის ფერი, აქვს თუ არა კანს რაიმე განსაკუთრებული გარეგნული ნიშნები — სახე გრძელი, ჩოფურა ნაყვავილარი.

11. პირის ღრუ, აკლია თუ არა კბილები და კერძოდ რომელი — ქვედა მარჯვენა ყბაზე აკლია წინა კბილი.

12. პირისა და ნიკაპის ფორმა, გარეგნული თავისებურებანი, აქვს თუ არა საუბრის დროს რაიმე ჩვევა (ემანჭება ტუჩები, იდიმება) — პირი ნორმალური, ნიკაპი წაწვეტებული,

ლი, საუბრისას რაიმე განსაკუთრებული ჩვევა არ აქვს.

13. ხმის ხასიათი, ებმის თუ არა ენა — ხმა წყნარი, ენა არ ებმის.

14. ყურების ფორმა და ზომა, აქვს თუ არა რაიმე განსაკუთრებული გარეგნული ნიშანი — ყურები საშუალო ზომისაა.

15. სიარულის მანერა და თავისებურებანი — ჩვეულებრივი.

16. აქვს თუ არა სხეულსა და მის დაბოლოებებზე ავადმყოფობის ნიშნები, ხალები და საერთოდ რაიმე განსაკუთრებული ნიშანი — მარცხენა ყურზე აქვს ხალი, სახეზე ნაყვავილარი.


ამრიგად, 1902 წლისთვის იოსებ სტალინს არ ჰქონია არანაირი ფიზიკური ნაკლი და ამდენად, გაურცელებელი ხმები, რომ სტალინი დაიბადა მნიშვნელოვანი ფიზიკური ნაკლით, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. შემდგომ წლებში სტალინის სხეულზე მართლაც შეინიშნებოდა ფიზიკური ნაკლი. ჟანდარმებმა ცემის დროს მას დაუზიანეს ნერვი, რის გამოც ძალიან უხერხულად ხმარობდა ხელს. ალბათ უინტერესო არ იქნება იმის ხაზგასმაც, რომ ხელის უხერხულად ხმარებას ზოგიერთი ავტორი მიაწერს სტალინის მიერ გადატანილ ინსულტს, რაც ასევე მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. როგორც აღვნიშნეთ, სტალინს ხელზე ნერვი ჟანდარმებმა ცემის დროს დაუზიანეს.

ვახტანგ ბურული



Ci vis pacem - Para Belum!

თუ გსურს მშვიდობა...
ემზავე ომისთვის!



 **არსენალი**

კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისათვის!



იქნებ ბევრმა არც იცის, რომ სასცენო მოღვაწეობა გენიალურმა რუსმა მომღერალმა ფიოდორ შალიაპინმა თბილისში დაიწყო XIX საუკუნის 90-იან წლებში. შალიაპინის ქართულ წარმომავლობაზეც ბევრს ლაპარაკობდნენ, თუმცა კი ოფიციალური დოკუმენტური მასალა აღნიშნულის შესახებ არ მოგვეძივება. სამაგიეროდ, მოგვეპოვება ხელოვნებათმცოდნე შალვა კაშმაძის ჩანაწერები, სადაც ბევრ სენსაციურ ამბავს ეხდება ფარდა რუსი მუსიკოსის მშობლების შესახებ.

ვინმე მელნიკოვას ქალი, ვისაც პრეტენზია ჰქონია შალიაპინის დედობაზე, „ქართული გაზეთის“ რედაქციაში მისულა და „მორცხვად“ განუცხადებია, შალიაპინი ჩემი შვილია, — დიახ, პატარა გოგო ვიყავი და „შემაცდინესო“...

ყველაფერი კი ასე მომხდარა: მელნიკოვა სტავროპოლის გუბერნიიდან ჩამოუყვანიათ მოსამსახურედ თბილისში XIX საუკუნის 70-იან წლებში. 14 წლისა ვინმე ბახუტაშვილს შეუცდენია. იგი შეძლებული კაცი ყოფილა, ღვინით მოვაჭრე და ცოლიც ჰყოლია. ფეხმძიმე გოგოსთვის ბახუტაშვილის მშობლებს უთქვამთ, — ბავშვს ჩვენ წავიყვანთ, ჩვენს მამულში, კახეთში გაგზრდით, შენ ვერ მოუვლი, ჯერ პატარა ხარო. მაგრამ ბიჭი დაბადებულა თუ არა,

ხეივანი შალიაპინის ქართველობაზე

ბებიაქალს ვინმე მეღუქნე სიკოს კარზე მიუგდია მთაწმინდაზე. მის ცოლს ბავშვის გაზრდა სდომებია, მაგრამ თვით სიკოს უარი უთქვამს. ამ დროს პოსტზე რიგითი პოლიციელი ივანე შალიაპინი მდგარა და ბავშვი მას წაუყვანია.

1908-1910 წლებში მრეცხავი ქალი მელნიკოვა მთაწმინდაზე პეტრე მირიანაშვილთან მუშაობდა თურმე და მისთვისაც მოუყოლია თავისი თავგადასავალი. პეტრე მირიანაშვილი ხშირად ამბობდა თურმე, — იმ სახლზე, სადაც შალიაპინი დაბადებულა, მემორიალური დაფა უნდა გაკეთდესო.

აღსანიშნავია ისიც, რომ მელნიკოვას განუცხადებია ფიოდორის შესახებ: მამასისს (ე.ი. ბახუტაშვილს) ძალიან კარგი ხმა ჰქონდა, ხოლო მამაჩემი სახელგანთქმული მგალობელი იყო, ეკლესიის გუნდში გალობდა და ჩემი შვილიც ამიტომ მღერის ასე კარგადო.

შალიაპინი შეხვედრია მელნიკოვას ქალს, რათა მისთვის „პასუხი მოეთხოვა“ ცილისწამებისთვის, მაგრამ... მის წინაშე განიარაღებული აღმოჩენილა. მეტიც, მისი შვილისთვის ასე მანეთი უჩუქებია, ხოლო შემდეგ მელნიკოვასთვის ათასი მანეთი გამოუგზავნია (რაც იმ დროისთვის საკმაოდ დიდი ფული იყო). შალიაპინს „დედისთვის“ შემდგომაც შეუთავაზებია ფული, როგორც ჩანს, „სინოემისთვის“, რაზედაც შეურაცხყოფილ მრეცხავს უარი განუცხადებია.

მართლაც დამაფიქრებელია ყოველივე ეს, თუ აქ ჩვეულებრივ ავანტიურასთან არ გვაქვს საქმე და მელნიკოვას ნაამბობი სიმართლეს შეესაბამება. მით უფრო, რომ შეუძლებელია ძველი პრესის ცალმხრივი ინფორმაციებით ზუსტი დასკვნის გამოტანა. ისიც ხომ იყო, რომ წინათ უამრავი „სენსაციური“ რამ იბეჭდებოდა, რომელთაც რეალური ნიადაგი არ გააჩნდა. ასეა თუ ისე, ქართველები ფიოდორ შალიაპინის ქართველობას იჩემებენ, რუსები ასე კვნიან, რომ რუსი პოლიციელის შვილი იყო. ერთი რამ ფაქტია: ფიოდორ შალიაპინი რუსული ვოკალური კულტურის სიამაყეა, თუმცა კი მისი ვინაობა ისევ და ისევ გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული.

სიმონ არველაძე
ნოსტან არველაძე

ბენეკალი გიორგი ერისთავი — თავრიზის აღების გმირი



როცა ვსაუბრობთ რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლების ომზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რუსეთის არმიის გამოჩენილი გენერლის, გიორგი ერისთავის მონაწილეობას ამ ომში.

ომის დაწყებამდე ეროვნებით ქართველი გენერალი მეთაურობდა 21-ე ქვეით დივიზიას.

1827 წელს, როდესაც სპარსეთთან საომარი მოქმედებები დაიწყო, მეფისნაცვალ კავკასიაში ივან ფიოდოროვიჩ პასკევიჩი ერევნის ციხისკენ დაიძრა, გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ერისთავს კი დაავალა ნახჭევანის ოლქის დაცვა. მის განკარგულებაში მცირერიცხოვანი რაზმი იყო და ამიტომ მისგან აქტიურ მოქმედებას არ მოითხოვდნენ. მეტიც, პასკევიჩმა იცოდა მისი შეუპოვარი სიმაძაქის ამბავი და ზუსტად განსაზღვრული დაგეგმვა კი მისცა — დაეცვა მხოლოდ და მხოლოდ ოლქის საზღვრები, მცირე მოძრაობა განეხორციელებინა მდინარე არაქსს იქით, რათა ერევნის ციხიდან მტრის ძალები ჩამოეცილებინა, მაგრამ კატეგორიულად აუკრძალა სპარსეთის სიღრმეში შეჭრა ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ოპერაციის განხორციელება.

მიუხედავად ამისა, ვითარება სულ სხვაგვარად წარიმართა, ვიდრე პასკევიჩი ვარაუდობდა. საშიშროება სწორედ იმ მხრიდან შეიქმნა, საიდანაც სრულიად არ მოელოდნენ.

ცნობილი გახდა, რომ აბას მირზა ერევნის სახანოს დატოვების შემდეგ მთელი თავისი ძალებით ნახჭევანის ოლქისკენ დაიძრა. სპარსელებმა იცოდნენ, რომ ერისთავს მცირე ძალები ჰყავდა, ამიტომ მოელოდნენ მის ადვილად განადგურებასა და ნახჭევანის დაცემას.

სპარსეთის წინააღმდეგ კამპანიის მთელი ბედი კვლავ საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. აბას მირზას გამარჯვების შემთხვევაში პასკევიჩი

იძულებული გახდებოდა, არა მარტო თავრიზზე ლაშქრობა გადაედო, არამედ ხელი აეღო ერევნის ოპერაციაზე და ალყაც მოეხსნა. მაგრამ ვიდრე აბას მირზა ამიერკავკასიის საზღვრებს მიუახლოვდებოდა, ერისთავმა დამხმარე ძალა მიიღო და აბას მირზას მდინარე არაქსზე შეხვდა. ორივე მხრიდან ძლიერი ბრძოლა წარიმართა. სპარსეთის ცხენოსანი ნაწილები შეეცადნენ მდინარის გადმოლახვას, მაგრამ ერისთავის რაზმის შეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩანაფიქრის ასრულება სპარსელთა მთავარმა ძალებმა ვერ მოახერხეს და უკან დაიხიეს. ერისთავი კი ნახჭევანში დაბრუნდა და სპარსეთის ტერიტორიაზე ჯუღფიდან გადავიდა.

2 ოქტომბერს ერისთავის რაზმი დარგინის ხეობით სპარსეთის საზღვრებისკენ დაიძრა და თავრიზამდე შუა გზაზე ქალაქი მარანდი და-



კავკასიის მეფისნაცვალ ივან ფიოდოროვიჩ პასკევიჩი

იკავა. რაზმმა ვერც კი მოასწრო დაბანაკება და დასვენება, რომ აბას მირზას მოახლოების ცნობა მოვიდა. ისიც მარანდზე მიდიოდა, მაგრამ როცა გაიგო, ქალაქი ერისთავს უკვე აედო, გეგმა შეცვალა — დაიკავა ნახჭევანის გზა და წინ გაჭრილ ერისთავის რაზმს გასასვლელი მოუჭრა არაქსიდან. ერისთავის რაზმი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ იგი ერევანთან პასკევიჩის გამარჯვებამ იხსნა. ერევნის დაცემამ დიდი გავლენა მოახდინა სპარსეთის ჯარზე, ის უბრალოდ უწესრიგოდ დაიფანტა. დარჩენილ ჯარს შეტევაზე ფიქრიც კი არ შეეძლო. ებრძანათ, ქალაქიდან ძვირფასეულობა გაეტანათ და მთელი სამხედრო მარაგი გაენადგურებინათ, რათა რუსებს ხელთ არ ეგდოთ.

გენერალმა ერისთავმა, როგორც კი დააზუსტა ცნობები სპარსელთა შესახებ, გადაწყვიტა სწრაფად ესარგებლა შექმნილი ვითარებით, ვიდრე აბას მირზა ახალ ღონისძიებებს მიმართავდა, და სპარსეთის სიღრმეში შეიჭრა. ოპერაციის მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და პასკევიჩის ნებართვის გარეშე თავრიზისკენ დაიძრა.

ერევნის აღების, რუსეთის ჯარის მიახლოებისა და აბას მირზას უკანასკნელი წარუმატებლობის ცნობებს იმდენად დიდი გავლენა მოუხდენია, რომ თავრიზის ციხის დამცველებმა ქალაქი დატოვეს და იგი ერისთავის რაზმმა უბრძოლველად დაიკავა.

ერისთავმა არ იცოდა, აპირებდნენ თუ არა ქალაქის დაცვას სპარსელები, რომელთა საკმაოდ დიდი მოცულობის ციხესიმაგრე აღჭურ-



ვილი იყო მრავალრიცხოვანი ქვეშევრდებით. იგი ელოდებოდა ვითარების გარკვევას. უცებ ციხესიმაგრის კარები გაიხსნა და ქალაქის პირველმა პირებმა მას თავრიზის გასაღები გადასცეს. პირველ პირთ წინ მიუძღოდა სამღვდელოება ხატებითა და ჯვრით. ერისთავმა მათი სიტყვა მოისმინა და 13 ოქტომბერს, შუადღისას, მუსიკითა და გაშლილი დროშებით იგი თავრიზში შევიდა.

სპარსეთის ასეთი ძლიერი ციხესიმაგრე

საბრძოლო მოქმედებები რუსეთ-ირანის ომის დროს. XIX საუკუნის ნახატი





თავრიზი. შუა საუკუნეების რუკა

იქამდე არასოდეს ასე იოლად არ ჩაჰბარებია მოწინააღმდეგეს (მით უმეტეს ქართველს).

გენერალ ერისთავის რაზმის ხელში აღმოჩნდა სპარსეთის არმიის მთელი სურსათი და სამხედრო საჭურველი, მდიდარი არსენალი, ყველა საწვობი და რაც მთავარია, თოფის წამლისა და იარაღის ჩამომსხმელი ქარხნები.

სამხედრო ნადავლს წარმოადგენდა აგრეთვე აბას მირზას ტახტი, საბრძანებელი კვერთხი, 40 ქვეშები და ორი დროშა. ტყვეთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო, მაგრამ მათ შორის გახლდათ ალაიარ-ხანი, რომელსაც ევლებოდა თავრიზის დაცვა.

გენერალ ერისთავის გამარჯვება და თავრიზის დაცემა სპარსეთის უდიდეს პოლიტიკურ მარცხს წარმოადგენდა.

პასკევიჩმა დიდხანს არ იცოდა თავრიზის აღების ამბავი, თუმცა მან იცოდა სპარსეთის სიღრმეში გენერალ ერისთავის რაზმის მოძრაობის შესახებ, და როცა ის ერეგნის აღებიდან მცირე შესვენების შემდეგ დაიძრა თავრიზისკენ, მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ ერისთავმა დაასწრო.

პასკევიჩი მთელი მრისხანებითა და საყვედურებით თავს დაესხა გენერალ ერისთავს. მან კი წყნარად მოისმინა ყველაფერი. ხოლო როდესაც პასკევიჩმა დაამთავრა სიტყვა, იგი

გამარჯვებულ გენერალს გადაეხვია და თავრიზის აღება მიულოცა.

თავრიზის აღებისთვის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მას უბოძა წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენი.

1830 წელს გენერალი ერისთავი გადადგა სამხედრო სამსახურიდან ასაკის გამო. მაშინ ის 70 წლისა იყო და დაინიშნა სენატორად.

გიორგი ერისთავს მინიჭებული ჰქონდა შემდეგი წოდებები: გენერალ-მაიორი (1813 წ.); გენერალ-ლეიტენანტი (1826 წ.); ინფანტერიის გენერალი (1846 წ.).

ქართველ გენერალს მიღებული ჰქონდა რუსეთის უმაღლესი ორდენები: წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის (1803 წ.); წმინდა ანდრია პირველწოდებულის (1861 წ.); წმინდა ვლადიმირის მე-3 (1813 წ.), მე-2 (1830 წ.), I-ელი (1856 წ.) ხარისხისა; წმინდა ანას მე-2 (1808 წ.), I-ელი (1822 წ.), I-ელი (1827 წ. — ბრილიანტის ნიშნებით) და I-ელი (1849 წ. — აღმასის ნიშნებით) ხარისხისა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა გორში, სადაც გარდაიცვალა 1863 წლის 2 ნოემბერს. დაკრძალულია ერისთავების საგვარეულო აკლდამაში, იკორთის ტაძარში, დასავლეთ სვეტთან. მისი საფლავი შემკულია მარმარილოთი.

გამოუკანონო

ალექსანდრე ნეველის ორდენი





ეპოქა, სანედან ხამაზ ჩხიკვაძე!

*მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნად აღარ არის, კიდევ უფრო მეტად შევივრძენით, რომ მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე ქართული კულტურის ბურჯი იყო. მისი უსაზღვრო ნიჭიერება სცდებოდა უბრალოდ ნიჭიერი მსახიობობის ფარგლებს, იყო დიდი ხელოვანი, რომელმაც ეპოქა შექმნა არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო თეატრის ისტორიაში. ეპოქა, სახელად რამაზ ჩხიკვაძე!
ვთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს დიდი არტისტის ცხოვრებიდან, რომელიც 81 წლის ასაკში გაიხსენა და ჩამაწერინა:*

თურმე ბავშვობისდროინდელი უფრო კარგად გახსოვს კაცს, ვიდრე თუნდაც გუშინწინდელი...

მახსოვს ორი მომენტი ცოცხალი სურათით... ჩვენთან მოდიოდა ბაბუა და ბებია... და მერე დედაჩემმა რომ მიმიყვანა ბაბუასთან. ის აუად იყო, იწვა. ჩვენ რომ შევედით, ფეხზე წამოგვიდგა... ამ დროს სულ ორი წლისა ვიყავი...

თბილისში ვიზრდებოდი. უსაყვარლესი ქა-

ლაქი იყო თბილისი: ლამაზი, სუფთა, პატარა. სადაც ახლა მე ვცხოვრობ, აქ არაფერი არ იყო, ტურები დარბოდნენ. აქ ვინ მოვიდოდა საცხოვრებლად! სადაც ახლა სპორტის სასახლეა, იქ ბაზრობა იყო. ის ადგილი ისე შორს იყო ჩემთვის, როგორც ლილოა. საბურთალოს ბაზარზე რომ წავიდოდი, ძალიან შორს მივდიოდი, გვეკონა.

1937 წელი კარგად მახსოვს. მაშინ 9 წლის ვიყავი. ტროცკისტების პერიოდიც მახსოვს,

როგორ მოდიოდა მანქანა, რომელსაც „ჩორნი ვორონს“ ეძახდნენ, ბავშვები გავეციკოდით და ვუყურებდით, ვის მიადგებოდა ეს მანქანა, რომელ ოჯახს დაეცემოდა თავზარი... ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდით, რა ხდებოდა, მაგრამ იმისი კი გვეშინოდა, ის მანქანა, ჩვენთან არ მოსულიყო.

ჩემი სახლის გვერდით იყო სკოლა. იქ დადიოდი. მერე ომი დაიწყო, ხან ერთ შენობაში გადაგვიყვანდნენ სასწავლებლად, ხან მეორეში. ამას ვაბრალებდი, იმიტომ ვეღარ ვსწავლობ, აქეთ-იქით რომ გვატარებენ-მეთქი, სინამდვილეში მეზარებოდა. მთელი ჩემი ყურადღება თეატრისკენ იყო მიმართული. პირველ კლასში ვიყავი, წამიყვანეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში. მაშინ უკვე ვსწავლობდი კონსერვატორიის ნიჭიერთა ათწლეულში, მშობლები მუსიკოსები იყვნენ და იმედი ჰქონდათ, მოცარტით საოცრება გავიზრდებოდი. ბავშვობაში ჩემი მელოდიებიც მქონდა, რაღაცას ვუკაკუნებდი როიალზე. თეატრი რომ ვნახე, არაფერი აღარ მინდოდა, დაკვრასაც კი თავი მივანებე, აღარ ვსწავლობდი. მინდოდა არტისტი გავმხდარიყავი. ახლა ვნანობ, მესწავლა... მცოდნოდა უკეთესი დაკვრა...

ახლა ვუკრავ ჩემთვის, მაგრამ ეს დაკვრა არ არის!

ჩემს ბუნებაში იჯდა თითქოს იმპროვიზაციის ნიჭი...

ომის წლები სოფელში გავატარე. ბებიასთან. ბომბი დაარტყეს ზესტაფონსო და ხალხი შეშინებული იყო. ჩვენ იქვე ახლოს ვიყავით — სოფელ წვეაში. ბებიას კაბა ჩავიცვი, სახე წყლის სადებავებით შევიღებე და ჩავსაფრდი ბუჩქებში... რომელიღაც მეზობლის კაცი მოდიოდა, გამოვედი და დავიწყე ბურბუცი, ვითომ უცხო ენაზე ვეკითხებოდი რაღაცას და ზესტაფონს ვახსენებდი... კინალამ გადაირია, შპიონია შემოსულიყო. აწრიალდა სოფელი, გამომეკიდნენ... ბიჭებმა ზომ იცოდნენ ჩემი ამბავი და იმათ გადამარჩინეს, — არაფერი უქნათ, არ მოკლათ, თებროლეს შვილიშვილიაო.

სოფელში ხან ვთოხნიდი, ხან ვეზმარებოდი ბებიას, უფრო თამაში მინდოდა... ჭონოურის წყალი იყო მოშორებით — ისეთი წყალი არსად არ დამილევია. დღეში ორჯერ-სამჯერ ჩაფით მივდიოდი და მომქონდა. ეს საქმე მიყვარდა! საერთოდ ბავშვობიდან მიყვარდა და მინდოდა მტვირთავობა, ძალიან მომწონდა სადგურზე „ნასილშიკები“ რომ იყვნენ, ისინი (ეს იყო მანამდე, ვიდრე თეატრს ვნახავდი). ავი-



რამაზ ჩხიკვაძე უგრძობოდ



„თურმე ბავშვობისდროინდელი უფრო კარგად გახსოვს კაცს, ვიდრე თუნდაც გუშინწინდელი...“

კიდებდი ტვირთს და დაუდიოდი ბედნიერად. მერე ბებია რომ წისქვილში მაგზავნიდა და რომ გადამკიდებდა საფეკვაუს, ალბათ 7-8 კილოს, სიამოვნებით მიმქონდა. მიყვარდა წისქვილში მოხუცების მოსმენა. მოიტანდნენ საფეკვაუს, დასხდებოდნენ და საუბრობდნენ. მერე ამოიღებდნენ მჭადს და ყველს, მეც მომიტყუებდნენ... დოქით ღვინოც ჰქონდათ. რა გემრიელი იყო ყველაფერი... ბებიაჩემის ყველის სუნი ახლაც ხელზე მაქვს შერჩენილი, ან როგორ მჭადს აცხობდა, ან ლობიოს როგორ კააზმავდა! იმის ჭამას არაფერი სჯობდა!

ადამიანობა იყო სხვანაირი... თბილისში, ჩვენს უბანში ძველი ბიჭები ცხოვრობდნენ და ისინიც კი კარგი ბიჭები იყვნენ... ჩვენ გვაგზავნიდნენ მაღაზიაში, როცა ზარს თამაშობდნენ... ასე ვიცნობდით და ვიცოდით, რას აკეთებდნენ. ერთ დღეს მილიცია დაესხათ თავს. დავინახე, ფულს მოხვიეს ხელი და წყალსადენ მილში შეტუნეს. გაიქცნენ... მივედი, ავიღე ფული, მაისურში ჩავიყარე. გამომებერა მუცელი, იმდენი ფული იყო! წაიღე და შინ ტახტის ქვეშ დავმალე. სამი-ოთხ დღეს არ გამოჩენილან ის ბიჭები. მერე მოვიდნენ ისევ. ავიღე ეს ფული და დავუმახე ერთ-ერთს... რა გინდაო, — შემომიბღვირა. საყელოში მომიკიდა ხელი, რა უნდა მითხრაო... ფული მაქვს შენახული-მეთქი. აბა, გენახათ რა გაიხარეს, ფული რომ გადმოუყვარე... გავხდი მაგათი საყვარელი ბიჭი რამაზა. ერთხელაც მოვიდნომეთ ზარის თამაში ბავშვებმა. დავსხედით იმ ადგილზე და დავიწყეთ. ფულზე არ ვთამაშობდით, მაგრამ გულში ხელს იმ ძველი ბიჭები-

ვით ვიბრაგუნებდით და ვიყავით ერთ ამბავში... ამ დროს მოვიდნენ ის ბიჭები. დაგვინახეს... რასა შევებითო... ჩვენ ამყად — ვთამაშობთ-მეთქი. რაც ჩვენ იმათ გვირტყევს! ახლაც მახსოვს, ერთმა კამათლები რომ მომიტანა და დამიტრიალა სახეზე, დამინგრია ცხვირ-პირი... იმათ იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ და ჩვენ არ მოგვცეს ცუდის გაკეთების უფლება... ყველას თავისი ღირსება ჰქონდა. ეს სიკეთე არასოდეს დამავიწყდება. ადრე ქურდი რომ იყო ვინმე, თავის უბანში არაფერს მოიპარავდა, ახლა შეილი მამას პარავს ჯიბიდან ფულს... ხაზინიდან ხომ იპარავენ და იპარავენ!

ცოტა რომ წამოვიზარდეთ, პიონერთა სასახლეში შევედით მე და ჩემი მეგობარი გივი ვლადიმერაშვილი. იქ ბევრნი მოვიდნენ ერთი-ორი წლის შემდეგ: კარლო საკანდელიძე, გურამ საღარაძე. ბედნიერი კაცი ვარ რომ, თავიდან ისეთი პედაგოგები მყავდა, როგორიც იყო ნოდარ ჩხეიძე, თედო წეროძე. ომი იყო... თან გვევებოდა ბატონი ნოდარი, რომ ცუდი არაფერი გაგვეკეთებინა, გზას არ ავცდენილიყავით. მოცლა არ გვქონდა, დრამწრეში ვიყავით, კალათბურთს ვთამაშობდით. მართალი ხალხი უნდა ვყოფილიყავით, ისე გაგვზარდა ნოდარ ჩხეიძემ. იმისთვისაც მოგვაშადა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში შევსულიყავით

თეატრალურ ინსტიტუტშიც საოცრად კარგი პედაგოგები დამხვდნენ: დოდო ალექსიძე, მალიკო მრეკლიშვილი... სასცენო ფარიკაობას ანატოლი ფიოდორიჩი ფიოდოროვი მასწავლიდა, შესანიშნავი კაცი იყო, ისეთი მცოდ-

ნე, რომ მის მიერ ნასწავლი სასცენო ფარიკაობით სპორტულ შეჯიბრში გამიყვანეს და მეორე ადგილი ავიღე თბილისში. ისიც, სპორტის ოსტატი იყო მეიფარიანი, იმასთან წავაგე. უფროსი კაცი იყო ჩემთან შედარებით... ამას იმიტომ ვიამბობთ, რომ მიხვდეთ, რამხელა პროფესიონალიზმი იყო მაშინ.

ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რას დაისვენებდი! ზაფხული ზაფხულს არ ჰკავდა... გასტროლები ძალიან გვიხაროდა, ხან მოსკოვი თვეში ორჯერ გვიშვებდა საგასტროლოდ. წარმატებებით ვბრუნდებოდით, თუმცა კი დიდი შრომაც გვიწევდა. ინსტიტუტიდან ახალმისულს თეატრში საკმაოდ დიდი დატვირთვა მქონდა. „ესპანელი მღვდელი“ ვითამაშე. ესეც ბეღია. მაღლობა უფალს, რომ საქმე სულ მქონდა, ამით განებივრებული ვიყავი. ვთამაშობდი და ვთამაშობდი მთავარ როლებს, ეპიზოდებიც მიყვარდა. მიშა თუმანიშვილი იყო ჩემი რეჟისორი, დოდო ალექსიძე, არჩილ ჩხარტიშვილი, თემურ ჩხეიძესთანაც ვითამაშე „სამანიშვილის დედინაცვალში“. მერე რობიკოს სპექტაკლებით მსოფლიო შემოვიარე. მამა ღმერთს მაღლობას ვუუბნებდი, რომ ასეთ საინტერესო ხალხს შემახვედრა... ძალიან დატვირთული და შეიძლება ითქვას, მუშაობისგან „ოფლიანი“ ცხოვრება გავიარე, მაგრამ კარგი ცხოვრება მქონდა და დაღლას ვერ ვგრძნობდი.

ხელმოკლედ არ ვცხოვრობდით. მინიმუმი მაშინ ყველას ჰქონდა, მამაჩემი ითვლებოდა,

რომ კარგად ცხოვრობდა... ჩვენზე ღარიბები ბევრი იყვნენ, მაგრამ რა იყო, ის ეკონომიკური სიძლიერე იცით? ის კი არა, რასაც დღეს თქვენ ეძახით...

მანქანები ბევრს ჰყავდა ჩემს ირგვლივ, მე არ მყავდა, მით უმეტეს, რომ ტარება ვიცოდი, ჯერ კიდევ „ჭრიჭინაიდან“ ვისწავლე. იქ მე ვატარებდი. მინდოდა, მანქანა მეყიდა, მაგრამ არ მქონდა საშუალება. მამა პროფესორი იყო, მაგრამ მანქანის ფული არ ჰქონდა. მერე დრო გავიდა და სურვილიც გამიქრა მანქანის ყიდვისა, დიდი დრო მიჰქონდა მანქანის პატრონობას, პრობლემასაც არჩენდა, იქ ვერ დააყენებდი, სადაც გინდოდა. მოკლედ, გადამვიდა თავიდან მანქანის სიყვარული და ნდობა.

მე, გოგი გეგეჭკორი, ბადრი კობახიძე, ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, გურამ სალარაძე, ვანიჩკა ჯინჯიხაძე, მათე შაიშმელაშვილი, ლაზარე ყაზბეგისვილი... ან ვშრომობდით, ან ვქეიფობდით.

ომის შემდეგ საქართველოში ახალგაზრდობამ აღარ იცოდა ღვინის დაღვევის წესი. არანორმალური სმა დაიწყო. საჭმელი არ იყო, მაგრამ ღვინო იყო... სარდაფებში ჩავდიოდით. იქ კასრებით იდგა, ჭიქებიც კი არ იყო, ქილებით — ნახევარლიტრიანი „ბანკებით“ ვსვამდით. მიეჩვია ხალხი... ისეთი ამბავი გახდა, ვაზებით, სურებით, აირწინალებით სვამდნენ. სუფრაზე ვაზიდან გადაყრიდნენ ხილს, გააპიპინებდნენ ღვინოთი და იალა! მეც დაგლიე აირწინაღით ერთხელ... პირში ჩავი-



რუსთაველის თეატრი



რამაზი და ნატაშა

დებდნენ შლანგივით რომ აქვს და... ასხამდნენ ზემოდან ღვინოს. სამ-ოთხ ლიტრს ისე დაველედი, ვითომ არაფერი. აზარტში შეედიოდით... ვიკლავდით რა თავს! მადა კარგი გექონდა და ვსვამდით და ვჭამდით. მერე მსოფლიო შემოვიარე, ღვინის ქვეყნებში ვნახე, ჭიქას ერთბაშად არავინ ცლის, მოსვამენ, დადგამენ... ჩვენი წინაპრებიც პატარა ჭიქებით სვამდნენ... ჩვენთან ბევრი ღვინოს სმის მოდა შემოვიდა და იმსხვერპლა კიდევ უამრავი ადამიანი. ბევრი მეგობარი გამომეცალა უდროოდ, რომლებიც არასწორმა სმამ და ჭამამ გახადა აუად. მე ღმერთმა გადამარჩინა.

ნადირობა არ მიყვარს, ძველი ფეხბურთელი იყო — სპარტაკ გეგელაუა, იმან წამიყვანა ერთხელ მთაში სანადიროდ, განთქმულ მონადირეებთან — ქირიკაშვილებთან ერთად. მანამ მიხვალ ჯიხვის მოსაკლავად, ისეთი ადგილები უნდა გადაიარო, ბეწვის ხიდივით. ვფიქრობდი, უკან როგორ უნდა დავბრუნდე, არ გადავვარდები-მეთქი?.. ჩემთვის პატივისცემა უნდოდათ. ქირიკაშვილმა, — ზევით ჯიხვის ჯოგია, მოუუღვი, გადმოურეკავ და შენ ესროლეო. წამოვიდნენ ჯიხვები. მოფრინავდნენ პირდაპირ. მართლა ჯოგი იყო... მიჭირავს ვინტოვკა. ათი მეტრი მამორებს მარტო, მაგრამ ვერ ვესროლე. საოცარი სილამაზე იყო. დამიძახეს იქიდან, რატომ არ ესროლე, დაგვეღუპე, კაცო? გაიჭვდა ვინტოვკა-მეთქი. ქირი-

კაშვილს ერთი დაუჭრია და იმის კვალს მიჰყვა, მოკლა და მოიტანა. ჯიხვის ცრემლიანი თვალი რომ ვნახე, ისე ცუდად გავხდი, იმის მერე სანადიროდ არ წავსულვარ.

თევზაობა უფრო მიყვარდა. ბავშვობაში ხელაობა ვიცოდით, იმერეთში ხელით ვიჭერდით თევზს...

გემზე გავიცანი ნატაშა. იმ გემზე რომ არ ვყოფილიყავი, ხომ არ შევხვდებოდი. მე და გურამი მივდიოდით ოდესაში. იალტაში შემოვიდა ნატაშა. რამ დავინახე, უზომოდ მომეწონა და ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიფიქრე ცოლის შერთვაზე, ასეთ ქალს შევირთავდი-მეთქი. ცხოვრებაში სხვა არავისზე მიფიქრია... ახლა რომ ამბობენ, ვიღაცა საცოლვე ჰყავდაო, შეილი ჰყავსო, სულ ტყუილია. ზოგი იმასაც ამბობს თურმე, რამაზ ჩხიკვაძის ცოლი ვიყავიო... არა, ღმერთმანი, საცოლვეც არ მყოლია ცხოვრებაში, ნატაშას გარდა. მერე აირდაირაა ყველაფერი, ჩემს მშობლებს ბევრი ცუდი რამ უთხრეს და გული ატკინეს... ურთიერთობა ისე დაგვეძაბა... ეს ყველაზე მძიმე მოსაგონარია... 30 წლის კაცი ვიყავი, ცოლი რომ შევირთე... როგორ შეიძლებოდა ასეთი ამბის ატეხა... არ მიაქცევ არავის ყურადღება. სახლიდან წამოვედი. ხან სად ვცხოვრობდით, ხან — სად. ოცი ბინა გვაქვს გამოცვლილი. სარდაფშიც ვცხოვრობდით, სხვენშიც, მერე ეროსისთან ვიყავით ცოტა ხანი, კარ-

ლოს ოჯახშიც ვცხოვრობდით... ედიშერ მა-
ღალაშვილთანაც... ეროსის მეზობლები იყვნენ
— უჩა და ოლიკო, იმათაც შეგვიფარეს... ორი
წელიწადი არ გამოგვიშვეს... არ მაიწყდება
არც ერთი მათგანი.

ხომ ხედავთ, რამდენ წელს გაუძლო სიყ-
ვარულმა. სახლიც ავაშენეთ. მეგობრებიც და-
მეხმარნენ. მათი მაღლიერი ვარ სამარადისოდ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე ვცხოვრობ-
დით ოპერის პირდაპირ. ამინდიც სხვანაირი
იყო, ზამთარი ზამთარს ჰგავდა, ზაფხული —
ზაფხულს. ზამთარში ვცივაობდით, ოპერამ-
დე ჩამოვსრიალდებოდით ხოლმე.

თავისი მუსიკა ჰქონდა ჩვენს ქალაქს, თა-
ვისი მოძღვრებები ჰყავდა. ვინა? — თბილისე-
ლი თუ წყნეთიდან ჩამოსული მოვაჭრეები! ჩა-
მოივლიდნენ და მუსიკალურად გაიძახოდნენ:
ხართუთაა! ააკოშკის შუშები! სამოვარნი პი-
ესოკ! სულ სხვადასხვა ტონალობაში იძახ-
დნენ. ყველაფერი ნატურალური იყო. ახლა
ყველაფერის გეშინია, აღარ იცი, რას მოგყი-
დიან. ხალხი იქამდე მივიდა, წამალსაც კი ტყუ-
ილს ამზადებენ. ამას როგორ იფიქრებდი კა-
ცი! ცარცის ნაჭერს ყიდულობს ვიღაც და აყ-
ლაპებს ავადმყოფ ბავშვს, რომელიც შეიძლე-
ბა მოკვდეს უწამლობით. მე რომ თბილისს ვიხ-
სენებ, სხვანაირი იყო, ასეთი რამ არ მოხდებ-
ოდა! ბიძაჩემი — ვანო ჯაბუა აფთიაქის გამ-
გე იყო. ის როგორ წარმოიდგენდა, რომ ვინ-
მე მოშხამულ წამალს მისცემდა ხალხს! შშვი-
დი, წყნარი ცხოვრება გექონდა. აბა, ახლა არის
ცხოვრება? ხალხს ვერ გაუგია, რა ქვეყანაში
ცხოვრობს, რა ცხოვრება ექნება. 81 წელს გა-
დავცილდი, ისე როგორ უნდა მოგკვდე, რომ
არ ვნახო და არ გავიხარო, რომ ჩემი ქვეყანა
უფლის გზაზე დადგა. ნორმალური ჯამაგირი
მანაც ხომ უნდა ჰქონდეს ყველას, რომ იც-
ხოვროს... ვნახოთ, კი ბატონო, რა იქნება!

პენსია დიდი მქონდა, მაგრამ მოიშალა ყვე-
ლაფერი და დაურჩით უსახსროდ. კიდევ კარ-
გი, სასტუმრო ავაშენეთ და ბიძინა ივანიშვილ-
მა დახმარება გამოგვიგზავნა მსახიობებს. და-
ილოცოს ეს ღვთის კაცი! ახლა მინდა გავყი-
დო ეს სასტუმრო და ვიყიდო ჩვეულებრივი
სახლი... ვიცინი: კაცო, სასტუმროდან როგორ
უნდა გავსვენდე-მეთქი! მეც მინდა სახლი
მქონდეს. ვერ გავყიდე...

და ა ვ ბ ე რ ი!

არ გჯერათ? ისევ კარგად ვთამაშობ? ახ-
ლა მე მკითხეთ...

აჲდ ვარ, დასუსტებული ვარ, ჯანი არა



მაქვს. ფეხები მტკიავა, გულიც მაწუხებს. მძიმე
ოპერაცია გავიკეთე, ნაწლავის კიბო მქონდა...
რომ მეგონა პაპილომა იყო, როგორც მოს-
კოვში მითხრეს... მერე პრდალაში გამსინჯეს და
პირდაპირ მომახალეს: კიბო გაქვითო! არ შემ-
შინებია... ერთი ის ვთხოვე ექიმს, გარეთ ცო-
ლი დგას და არ უთხრათ, რაც მაქვს, უბრა-
ლოდ უთხარით, რომ ოპერაცია მჭირდება-
მეთქი. ეტყობა, ექიმმა ვერ გაიგო რა ვთხოვე
და ნატამამ რომ შემოიხედა, მასაც უთხრა:
თქვენს ქმარს კიბო აქვსო... ოპერაციის წი-
ნაც არ შემშინებია, ვსუმრობდი...

„კავკასიურში“ რომ გამოვედი, პაუზა იყო,
ხალხი ტაშს უკრავდა და ვიფიქრე, ახლა უკან
გავალ-მეთქი, ისე ცუდად გავხდი. მერე თავს
ძალა დავატანე. მეორე ტაში ცოტა დიდხანს
გაგრძელდა და მოვსულიერდი... ძლივს ვითა-
მაშე. რაც დრო გადის, მეტად ვუძღვრდები.

ყველაზე მეტად მე არ მინდა თამაში? ჩემი
საყვარელი საქმეა... ნეტავ რიჩარდი მათამა-
შა ამ გამოცდილებით, კიდევ უკეთესად ვითა-
მაშებდი... არტისტი ძუნწია, ისე არ მიანებებს
თეატრს თავს, გული არ დაწყდეს... მაგრამ
რომ არ შეგიძლია!

ლეილა ჯიყაშვილი

როგორ შეიქმნა პირველი დამწერლობა დედამიწაზე

„ლურსმულის“ დაბადება თიხის სათვალავიდან

მსოფლიო ისტორიაში შუმერთა ყველაზე დიდ მონაპოვრად დამწერლობის შექმნა მიიჩნევა. უძველესი ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე არათუ ლურსმული დამწერლობის გაჩენამდე, არამედ შუმერთა საერთოდ გამოჩენამდეც დიდი ხნით ადრე არსებობდა ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის ე.წ. თიხის სათვალავების („ფიშკების“) სისტემა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ქონების აღრიცხვას ემსახურებოდა.



- ▲ სფეროს, მონეტის, კონუსის ფორმის თიხის სათვალავებით ძროხას, ცხვარსა და სხვა ობიექტებს აღრიცხავდნენ
- ▼ თიხის ფირფიტებზე დატანილი სიმბოლოები სათვალავების რაოდენობასა და სახეობებზე მიუთითებდა



სფეროს, მონეტის, კონუსისებრი თიხის სათვალავების ზომა 1-დან 3 სმ-მდე იყო. თითო სათვალავი ანუ ელემენტი თითო ობიექტს, მაგალითად, ძროხას, ცხვარს და სხვ. აღნიშნავდა და ქონების აღსარიცხავად ჯერ კიდევ ძვ.წ. IX ათასწლეულში გამოიყენებოდა.

დაახლოებით ძვ.წ. V ათასწლეულიდან კი სათვალავების უკეთ შესანახად, მათ სპეციალურ კონტეინერებში — გაცილებით მოზრდილ თიხის ბურთებში ათავსებდნენ, რომელსაც ბულა ეწოდებოდა. თავიდან ბულაში არსებული ინფორმაციის მისაღებად (მაგალითად, პირუტყვის სულადობის გასარკვევად) საჭირო იყო შესაბამისი ბულას დამსხვრევა.

ძვ.წ. 3300 წლისთვის ბულას ზედაპირზე გამოჩნდა პირველი სიმბოლოები, რომელიც მისი შიგთავსის ვიზუალურ აღწერილობას წარმოადგენდა. შესაბამისად, გაქრა ბულას დამსხვრევის საჭიროებაც. ბუნებრივია, მცირე ხანში გაქრა თავად სათვალავებიც, ხოლო ბულა თანდათან სხვადასხვა საგნის სიმბოლოებით დაფარულ ბრტყელ თიხის ფირფიტად იქცა. ასე გაჩნდა სხვადასხვა ნიშნით დაფარული პირველი თიხის ფირფიტა, რომელიც აღსაწერი ობიექტების რაობასა და რაოდენობას ასახავდა. ამ პირველყოფილ სიმბოლოებს „სასაქონლო“ ფორმა ჰქონდა და ე.წ. პიქტოგრამას ქმნიდა, სადაც ინფორმაცია ერთმანეთის მიყოლებით შესრულებული ნახატებით გადმოიცემოდა.

ძვ.წ. 3000 წლისთვის კი პიქტოგრამების გამოყენება ხდება უკვე ფონეტიკური დანიშნულებით და სიმბოლოებისგან თანდათან ისეთი სიტყვების შედგენა იწყება, რომელთაც პირდაპირი კავშირი აღარ ჰქონდათ გამოსახულ საგანთან. ამ ახალმა ფუნქციამ კი არსებული გამოსახულების სტილის შეცვლა განაპირობა. ჩანაწერის გასამართლებლად საგნების სიმბოლოები მოკლე მონაკვეთებად „დაიშალა“, რომლებიც უკვე თიხაში დახატვას კი არ საჭიროებდა, უბრალოდ, წვეტიანი ჯოხითაც შეიძლებოდა მათი ამოკაწვრა. სწორედ ამ პროცესის ლოგიკური შედეგი გახდა ლურსმული დამწერლობის გაჩენა. ძვ.წ. 2000 წლიდან კი ლურსმული დამწერლობა მთელ ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა.

მართალია, თიხის სათვალავების საშუალებით აღრიცხვის სისტემას ათასობით წლის განმავლობაში ბევრი სხვა ხალხიც იყენებდა, მაგრამ დამწერლობის პირველშემქმნელის პატივი სწორედ შუმერებს ხვდათ წილად.

*მომზადებულია
„ვსემირნაია ისტორიის“ მიხედვით*



სიმბოლოებმა თანდათან სიტყვების მნიშვნელობა შეიძინა და ამით სათავე დაედო ლურსმულ დამწერლობას



მარკო პოლო

უდიდესი მხვევანი თუ მახყუანი?



პოლოებს ბუხარაში პულაგუ გაენის წარმომადგენლები ხედეიან

როდესაც მარკო პოლო ვენეციაში 24 წლიანი მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა აღმოსავლეთიდან, მისი ნაამბობისა ცოტას თუ სჯეროდა. წლების მერე კი თითქოს უფრო სარწმუნო გახდა. დღეისთვის ეს საკითხი კვლავ ამოტყუტოდა და ეჭვის ქვეშაც დადგა: ბევრ მკვლევარს არ სჯერა, რომ მარკო პოლომ ჩინეთშიც იმოგზაურა. მაშ, სიმართლე რაღაა?

მარკო პოლოს გარდაცვალების შემდეგ, მოკლე ხანში, კერძოდ, 1324 წელს, დომინიკელი ბერის, ჯაკოპო დ'აკვის ცნობით, დიდ ვენეციელ მკვლევარსა და ჩინეთში მოგზაურს, სასიკვდილო სარეცელზე მწოლს, სთხოვეს, უარყო „უამრავი უცნაურობა, რაც სარწმუნოდ არ ჟღერდა“. მისი „მსოფლიოს აღწერა“ ყველაზე პოპულარული წიგნია სამოგზაურო

თემატიკაზე, რაც კი ოდესმე დაწერილა. წიგნი თვით მარკო პოლოს სიცოცხლეშიც პოპულარული იყო, თუმცა თანამედროვენი მის ავთენტიკურობას ეჭვქვეშ აყენებდნენ.

მარკო დაუსაბუთებლად უმტკიცებდა ყველას, ვინც კი მის მონათხრობს ეჭვით შეხედავდა, იმის ნახევარიც არ მომიყოლია, რაც სინამდვილეში ვიხილეო. ისტორიკოსებსაც

სწორედ ეს აფიქრებთ დღემდე — რა არ შე-
იტანა პოლომ წიგნში. ჩინეთში ყოფნის
თითქმის უტყუარი ფაქტებია წიგნში მოყ-
ვანილი, მაგრამ არც ჩინეთის კედლით გაო-
ცება იგრძნობა და არც ხის ჩხირებია ნახ-
სენები, რომელთაც ჩინელები ჩანგლის მა-
გოვრად იყენებენ. არ არის ნახსენები ჩაის
სმის ტრადიცია, რაც ევროპაში მხოლოდ
XVII საუკუნიდან დამკვიდრდა. არც ყმაწ-
ვილქალთა სარიტუალო ფეხთშეკვრაზეა
სიტყვა ნათქვამი.

იყო კი მარკო პოლო ჩინეთში და თუ ასეა,
სარწმუნოა მისი წიგნი მოგზაურობათა და მი-
სი ჩინეთში ყოფნის აღწერისას? რა ტიპის
წიგნი იყო? მოგზაურის თავგადასავლებია იქ
აღწერილი თუ ვაჭრის წიგნაკია? ან იქნებ
ქრისტიან მისიონერთა გზამკვლევაა? წიგნში
მონათხრობი მაინც თუა ისეთი შოკის მომ-
გვრელი, რომ გავლენა მოეხდინა თავისი დრო-
ის სამყაროზე? თან ისეთი გავლენა, რომ აღ-
მოჩენათა ეპოქის გარიჟრაჟზე აელაპარაკე-
ბინა მთელი ევროპა?

მარკო პოლოსადმი სკეპტიკური დამოკი-
დებულება შუა საუკუნეებიდან დღემდე
გრძელდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი პოლოს
ბიოგრაფიული მონაცემების სიმცირეა, რაც
ანალებში თუ არა, მისივე წიგნში უნდა ყოფი-
ლიყო თავმოყრილი. წიგნიდან ვიგებთ, რომ
მარკო 1254 წელს დაბადებულია. მამამისი ვე-
ნეციელი ვაჭარი ყოფილა, რაც იმხანად საზ-
ღვაო-საგაჭრო ქალაქებში, ვენეციასა და გე-
ნუაში სწრაფგანვითარებადი საქმიანობა იყო.



მარკო პოლო „თათრულ კოსტიუმში“

მარკო პოლოს მოგზაურობის რუკა. ბი-ბი-სის აუდიოწიგნების არქივიდან





ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი ჯვაროსნებმა ვენეციის წაქეზებით დაიპყრეს

ვენეციური ოქროს დუკატი, რომელიც პირველად XIII საუკუნეში გამოიჭედა, შუა საუკუნეების ევროპის ფულად მიმოქცევაში სულ მალე სტანდარტის სტატუსს იღებს. ჯვაროსანთა მიერ 1204 წელს ბიზანტიის აღების წყალობით ვენეციამ ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე — კონსტანტინოპოლის პორტზე დააწესა უფლებები.

XIII საუკუნის შუა წლებში არაერთი ვენეციელი დიდგვარადამკვიდრდა შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში, განსაკუთრებით კი ფირიმის პორტ სოლდაიაში (სუდაკი). მარკოს წიგნს თუ ვერწმუნებით, სწორედ სოლდაიდან დაიწყო 1260 წელს მისმა მამამ, ნიკოლომ და ბიამ, მათეომ, ოქროულით ვაჭრობა აბრეშუმის გზით ცენტრალურ აზიაში. მერე ყველაფერი შეიცვალა. მოკლე ხანში მონღოლებმა თითქმის მთელი აზია დაიპყრეს. პოლოს ძმები პირველი ევროპელები იყვნენ, ვინც დიადი ყუბილაი ხანი პირადად იხილა. ეს უკა-

ნასკნელი ჩინეთის მონღოლი მმართველი იყო. 1269 წელს ისინი ევროპაში გამობრუნდნენ ელჩებად და ყუბილაი ხანის უსტარი მართვეს რომის პაპს.

ორიოდე წლის თავზე მისმა ძმებმა ისევ ჩინეთისკენ იბრუნეს პირი. ამჟამად ვენეციიდან მოუხდათ გამგზავრება. მათ 17 წლის მარკო პოლოც ახლდათ. მარკოს გამოთვლით, ყუბილაის საზაფხულო რეზიდენციამდე, მანდუშდე, სამწელიწად-ნახევარი დასჭირდათ. პოლოებმა მომდევნო 17 წელიწადი ჩინეთში გაატარეს და კვლავ სამწლიანი მოგზაურობის შემდეგ, 1295 წელს, ვენეციაში დაბრუნდნენ. გენუაში ერთი-ორი წლით დაპატიმრებულმა (მიზეზი უცნობია) მარკომ თავისი ცნობილი წიგნი დაწერა თანამოსაკნის, მწერალ რუსტიჩელო და პიხას დახმარებით, რომელიც მარკოს მოგონებებს დაეყრდნო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსტიჩელომ „მწერლის“ როლი შეასრულა, ანუ მარკოს

მარკო პოლოს ქარავანი



მაგვირად დაწერა ტექსტი. წიგნი კი 1298 წელს დასრულდა.

ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსი პოლოს დაპატიმრებისა და წიგნის დაწერის ამბავს ეჭვის თვალთ უყურებს. მაგრამ როგორც უნდა იყოს წიგნი შედგენილი, ის მაინც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მარკოს შესახებ. მას ყუბილაის კარზე პატივით იღებენ; მოგზაური ოთხ ენას სწავლობს (არ ასახელებს რომლებს); მარკოს მნიშვნელოვანი დავალებით გზავნიან შორეულ ინდოეთში. აღსანიშნავია, რომ იმ დროის ჩინურ ანალებში მსგავსი არაფერია ნათქვამი, არც მისი მამა და ბიძა არაან ნახსენები.

მარკოს თქმით, მათ პაპის წერილი და იერუსალიმის წმინდა აკლდამის ჩირაღდნის წმინდა ზეთით სავსე ფიალა გადასცეს დიდ ყაენს. არც ეს მტკიცდება დოკუმენტურად. წიგნის მიხედვით, მარკო დიდი ქალაქის, იანჩოუს მმართველი გახდა. ქალაქი იანძის ნაპირებზე მდებარეობს. მარკომ ამ პოსტზე სამ წელიწადს დაყო. თუმცა ქალაქის თავთა ნუსხაში აღგილობრივი მემატეიანეები მარკოს არ მოიხსენიებენ. აქვეა უფრო ამკარა ტყუილიც. მარკოსა და უფროს პოლოებზე წიგნში ნათქვამია, რომ ყაენმა ისინი სამი სააღყო ლოდსატყორცნის მშენებლობის ზედამხედველებად დანიშნა. ლოდსატყორცნებს 336 კგ ლოდის ტყორცნა უნდა შესძლებოდა სიანფანის ავანპოსტზე. თუმცა ალკა 1273 წელს უკვე იყო დაწყებული, ანუ ერთი წლით ადრე, სანამ პოლო-

ვენიციელი მოგზაურები ყუბილაი ხანთან



ზელნაწერი, რომელიც პოლოების მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს



თეატრის მსახიობები. ჩინეთი



ყუბილაი ხანი

ები ჩინეთს მიადწევდნენ, ხოლო ამ საბრძოლო მანქანების აგება მუსლიმ ინჟინრებს მიეწერება.

ჩინურ წყაროებში მარკო პოლო მხოლოდ ერთხელაა ნახსენები. მისი სახელი სარკინოზის, სახელად აჰმადის მკვლელობას უკავშირდება. ტირანობით სახელგანთქმულ აჰმადს ვინმე ჩენჩუმ თუ ვანგჩუმ წააცალა ხმლით თავი. მარკო ამ მკვლელობის ამბავს გვიყვება და დასძენს, რომ „ის ამ დროს თავის ადგილზე იყო“. ეს ამბავი ჩინურ ანალებშიც დასტურდება, სადაც ვკითხულობთ: „ჩანგანიდან დაბრუნებულმა იმპერატორმა ისურვა, საიდუმლო საბჭოს დამხმარე მარკო პოლოს აეხსნა ვანგჩუს მიერ ჩადენილი მკვლელობის მიზეზები. მარკომაც თამამად აუხსნა აჰმადის დანაშაული და ტირანია, რომელსაც მთელ იმპერიაში სისასტიკის გამო სიძულვილი დაემსახურებინა. იმპერატორმა თვალევი ჭყიტა და ვანგჩუს სიმამაცის ქება აღაუღინა“.

მარკოს წიგნში რომ ბევრი რამ არ არის ნახსენები, ამას შეიძლება ახსნა მოეძებნოს. XIII საუკუნის ბოლოსთვის „დიდი კედლის“ უმეტესი ნაწილი დანგრეული იყო. დღეს შემორჩენილი კედლის უმეტესი ნაწილი XV-XVI საუკუნეებშია აგებული. მარკოს შემდეგ, 1324 წელს, მოგზაურთა ჩანაწერებშიც ვერსად ვხვდებით „დიდი კედლის“ ხსენებას. მარკოს პერიოდში ჩაის სმის ტრადიცია სამხრეთ ჩინეთში იყო დამკვიდრებული, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ჩინეთში კი, სადაც მარკომ უმეტესი დრო გაატარა, ჯერ არ იყო ფეხმოკიდებული. მართალია, მოგზაურობათა წიგნში ბევრ რამეზეა დუმილი, რაც ერთგვარ დაეჭვებას იწვევს შინაარსის ნამდვილობაში, მაგრამ ეს იმის დამამტკიცებელ საბუთს მაინც არ იძლევა, რომ ხელაღებით უარვყოთ ნაშრომის ღირსება. მაშ, რაღა საჭიროა ამდენი უმართებულობა? ალბათ, იმიტომ, რომ სათქმელის შინაარსი გამძაფრებულიყო. „თუ რამ გაუმართავია ტექსტში, — როგორც ერთი თანამედროვე ისტორიკოსი ამტკიცებს, — მხოლოდ მან უნდა თქვას, ვინც მარკოს პირადად იცნობდა და იცოდა, თუ რაზე ლაპარაკობდა“.

თუ ვივარაუდებთ, რომ წიგნი იმ ადამიანის მიერაა დაწერილი, ვინც არასდროს ყოფილა ჩინეთში, მაშინ როგორ მოხვდებოდა მონდოლთა მმართველობის პერიოდის ჩინეთის დეტალური აღწერა წიგნში? ზოგიერთს მიაჩნია, რომ მთელი ინფორმაცია მონდოლეთის დასავლეთ საზღვრებზე ვაჭართა საუბრე-

ბიდან არის შეკრებილი. ეს საზღვარი იმხანად შავი ზღვის ჩრდილოეთით ოქროს ურდოდან გადიოდა. ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთის აღწერა მარკოს შექმლო სპარსეთშიც მოესმინა. ისტორიკოსები ამ მოსაზრებას იმით ამყარებენ, რომ წიგნის ენა და ტოპონიმოგრაფიული ძალიან ჰგავს სპარსულს. თუკი მარკო პოლო ჩინეთში იყო ნამყოფი, მაშინ უფრო მეტი მონღოლური სიტყვა უნდა გამოეყენებინა წერისას.

თუმცა ამ სპეციფიკურ შემთხვევასაც მოემბნება ახსნა. იმხანად სპარსული ენა საერთაშორისო ენა იყო აღმოსავლეთში და ყუბილიას კარზეც. ასევე შესაძლებელია, რომ პოლოებს ცენტრალურ ან დასავლეთ აზიაში ორი დეკადა ემოგზაურათ და ვაჭრებისა და ბაზრის უსასრულო ჭორებისთვის ესმინათ, საიდანაც ერთგვარად გეოგრაფიულ მონაცემებსაც დაადგენდნენ იმ ქალაქებზე, რომლებიც თუნდაც ნანახი არ ჰქონოდათ... ისტორიკოსთა მეორე ნაწილი კი სულ სხვაგვარად ფიქრობს: თუკი პოლოებს მართლაც არსად უმოგზაურიათ, მაშ, როგორ ჩაიტანდნენ ვენეციაში ცნობებს, რომელთაც იმდროინდელ ვერ-

პელ ვაჭართა არაერთი წარმომადგენელი ადასტურებს და იმავე აღწერილობას იძლევა?

ისტორიკოსთა კამათს იწვევს ოქროს ფირფიტაც, იგივე პაიცა, რომელიც, მარკოს თქმით, დიდმა ყაენმა ყუბილიამ მამამისსა და ბიძამისს გადასცა, თუმცა მერე ისევ მის მფლობელობაში მოხვდა. მოგონო ფირფიტა სიგრძით 305 მმ, სიგანით 76 მმ იყო და ყელზე დაკიდებულს ატარებდნენ. ვენეციისკენ მიმავალი და უკან, მონღოლეთის გზაზე, პოლოები ამ ფირფიტას ყველას აჩვენებდნენ, რათა უდიდეს იმპერიაში არსად შექმნოდათ გადაადგილების პრობლემა. ზოგი ფიქრობს, რომ მონღოლეთის რომელიმე პროვინციის ადგილობრივი ყაენის მიცემული უნდა ყოფილიყო ოქროს ფირფიტა. ცხადია, მათეო, შესაძლოა, ცრუობდეს, როდესაც ამბობს, ფირფიტა თათართა ბრწყინვალე ყაენმა გვისახსოვრაო. ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს შეფასება მხოლოდ ყუბილია ყაენის მისამართით უნდა თქმულიყო.

მარკო პოლოს წიგნის დეტალთა დიდი ნაწილი მის ნამდვილობაზე მეტყველებს. აქ, ერთი მხრივ, ჩინეთის ქალაქების ერთიმეორეს მი-



მარკო პოლო სპილოებთან და აქლემებთან ერთად ჩადის პორმუზში, სპარსეთის ყურეში ინდოეთიდან



ნიკოლა და მათეო პოლოები პაპ გრეგორი X-ს გადასცემენ ყუბილას ხანის უსტარს

ყოლებით აღწერას დიდი ნაწილი ეთობა, საერთო ჯამში, 30 ქალაქზე მეტია მოცემული და მათი მოსახლეობა დაწვრილებით დახასიათებული. მეორე მხრივ, მართალია, მწირად, მაგრამ საუბარია იაპონიასა და ყუბილას წარუმატებელი შეჭრის შესახებ ამ კუნძულზე (მარკო იაპონიას ზიპანუს უწოდებს). იაპონია, თავის მხრივ, უცნობი იყო ცენტრალური აზიისა და ევროპისთვის XVI საუკუნემდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იაპონიაზე თუ რამეს გაიგებდა მარკო, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩინეთში მოხდებოდა.

მარკო პოლოს სამოგზაურო წიგნი ჩინეთის საზოგადოებას კლასობრივად დიფერენცირებულს გვიხატავს, რომლის შესახებაც დასავლეთში საკმარისი ინფორმაცია არ მოიპოვება. ქალაქები კვადრატულად არის ნაშენი, მათემატიკური სიზუსტით. დიდი ყაენი თავისი ხალხის ერთგულია და შიმშილისა და

ძნელბედობის ჟამსაც კი ამარაგებს მათ საკვებით. პასუხად, ხალხიც რიდითა და მოწიწებით არის განწყობილი მბრძანებლისადმი და მისი ზამთრის სასახლის, ხან-ბალის (ან ხან-ბალიყი, დღევანდელი პეკინი. მარკო პოლო მას Cambaluc-ს უწოდებს). მისადგომებთან რამდენიმე კილომეტრზე ყველა მოკრძალებით ახსენებს ყაენს და სიმშვიდეს იცავს. ყოველი ქალაქის შემოგარენში ჯარი დგას, რომელიც ვალდებულია, პოტენციური ჯანყი აღკვეთოს, ხოლო თავად ჯარი ორ წელიწადში ერთხელ იცვლება, რათა შიდა წოდებათშორისი უთანხმოება არ მოხდეს.

დახვეწილი საფოსტო სისტემა დედაქალაქს პროვინციებთან აკავშირებს მთელ იმპერიაში. გზებზე საფოსტო სახლებია აგებული, სადაც 400 ცხენი მუდმივ მზადყოფნაშია მეფის მაცნეთა გადასაყვანად. ამბობენ, იმპერიაში 200 ათასი საფოსტო ცხენიაო. მიმოქ-

ახალი და ძველი ყარაყორუმის თანამედროვე პანორამა



ცევაშია ქალაქის ფული, რომელიც ხან-ბალის ზარაფხანაშია მოჭრილი და „ვერავინ იზრახვის მის უარყოფას ვაჭრობაში“. აქვეა „შავი ქვა“, რომელსაც კლდეებიდან ეზიდებიან, სადაც „ნაპრალებში უხვად მოიპოვება“. როდესაც ცეცხლს მიუკიდებენ, ნახშირით იწვის და შემდეგ დიდხანს ინარჩუნებს ცეცხლს. ქვანახშირის (მარკო ამ სიტყვას არ იყენებს) წყალობით, ყოველ მოხელესა და მდიდარს შეუძლია კვირაში ორ-სამჯერ ცხელი აბაზანით ისიამოვნოს.

პოლოს მოხსენებაში, სადაც ჩინელი გლეხობის სიღარიბეზე არაფერია ნათქვამი, ყველაზე შთამბეჭდავია უხვმოსავლიანი მიწის აღწერა, რაზეც დასავლეთში არაფერი იცოდნენ. მარტო ყაენის ზამთრის სასახლის წინა ეზო იწვევს გაოცებას თავისი ზომებით, რაც აქამდე არავის უხილავს: ეზო ყოველი მხრიდან 13 კილომეტრია. პირად მცველებად იმპერატორს 12 ათასი მხედარი ჰყავს. დაბადების დღისთვის ის 20 ათას გვარიშვილსა და სამხედროს ოქროსფერი აბრეშუმით მოსავს. მათ გვირგვინოსნისთვის საჩუქრები მიაქვთ და, წესის თანახმად, „ცხრაჯერ ცხრა ძღვენია საბოძვარი ერთ ნივთზე.“ ამდენად, თუკი რომელიმე პროვინცია რაშებს გაუგზავნის საჩუქრად, მათი რაოდენობა 81 იქნება. ასე რომ, საიუბილეოდ იმპერატორი არანაკლებ ასი ათას ქურანას იღებს.

ყაენი ხან-ბალიში გამოზამთრების შემდეგ ჩრდილოეთში წასულა ფოცხვერებითა და ჯიქებით ირმებზე სანადიროდ. ლომებიც თან წაუყვანია, ბაბილონის ლომებზე უფრო დიდები, რათა ტანებსა და ირმებზე ნადირობა გაადვილებოდა. არწივები კი მგლებზე სანადიროდ ჰყოლია დაგემილი. ნახსენებია ათი ათასზე მეტი ბაზიერიც. ეს ნადირობა, რომელმაც მარტიდან მაისის ჩათვლით გასტანა, „სხვა გასართობთა შორის უბადლოა ამქვეყნად“. შესაძლოა, ყაენი ამ სამყაროს სულ სხვა თვალით უყურებდა, რადგან მას ოთხი ცოლი და ასობით ზარტა ესვა.

„მსოფლიოს აღწერა“ სათავგადასავლო წიგნი როდია, არც დღევანდლობაში კარგად ცნობილი გზამკვლევაა. წიგნი არ მოგვითხრობს ხიფათსა და სამინელებზე, არც გზად შემხვედრ ვაჭართა საუბრებზეა სიტყვა ნათქვამი. ეს გახლავთ ყოვლისმომცველი კატალოგი სანელებლებსა და მათი მოპოვების ადგილებზე და ვენეციელ მკითხველს სულაც არ სთავაზობს აღმოსავლეთში საქმის წარმოების



სან ლორენცოს ეკლესია ვენეციაში, სადაც დაკრძალულია მარკო პოლო

ხელოვნების შესწავლას. წიგნის ძირითადი არსი გეოგრაფია და მონოლოური კულტურის გაცნობაა მკითხველთათვის.

მარკოს მონათხრობი მოსაწყენია. ქალაქების უსასრულო სია თავმომბაზნებელია. მაგრამ ამ წიგნმა შუა საუკუნეების მკითხველებს პირველი წარმოდგენა შეუქმნა ახალ სამყაროზე, მრავალრიცხოვანი ქალაქებით დასახლებულ, აყვავებულ და საქმიან აღმოსავლეთზე, რომელიც გაცილებით მდიდარი იყო ევროპაზე და ვერც ერთი ევროპელი მსგავს დოვლათს ვერც კი წარმოიდგენდა. ქრისტეფორე კოლუმბმა ეს წიგნი გულდასმით წაიკითხა და არაერთი ძვირფასი თვლის შესახებ ცნობები ამოიწერა. იყო თუ არა მარკო პოლო ნამყოფი ჩინეთში, იმაზე მნიშვნელოვანი არ გახლავთ, ვიდრე ის, თუ რამხელა გავლენა მოახდინა მისმა წიგნმა იმ ადგილებამდე მისაღწევი საზღვაო გზების ძიებაზე, რომლებიც მის წიგნშია აღწერილი.

National Geographic-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოების“ მიხედვით მოამზადა ლევან ინასარიძემ

გრენლანდიის მსხოპრები

ამერიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე მსოფლიოს უდიდესი კუნძულის, გრენლანდიის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ძირძველი მცხოვრებნი — ესკიმოსები შეადგენენ, დანარჩენები ევროპელები, ძირითადად კი დანიელები არიან (გრენლანდია დანიის სახელმწიფო ტერიტორიას წარმოადგენს). ესკიმოსები მიეკუთვნებიან მონღოლოიდურ რასას. მთელ გრენლანდიაზე 50 ათასამდე მცხოვრებია, აქედან ესკიმოსების რაოდენობა 40 ათასამდეა.



ესკიმოსი გრენლანდიიდან

კუნძულის მოსახლეობა ცხოვრობს 50-მდე პატარა ქალაქში, ქალაქური ტიპის დასახლებასა და სოფელში. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ნადირობს და თევზაობს. როგორც ალასკელი ესკიმოსები, გრენლანდიელებიც ზღვაში გადიოდნენ ტყავის ნაუბით — კაიაკებით, რომლებიც თანამედროვე ბაიარებს ჰგავს. ისინი ცხოვრობდნენ ნახევრად მიწურებში, რომელსაც სელაპის ცხიმის ჭრაქით ანათებდნენ.

ესკიმოსების ტანსაცმელი მორგებულია ცივი კლიმატის პირობებს. სელაპის, ირმის ან თეთრი დათვის ბეწვისგან ისინი იკერავენ კააკუშონიან შემოსაცმელსა და შარვლებს, ფეხზე იცვამენ წინდებს (შიგნით მოქცეული ბეწვით) და ბეწვისავე ჩექმებს. ქალისა და მამაკაცის სამოსი თითქმის არ განსხვავდება, თუმცა ქალის ტანსაცმლისთვის აუცილებელი ატრიბუტია ზურგზე მოკიდებული ბეწვის ტომარა ჩვილი ბავშვისთვის. სადღესასწაულო

გრენლანდიელი ესკიმოსების ოჯახი. 1917 წ.



ტანსაცმელს რთავენ ტყავისა და შალის ფერადი ზოლებიდან გამოყვანილი ორნამენტებით.

ხანგრძლივ სამთარში, საღამოობით, ნახევრად ბნელ საცხოვრებელში ესკიმოსები ყვებიან თქმულებებს თავიანთი წარმოშობის შესახებ, იმაზე, თუ როგორ გაჩნდა მზე, მთვარე, მთები, მყინვარები; ასევე ჯუჯებსა და გოლიათებთან დაკავშირებულ ლეგენდებს, ზღაპრებს ცხოველებისა და მათი თავგადასავლების შესახებ და სხვ. ზოგჯერ აწვობენ ზეიმებს, რაც ამრავალფეროვნებს მათ ცხოვრებას, ხანგრძლივ პოლარულ ღამეებს.

ამჟამად გრენლანდიაში უკვე აშენდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ცენტრალური გათბობით. მშენებლობები ისევე გრძელდება. წარსულს ჰბარდება ძველი ტიპის სადგომებიცა და ტრადიციული ტანსაცმელიც. ნაციონალურ ესკიმოსურ კოსტიუმს გრენლანდიის დასავლეთ სანაპიროს მცხოვრებნი მხოლოდ დღესასწაულისა და წარმოდგენების დროს იცვამენ. ხშირად ამგვარი ტანსაცმელი იკრება დათვის, სელაპის, თეთრი ძელიის ბეწვისგან.

გრენლანდიელთა საკვებში ძირითადი ადგილი თანდათან დაიკავა ევროპულმა პროდუქტებმა. კუნძულის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში მცხოვრებთა კვების რაციონში კვლავ ჭარბობს თევზი და ზღვის პროდუქტები.

ლია მაჭავარიანი
ნოდარ ელიზბარაშვილი



▲ ფრანგულ პრესაში 1866 წელს გამოქვეყნებული მასალა გრენლანდიის შესახებ

ესკიმოსების თანამედროვე დასახლება ▼



როგორ „გაჰყარსოთ“ ვილიონები

კინგ ჟილეტი – ყველაზე
„დიდებული“ წვრილმანის
ბამომბონაბელი

კინგ კემ ჟილეტი არა მარტო უჩვეულო საპარსი გამოიგონა, არამედ მომხმარებელს მისი გამოყენების ახალი კულტურა შესთავაზა: წლობით კი არ უნდა შეინახო, არამედ ისარგებლო და გადააგდო. მან მოიფიქრა ახალი იდეოლოგია და ერთჯერადი ცხვირსახოცის, სანთებლის, ჭიქისა და თუფშის შემქნასაც მისცა ბიძგი. ეს იყო ბრწყინვალე იდეა, რომლის ნაყოფით დღესაც ვსარგებლობთ.



„მამაკაცისთვის ამაჰე შარამსი არაჰმერია“

1895 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს სარკეში ჩაიხედა და შეიკურთხა. ამ „ტკბილისიტყვაობის“ სხვადასხვა ვარიანტს ყოველ დღით წარმოთქვამენ მამაკაცები, განურჩევლად ეროვნებისა და პროფესიისა, რომელთაც ერთნაირად სძულთ პირის პარსვის მომაბეზრებელი პროცედურა.

ახალი ტიპის ბოთლის საცობის გამაგრებელი, 40 წლის საგაჭრო აგენტი კინგ კემ ჟილეტი რიგითი აგენტობისთვის არ იყო დაბადებული. ის რამე მარტვისა და იმპედროულად, არაჩვეულებრივის გამოგონებაზე ოცნებობდა.



გაიზარდა ვისკონსინის შტატის პროვინციულ ქალაქში. მშვიდი ცხოვრება და ზამთრის გრძელი საღამოები მას არ შეეფერებოდა, ისევე როგორც მამამისს, რომლისგანაც კინგმა შემკვიდრებით სხარტი გონება და პატივმოყვარეობა მიიღო. ბიზნესი რომ წამოეწყო და შეიღისთვის განათლება მიეცა, მამამისი ჩიკაგოში გადასახლდა და საკერავი მანქანების სახელოსნო გახსნა. შემოსავალიც კარგი ჰქონდათ, მაგრამ ოცნება ერთ წაშში დაიმსხვრა — 1871 წლის ჩიკაგოს საშინელმა ხანძარმა სახელოსნო ნაცარტუტად აქცია. მამა გალოთდა და კინგი იძულებული გახდა, ოჯახის რჩენაზე ეზრუნა.

სამსახური მაშინვე იშოვა. საყოფაცხოვრებო ნივთებით მოვაჭრე კომპანიაში ენერჯიული ყმაწვილი აგენტად აიყვანა. მან სულ მალე არა მხოლოდ ამერიკის კონტინენტის, არამედ ინგლისის ბაზარიც აითვისა და კომპანიას ევროპაში „ფანჯარა გაუჭრა“. ბავშვობის ოცნება — გამოგონებელი გამხდარიყო, წუთითაც არ ასვენებდა.

1891 წელს მისტერ ჟილეტი ბალტიმორში გადასახლდა და ახალ ფირმაში მოეწყო, რომელიც კორპსადრობებსა და საცობებს აწარმოებდა. აქ გამოგონებულ უილიამ პინტერს დაუმეგობრდა. მეგობრები საინჟინრო სიახლეებს განიხილავდნენ და ფანტაზირობდნენ.

ერთხელ, პეინტერმა უთხრა: „შენ სულ გინდა, რაღაც დიადი გამოიგონო. ჩემი გამოგონების მთელი მშვენიერება კი სწორედ მის უბრალოებასა და სიაფეშია: გახსნი ბოთლს, რამდენჯერმე შეატრიალებ თავსახურს და მორჩა — სანაგვეში. იფიქრე!“

კინგს რჩევა ჭკუაში დაუჯდა.

„როგორ იწრიოვოდა ფოლადი“

20 წლის შემდეგ იმ დილას ასე იხსენებდა: „სარკეში ჩავიხედე, პარსვა დავიწყე და აღმოვაჩინე, რომ ჩემი სამართებული დაბლაგვებულიყო. ან საპარიკმახეროში უნდა წავსულიყავი, ან დანა წამელო გასაღესად. ვიდექი და დაბნეული ვუყურებდი საპარსს. ზუსტად ვიცი, რომ იმ მომენტში დაიბადა ფილეტის საპარსი“.

1890-იანი წლების ამერიკული საპარსი ძველევგვიპტურის ზუსტ ასლს წარმოადგენდა — ტარზე დამაგრებულ ბასრ დანას. ფილეტის იდეით, დანის უკანა ნაწილი საერთოდ არ იყო საჭირო: საკმარისი გაზღდათ ფოლადის წვრილი ზოლის ორივე მხრიდან გაღვსვა და სამაგრთან თარაზულად მორგება. როგორც კი დანა დაბლაგვდებოდა, შეიძლებოდა მისი გადაგდება და ახლის ჩადება. კონსტრუქცია მარტივი იყო, თუმცა ავტორი სრულიად ვერ ერკვეოდა დანებში, ლითონის თვისებებისა კი საერთოდ არაფერი გაეგებოდა.

„დამთავრდა. უზრუნველი მომავალი გარანტირებული გვაქვს“, — მისწერა მან ცოლს, რომელიც ოპაიოში ნათესაებთან იყო სტუმრად... და როგორც ყოველთვის, იჩქარა. 11 წელიწადი გავიდა, სანამ გამოგონება დამტკიცდებოდა და პირველ მოგებულ დოლარს მოიტანდა. მაგრამ კინგმა მაშინ ეს არ იცოდა. ფრთაშესხმული, უახლოეს საყოფაცხოვრებო მაღაზიაში შევარდა და ფოლადის ლენტის კოჭა, უბრალო ხელსაწყოები და სახაზავი ქაღალდები შეიძინა. ერთ კვირაში სამყაროს ერთჯერადი მოხმარების პირველი საპარსი წარუდგინა. კინგი დარწმუნებული იყო წარმატებაში: კოჭა, რომლისგანაც, მისი გამოთვლით, 500 დანის დამზადება შეიძლებოდა, სულ რაღაც 16 ცენტი ღირდა.

„ტექნიკური გაუნათლებლობის გამო ვერ გავითვალისწინე, რომ გაცილებით მაღალხარისხოვანი და ძვირად ღირებული ფოლადი მჭირდებოდა“, — ამბობდა იგი. კინგი იდეამ ლამის შეშალა, დანების ახალ-ახალ მოდიფიკაციებში რვა წელიწადში 25 ათასი დოლა-



კინგ კემბ ფილეტო

„ფილეტის“ ქარხანაში. 1920-იანი წლების ფოტო





უსაფრთხო საპარსის ერთ-ერთი პირველი რეკლამა

„ვილეტში“ რეკლამას ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ

\$5.00 Everywhere

Note the curve that gives the automatic adjustment

Shaving Comfort

Gillette SAFETY RAZOR

The STANDARD of SAFETY, EASE and COMFORT

A razor is not bought for a day, but for a lifetime of use. Daily comfort should therefore be considered as an economical factor. A comfortable shave is a safe shave, clean, quick, soothing and satisfying.

The GILLETTE lasts a lifetime and is the only razor that insures you a comfortable shave—because it is the simplest and strongest razor made and the only adjustable razor. You simply adjust it for a light or close shave or a tender skin—and shave. No delay, no stropping nor honing and no irritation.

Send postal for our free 1911 Baseball or Golf Booklet

GILLETTE SALES COMPANY
38 West Second Street BOSTON, MASS.

Ask your dealer to show you the GILLETTE Line.
NO STROPPING - NO HONING

76 აბსოლიტა - ნოემბერი 2011

Gillette MADE IN U.S.A.

KNOWN THE WORLD OVER
King C. Gillette

რი დახარჯა. მთელ დღეებს ლაბორატორიაში ატარებდა. ესაჭიროებოდა თხელი, გამძლე და თანაც იაფი ფოლადი. სპეციალისტები არანაირ იმედს არ აძლევდნენ — ასეთი თხელი ფოლადის გამოწრთობა შეუძლებელი იყო. ვილეტს რომ სათანადო ტექნიკური განათლება ჰქონოდა, თავის განზრახვაზე ძალიან ძალე ჩაიქნევდა ხელს.

საქმე „მკვდარი წერტილიდან“ მხოლოდ 1900 წელს დაიძრა, როდესაც მასაჩუსეტისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა უილიამ ნიკერსონმა ფოლადის გამოწრთობის ახალი ტექნოლოგია შეიმუშავა. რამდენიმე თვეში ამოცანა გადაიჭრა. ვილეტმა საბოლოო მოდელი შექმნა.

უბედურება ის იყო, რომ, თითქოს ჯიბრზე, წვერი კვლავ მოდური ხდებოდა. ჯერ იგი ევროპის სამეფო გვარების წარმომადგენლებმა მოუშვეს, შემდეგ ამ ტალღამ ამერიკაშიც გადმონაცვლა. ვილეტმა კომპრომისის მიაგნო — ყველასთვის ცნობილ ვილეტის ულვაშს, რომელიც შემდგომ მისი კომპანიის საფირმო ნიშნად იქცა. თუმცა ინვესტორები მაინც იჭვნეულად აქნევდნენ თავს.

დანის პირას

1901 წელს მეგობრების დახმარებით ვილეტმა 5 ათასი დოლარის შეგროვება შეძლო, გამოგონების დამადასტურებელი პატენტები აიღო და ფირმა გახსნა. პირველი ერთჯერადი საპარსები ბაზარზე 1903 წელს გამოჩნდა. მაშინ სულ 51 ცალი საპარსი და 168 დანის პირი გაიყიდა, შემდეგ წელს — 91 ათასი საპარსი და 123 ათასი დანის პირი. 1908 წელს ბრუნვამ \$13 მლნ-ს მიაღწია.

პირველი მსოფლიო ომის დროს წვერის მოშვება მოდური აღარ იყო. რა თქმა უნდა, საპარსეებზე მოთხოვნილებაც გაიზარდა. დაღვა ვილეტის აღმასვლის ხანა. საომარი ვითარება საყოფაცხოვრებო პირობების გამარტივებას მოითხოვდა. ერთჯერადი საპარსები კი ერთდროულად მრავალ პრობლემას წყვეტდა: იაფი, ადვილად მოსახმარი, არ საჭიროებდა მოვლას და ამასთან, ერთჯერადობის გამო ჰიგიენის დაცვის გარანტიას იძლეოდა. 1917 წლისთვის ფირმა უკვე 1 მლნ საპარსსა და 120 მლნ დანის პირს ჰყიდდა.

ომი დასრულდა, წვერის გაპარსვის ჩვევა კი შემორჩა. ვილეტის კომპანია ყვოდა. მაგრამ 1921 წელს ვილეტის 20-წლიან ექსკლუ-

ზიურ პატენტს ვადა ეწურებოდა. „დაზვერვა“ იტყობინებოდა, რომ რამდენიმე კომპანია უკვე მზად იყო უფრო იაფფასიანი საპარსების გამოსაშვებად. კომპანიის ბედი ბეწვზე ეკიდა. პატენტის ვადის ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე, გამომგონებელმა საპარსის ახალი მოდელი შეიმუშავა, რომლის ღირებულება \$1-ს შეადგენდა (მანამდე საპარსები \$5 ღირდა). იმ წელს კომპანიის შემოსავალმა რეკორდები დაამყარა.

დიდებული ჯგირილმანი

დაარსების შემდეგ კომპანია Gillette ძალიან გაფართოვდა. ძველი საპარსებიც მრავალჯერ შეიცვალა და დაიხვეწა. ცნობილი პლასტმასის კასეტები, რომლებშიც დანის პირებია „ჩაკერებული“, გამომგონებლის სიკვდილის შემდეგ დაამზადეს. რაც შეეხება თვით კინგ ჟილეტს, 77 წლის ასაკში, გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე მოკრძალებულად შენიშნავდა: „ყველა დიდ გამომგონებელთან შორის ერთჯერადი საპარსი ყველაზე დიდებული წვრილმანია“. ჟილეტს მართლაც ჰქონდა იმ ქვეყნად მშვიდად წასვლის უფლება: თავის ოჯახს მან აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი



კინგ კემპ ჟილეტი შეილთან ერთად, 1930 წ.

წარმოება და უზარმაზარი ქონება დაუტოვა... 2005 წელს „ჟილეტი“ გიგანტმა „პროქტერ & გემბლმა“ იყიდა \$56 მილიარდად. ამ შენაძენმა „პ&გ“ მსოფლიოში უმსხვილეს სამომხმარებლო პროდუქტების მწარმოებელ კომპანიად აქცია.

მოამზადა ნატა ენუქიძემ

*„ჟილეტის“ ქარხანა
ლონდონში*





მერაბ კოსტორაშვილი:

განა შეიძლება წარსულის გარეშე არსებობდე?

არაერთი ისტორიული ფილმის რეჟისორია. ამბობს, რომ რაც თავი ახსოვს, ისტორია ყოველთვის უყვარდა, სკოლაშიც გამორჩეული ინტერესით ისტორიას სწავლობდა. წლების განმავლობაში ცოდნა უფრო გაიღრმავა. ფილმებზე მუშაობისას უამრავ საყურადღებო და შთამბეჭდავ მასალას გაეცნო. მიაჩნია, რომ „ქვეყნის მომავალი ფესვებზე დაყრდნობით უნდა განვითარდეს. განა შეიძლება წარსულის გარეშე არსებობდე?“ წუხს იმის გამო, რომ საქართველოს ისტორიას ახალგაზრდები (და არა მხოლოდ) ისე არ იცნობენ, როგორც საჭიროა. მისი აზრით, რაც მეტი ისტორიული ჟურნალი გამოვა და სტატია დაიწერება, ეს მით უფრო ახლოს გავგვაცნობს ჩვენზე წარსულს. ამჯერად რუბრიკის სტუმარი რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი გახლავთ.

— 1895 კინემატოგრაფიის დაბადების წელია. რომელ ქალაქში შედგა პირველი კინოსეანსი?

— პარიზში. ძმები ლიუმიერების მიერ გადაღებული ფილმი აჩვენეს.

— და მყურებელი დარბაზიდან გაიქცა.

— ეკრანზე სადგურში მატარებლის შესვლას უჩვენებდნენ. შეეშინდათ.

— ეს ციხე-ქალაქი ვახტანგ გორგასალმა თავის აღმზრდელს, საურმაგ სპასპეტის ძეს — არტავაზს ააშენებინა. მოგვიანებით კი აშოტ I-მა კურაპალატმა ტაო-კლარჯეთის სამთავროს დედაქალაქად გადააქცია. დაასახელეთ რომელ ციხე-ქალაქზეა ლაპარაკი?

— არტანუჯზე.

— ამ მეფემ თავის ერთგულ მსახურებს ასე მიმართა: „ჩემი სიკვდილით ნუ მოიშლებით და მტრის განადგურებამდე ნურც ჩემი სიკვდილის ამბავს გაამხელთ, ხოლო რა ყიზილბაშნი გალახოთ და გააქციოთ, მას უკან მცხეთას წამასვენეთ და იქაურ მიწას მიმბარეთ. ჩემს გლოვა-ტირილს დაქსენით და ქვეყნის შენახვა-გადარჩენაზე იზრუნეთ“. ეს მეფე 1556 წელს სოფელ გარისთან ბრძოლაში დაიღუპა. დაასახელეთ იგი.

— ქართლის მეფე იყო?

— დიახ.

— ლუარსაბ I.

— ერისკაცობაში ის ესტატე კერესელიძე გახლდათ, რაჭიდან, სოფელ სადმელიდან. ქართული საეკლესიო საგალობლების შემკრები და გამომცემელი იყო. 1923 წელს, როცა მთავრობამ გელათის მონასტერი გააუქმა, მან ერთი ურეში ხელნაწერები ქუთაისიდან მცხეთაში მარტომდარტომ გადაიტანა და სვეტიცხოვლის ტაძარში გადაამალა. 1944 წლის ზამთარში გარდაიცვალა. მოგვიანებით ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. რომელ წმინდანზეა ლაპარაკი?

— ვერ გიპასუხებთ.

— მიგანიშნებთ, ქართულმა ეკლესიამ მისი ხსენების დღედ 2 თებერვალი დააწესა.

— (ფიქრობს) აჯობებს, თავად მითხრათ.

— ექვთიმე აღმსარებელი. საფრანგეთის ამ პრეზიდენტს თავს ოცდაათჯერ დაეხსენა, მაგრამ ტერორისტებს ყოველ ჯერზე ხელი მოეცარათ.

— შარლ დე გოლი.

— 1138 წელს დემეტრე I-მა განდგომილი განძის ამირა დაიმორჩილა. რა მოიმოქმედა მეფემ გამარჯვების აღსანიშნავად?

— ქალაქს რკინის კარები ჩამოსხნა და საქართველოში ჩამოიტანა.

— რომელ მონასტერს შესწირა იგი?

— გელათს, სწორად მასსოვს?

— დიახ. რომელ საუკუნეში დაიყვანენ ქრისტიანები მარლთმადიდებლებად და კათოლიკეებად?

— XI საუკუნეში.

— XIX საუკუნის I ნახევარში ქართველმა საზოგადოებამ გრაფ პასკევიჩს სთხოვა, დაცლილ სამცხე-ჯავახეთში დასაფლავებული ქართველები გადაესახლებინა, რაზეც მან სასტიკი უარი განაცხადა. რა მოიმოქმედა გრაფმა?

— ამ ტერიტორიაზე სომხები შეიყვანა.

— დიახ, 30000 სომეხი ჩაასახლა. 1877 წელს გამოვიდა ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი. ის მალე ყოველთვიურ შურნალად გადაკეთდა, ხოლო 1888 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად. ის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გეზს აძლევდა საზოგადოების პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებას. ვინ იყო მისი დამაარსებელი?

— ილია ჭავჭავაძე.

— 1608 წლიდან გიორგი სააკაძე თბილისის მოურავია, შემდეგ — დავლეთისა და... კიდევ რომელი რეგიონის მოურავი გახდა იგი?

— ცხინვალის.

— თქვენ მიხეილ ჭიაურელის „გიორგი სააკაძეში“ დიდი მოურავის შვილის, პატარა პატას როლი ითამაშეთ.

— ის პერიოდი კარგად მახსენდება. ექვსი წლის ბიჭი ცხენზე შემსვეს, ხმალი მომცეს, ფარიკაობას მასწავლიდნენ. ეს ყველაფერი ძალიან მიხაროდა მაგრამ როცა მითხრეს — პატას თავი უნდა მოეჭრაო, შემეშინდა. რატომ-მეთქი? — არ იცი, შაჰ-აბასმა პატას თავი რომ მოჭრაო? — შემომბრუნეს კითხვა. გადაღებები ხან კარგად განათებული ადგილებში იყო, ხან — სიბნელეში. ყოველთვის, როცა ბნელოდა, ვფიქრობდი, ახლა შაჰ-აბასი მოვა და თავს მომაჭრის-მეთქი. ამ განცდების შესახებ არავის ვუყვებოდი... ერთ დღეს მიხეილ ჭიაურელმა მითხრა, — დღეს შენთან მუშაობას ვამთავრებ, პატა სააკაძე გაიზარდა და შენ ნაცვლად გაიოზ შარაშიძეს გადავიღებთო. გამიხარდა, რომ გადავრჩი და ჩემს ნაცვლად თავს გაიოზს მოჭრიდნენ.

— „მატიანე ქართლისა“ ამ მეფის სიმამაცით აღფრთოვანებული აღნიშნავს: „რამეთუ ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ, ვითარცა

უხორცო“. რომელ მეფეზეა ლაპარაკი? მიგანიშნებთ, ის 12 წლის იყო, როცა გაძევდა და 25 წლისა გარდაიცვალა.

— მეფე გიორგი I.

— ნათლობის გარდა კიდევ როდის სცხებენ მირონს ადამიანს?

— მეფედ კურთხევისას.

— ეს პოლიტიკური ლიდერი პროფესიით იურისტი იყო. 1869 წელს დაიბადა. მთელი ცხოვრება აპარტიდის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია. თავისი ქვეყნის ლიდერი გახდა, მაგრამ შოვინისტებმა მოკლეს.

— მაპათმა განდი.

— როგორ ისჯებოდა სპარტაში აღმზრდელის მიერ დასმულ შეკითხვაზე დაუფიქრებელი პასუხის გაცემისთვის აღსაზრდელი?

— მგონი რაღაც უცნაური წესი ჰქონდათ, ზუსტად ვეღარ ვიხსენებ.

— აღმზრდელი ცერა თითზე კბენდა. ამ ქართველი პოეტის დედა გრიგოლ ორბელიანის და და ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო. რომელ პოეტზეა ლაპარაკი?

— ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

— ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილ ამ შეჯიბრებას 41 კაცის სიცოცხლე შეეწირა. გამარჯვებულმა პრომაქოსმა, რომელსაც მეფემ გვირგვინი საკუთარი ხელით დაადგა, სამ დღეზე მეტი ვეღარ იცოცხლა. რაში მოაწყო შეჯიბრი ალექსანდრე მაკედონელმა?

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ.

— ღვინის სმაში. რომის რომელმა იმპერატორმა უბოძა საკუთარ ცხენს კონსულობა?

— კალიგულამ.

— რომელი ცხოველი და რატომ ჩამოახრჩო ივანე მრისხანემ?

— სპილო. რადგან იმპერატორის წინაშე მუხლი არ მოიდრიკა.

— თუ გახსოვთ, რა ვითარებაში გარდაიცვალა ივანე მრისხანე?

— არა.

— თამაშის...

— (მაწვევით) გამახსენდა, ჭადრაკის თამაშის დროს გარდაიცვალა.

— რამ შეუშალა ხელი ბარსელონაში 1940 წელს ოლიმპიური თამაშების ჩატარებას?

— II მსოფლიო ომმა.

— ვისი აფორიზმია: „გველსა ზერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“?

— შოთა რუსთაველის.

— „მარტო შენი მტერი დაგიმაღავს, შენს სახეზე რომ ურიგობა ნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგადაშიგ ლაქებიანიცა? რაც მქონდა ის მოგართვი, როგორც შემძლო ისე დაგეხმარე. თუ მაინც და მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენი წყრომის არ მეშინიან“. რომელი ნაწარმოებით მოგვეტანა „სარკე“ ილია ჭავჭავაძემ?


— „კაცია ადამიანი?!“

— 1986 წლამდე აფრიკის რომელი სახელმწიფო ატარებდა სახელწოდებას — „სპილოს ძვლის ნაპირი“

— არ მახსოვს.

— კოტ დ'იუვარი. რომელ მმართველს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „თუ მე ამ ერის წინამძღოლად ამირჩევთ, ახალ, საყოველთაო წესრიგს დავამყარებ, რომელიც ათასწლეულებს გაუძლებს“.

— რომელი პერიოდის მმართველია?



— საგარაუდო პასუხებს გეტყვი: ადოლფ ჰიტლერს, იულიუს კეისარს, სტალინს თუ ნაპოლეონს?

— ამ სიტყვების ავტორი ჰიტლერი უფრო იქნება. არა?

— დიახ. რა ფერის პერანგები ეცვათ ჯუზეპე გარბალდის მიმდევრებს?

— ეს ნამდვილად არ მახსოვს.

— წითელი. „შენ — / სისხლო ჩემო — სად არ დაღვრილო... / შენ — / სად არ გხვრებდა შავი ყორანი... / ვინ გაგაკვირვოს, / რამ გაგაკვირვოს, — / ნადიდგორალი, / ნაშამქორალი“. რომელი პოეტის ლექსიდანაა ეს სტრიქონები?

— მუხრან მაჭავარიანის.

— დღეს ეს სიტყვა ვერობის ზოგიერთ ქვეყანაში პოლიციელთა მეტსახელია, ხოლო წარსულში ის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს მეფეთა ტიტული იყო.

— (პაუზის შემდეგ) ფარაონი. არა?

— გამოიცანით. ბიბლიური თქმულების თანახმად, რამდენი დღე და ღამის გადაუღებელმა წვიმამ გამოიწვია მსოფლიო წარღვნა?

— ორმოცის.

— ეს მოგზაური 1643 წელს პარიზში დაიბადა. ის ავტორია თხზულებისა „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. თხზულების საკმაოდ დიდი ნაწილი საქართველოსაც შეეხება. წერილობით წყაროებში ქალაქი ზუგდიდი პირველად ამ ნაწარმოებშია მოხსენიებული. დაასახელეთ ეს მოგზაური.

— შარდენი.

— ისინი რუსი თავად-აზნაური რევოლუციონერები იყვნენ. ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1825 წლის დეკემბერში აჯანყება მოაწვევეს. რა სახელით შემორჩნენ ისტორიას?

— დეკაბრისტების.

— დაასრულეთ გოეთეს ცნობილი გამონათქვამი: „აღამიანები ზშირად კარგავენ დროს უსარგებლო ამბების კითხვაში. კაცმა ის უნდა იკითხოს, რაც...

— ... საინტერესოა.

— „... რაც აღტაცების ღირსია“.

თამარ კვინიკაძე



ოჯახური ცხოვრება

74

ბერძენისთვის ოჯახი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მოქალაქის სიმდიდრე, საზოგადოებრივი მდგომარეობა და საქმიანობა დამოკიდებული იყო ოჯახის სიმტკიცეზე. ზოგიერთი ოჯახი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში და ჰყავდათ გავლენიანი მეგობრები, ასევე, მტრებიც.


76

ოჯახის მეთაურად მამაკაცი ითვლებოდა. მას ოჯახის ყველა წევრზე: ცოლზე, შვილებსა და მონებზე დიდი გავლენა ჰქონდა. სარჩოს მოპოვებაში მთელი ოჯახი მონაწილეობდა. მშობლები შვილებს იმ უნარ-ჩვევებს უვითარებდნენ, რაც მათ მომავალში გამოადგებოდათ.

საწოლი ოთახები
ზედა სართულზე
ჰქონდა განთავსებული

თიხის კრამიტი

ტალახის აგურით ნაშენი
მობათქაშებული კედელი



მონები სამზარეულოში
საქმიანობდნენ

მლოცველები ყოველ დილას საკურთხეველთან იყრიდნენ თავს

75

ყველა ბერძენი მშობელი ვაჟის დაბადებას ნატრობდა. ვაჟები გვარს განაგრძობდნენ, მათ უნდა დაეცვათ ოჯახის საკუთრება, გაძლიერებდნენ მეურნეობასა და სხვა საქმეებს. გოგონებს ხელსაქმეს, კერძების მომზადებასა და მონების მეთვალყურეობას ასწავლიდნენ, მერე კი ათხოვებდნენ.

▲ ბერძნული სახლები ისე იყო დაპროექტებული, რომ ოჯახსა და მის ქონებას საიმედოდ იცავდა. მათ ჰქონდათ მაღალი, უფანჯრო კედლები და ყველას თვალთაგან დაფარული შიდა ეზოები, სადაც მხოლოდ ოჯახის წევრს ან ძალიან ახლობელს შეეძლო შესვლა.

77

გოგონების უმეტესობას ძალიან ადრე, დაახლოებით 13 წლისას ათხოვებდნენ. სასიძოებს პოლიტიკური ორიენტაციისა და ოჯახიშვილობის მიხედვით მამები არჩევდნენ. ქორწინება ორ ოჯახს აკავშირებდა, ეს ოჯახის ძლიერების გარანტია იყო. სიყვარულს დიდად არ დაგიღვევდნენ, პირიქით, მიაჩნდათ, რომ საშიშიც კი გახლდათ.

▼ ქორწილს შებინდებისას მართავდნენ. პატარძალს სასიძოს სახლში ჩირაღდნებით ხელში მყარიონი მიაცილებდა.



78

ქალებსა და მამაკაცებს არ ჰქონდათ თანაბარი უფლებები. თუმცა ბევრ ქალს თავისი შეხედულება ჰქონდა ქალაქსა და მის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ზოგიერთი განათლებულიც კი იყო და ქალაქის პოლიტიკური ცხოვრებითაც ინტერესდებოდა. კანონის თანახმად, ქალებს საჯაროდ აზრის გამოხატვისა და პოლიტიკაში ჩართვის უფლება არ ჰქონდათ.

79

დაკრძალვის ცერემონია მნიშვნელოვანი ოჯახური მოვლენა იყო. ცოლები და ქალიშვილები დროის უმეტეს ნაწილს შინ ატარებდნენ. თუმცა უფლება ჰქონდათ, დასწრებოდნენ დაკრძალვის ცერემონიას. ამ დროს ლოცულობდნენ და გარდაცვლილის სულის საოხად მსხვერპლს სწირავდნენ.

სამოსი და მოდა

80

ბერძნების სამოსს შეადგენდა სხეულზე შემოხვეული გრძელი და ნაოჭასხმული ქსოვილი. ზაფხულის ცხელ თვეებში ასეთი სამოსი მეტად კომფორტული იყო. ზამთარში კი სიცივისგან თავდასაცავად ქალიც და მამაკაციც ქიტონებს ზემოთ შალის სწორკუთხა ქსოვილს — ჰიმატონს (ლაბადა, მანტია) შემოიცვამდნენ ხოლმე.



► მამაკაცების ტანსაცმელი უფრო თავისუფლად მოძრაობისთვის იყო შექმნილი. ახალგაზრდები მოკლე ტუნუკას ატარებდნენ, რათა გადავილებოდით მუშაობა და ბრძოლა, ხანში შესულები კი უფრო გრძელ სამოსს იცვამდნენ.

81

თითოეული ქსოვილი, რომლითაც სამოსი უნდა დაემზადებინათ, ისეთი სიგრძისა და სიგანის უნდა ყოფილიყო, რომ მის ჩამცმელს მორგებოდა. ყველა სახის ქსოვილს ქალები ქსოვდნენ.

ზაფხულობით გრილ ტილოს ამჯობინებდნენ, ზამთარში კი შალს. მდიდრები ინდოეთიდან ჩამოტანილი აბრეშუმის ლამაზ სამოსს ატარებდნენ.



► ქალების ტანსაცმელი უფრო სადა იყო — მათ სხეულს თავიდან ბოლომდე ნაოჭასხმული ქსოვილი ფარავდა. დარბაისეული ქალბატონები შინიდან გასვლისას თავსა და სახეს პირბადით იფარავდნენ.



მორაგებად ბერძნული ქიტონი

დაგჭირდება:

- ქსოვილი, რომელიც გაშლილ მკლავებზე ორჯერ მეტი სიგრძისა და შენი სიმაღლის ნახევარი იქნება, ქინძისთაყები, ქამარი ან თოკი.
- 1. ქსოვილი ორად გაკვეცი.
- 2. ქსოვილის ორივე კიდე ქინძისთაყით დაამაგრე ისე, რომ მათ შორის 30 სმ თავისუფალი ადგილი დარჩეს.
- 3. ჩამოიცვი ქსოვილი ისე, რომ მხრებზე მოხვდეს ქინძისთაყებით დაამაგრებული ადგილები.
- 4. ქამარი ან თოკი წელზე შემოირტყი და ქსოვილი მუხლებამდე დაუშვი.

82

ბერძენი მამაკაცები და ქალები საგულდაგულოდ უვლიდნენ სახის კანს. კანი უფრო გლუვი და ნაზი რომ ჰქონოდათ, სახესა და მთელ სხეულს ზეითუნის ზეთით იხეღდნენ. მოდური მკრთალი სახის ფერი რომ შეენარჩუნებინათ, მდიდარი ქალბატონები ქოლგებით დადიოდნენ და სახეს იპუდრავდნენ. ნაშვეურს ერიდებოდნენ, რათა უბრალო ხალხს — მზეზე მუშაობით გარუჯულ მუშებს, მონებსა და მამაკაცებს არ დამსგავსებოდნენ.



ძვ.წ. 500 წ.



ძვ.წ. 500-300 წწ.



83

თმის დაკულულება მეტად მოდურ ვარცხნილობად ითვლებოდა. ქალებს კულულები მხრებზე ჰქონდათ ჩამოშლილი, შუბლზე კი ვერცხლის ან ოქროს სალტეს ჩამოიცვამდნენ ხოლმე. ზოგჯერ თმას კისერთან ან კეფაზე კონუსისებურად იხვევდნენ. ვარცხნილობას ლენტებითა და სარჭებით იმაგრებდნენ და თავსამკაულებით იკობდნენ. მამაკაცები, გარდა სპარტელი მეომრებისა, მოკლედ შეკრეჭილ დახვეულ თმას ატარებდნენ. მონებს, ქალი იქნებოდა თუ მამაკაცი, თმა მოკლედ ჰქონდათ შეკრეჭილი და ეს სამარცხვინოდ ითვლებოდა.



ძვ.წ. 300 წლის შემდეგ



85

ბერძენები დიდ ყურადღებას აქცევდნენ პირად ჰიგიენას. ბევრ სახლში აბანო არ ჰქონდათ და ჩანჩქერქვეშ, მდინარეებსა ან ნაკადულებში ბანაობდნენ. წყლით გაუღენთილ დიდ ღრუბელს ხელს მოუჭერდნენ და გამოჟონილ წყალს თავზე იხსამდნენ. ღრუბელი შხაპის მაგივრობას სწევდა.

84

ბერძენების აზრით, ადამიანს ლამაზი, მოხდენილი და ჯანმრთელი სხეული უნდა ჰქონოდა. მამაკაცები ქალების სილამაზესა და გრაციოზულობას ხოტბას ასხამდნენ, მშვენიერ სქესს კი ძლიერი, დაკუნთული მამაკაცები მოსწონდა. სპორტულ შეჯიბრებებში მამაკაცები შიშვლები ასპარეზობდნენ. ათლეტურ მამაკაცებს სკულპტორები აქანდაკებდნენ ან მხატვრები ხატავდნენ.



◀ ამ ბერძნულ ლარნაკზე გამოსახული არიან ათლეტები და მათი მწვრთნელი (მარცხნივ).

ღმერთები და ქალღმერთები

86

ბერძნების წარმოდგენით, სამყარო აღსავსე იყო საფრთხეებითა და უბედურებებით, რომელთა შეცნობა ან თავიდან აცილება არ შეეძლოთ. თუმცა სამყაროში ბევრი კარგიც არსებობდა: სიყვარული, სიხარული, სილამაზე, რომელიც მართლაც დიდებული და იღუმალებით მოცული იყო. ბერძნებს სიხარულიცა და მწუხარებაც ღმერთებისა და ქალღმერთების წყალობად მიაჩნდათ. მათი რწმენით, ისინი განაგებდნენ ადამიანთა ცხოვრებასა და სამყაროს.



► ქალღმერთი აფროდიტე ძვირფასი თეთრი მარმარილოთი იყო გამოქანდაკებული და სიყვარულის ქალღმერთის ღვთაებრივ სილამაზეს განადიდებდა. სამწუხაროდ, საუკუნეების განმავლობაში ის ძალიან დაზიანდა.

► პოსეიდონი ზღვისა და ქარიშხლების ღმერთი იყო. დამანგრეველი მიწისძვრა არ ასცდებოდათ იმ ქალაქებსა და ხალხს, რომლებიც პოსეიდონს განარისხებდნენ.



87

ღმერთები და ღმერთქალები ზეადამიანებად მიაჩნდათ. თუმცა, მოკვდავთა მსგავსად, ძლიერ და ულამაზეს ღმერთებსაც ჰქონდათ ნაკლი: აფროდიტე უზრუნველი იყო, ჰერა — ეჭვიანი, აპოლონი და მისი და არტემიდე — სასტიკნი, არესი კი მრისხანე.



▲ ქალისთავიანმა და თევზისბოლოიანმა არსებებმა — სირინოზებმა ოდისევსისა და მისი თანამებრძოლების მიტყუება სცადეს. სირინოზები მომაჯადოებელი სიმღერით ზიბლავდნენ ნაოსნებს, ზღვის სასიფათო ადგილებში შეიტყუებდნენ და გემებთან ერთად ღუპავდნენ.

90

ბერძნებს სჯეროდათ, რომ არსებობდნენ ავი სულები და ურჩხულები. მათ შორის, მეღუზა გორგონას არსებობის, რომლის მომწუსხავი მზერა მამაკაცებს ქვად აქცევდა; სირინოზები ტკბილხმოვანი სიმღერებით ზიბლავდნენ ნაოსნებს და ზოცავდნენ. ბერძნებს ძალიან ეშინოდათ წყევლის, ჯადოქრობის და ცდილობდნენ, სხვადასხვა საშუალებით დაეცვათ თავი. მაგალითად, გემის კიჩოზე მაგიურ თვალს ხატავდნენ და სჯეროდათ, რომ გემს ბოროტი ძალისგან დაიცავდნენ.



88

ადამიანებს ოდითგანვე აინტერესებდათ, რას უქადდათ მომავალი. ძველ ბერძნებს სჯეროდათ, რომ ორაკულებს შეეძლოთ მერმისის განჭვრეტა. საყოველთაოდ იყვნენ ცნობილი დელფოს ორაკულები. აქ იყო აპოლონის სამისნო, სადაც ქურუმები ხალხის შეკითხვებს პასუხობდნენ. ქალაქ დოდონეში ორაკული საკრალური ხის ფოთლების შრიალის მიხედვით ამცნობდა ხალხს ღმერთების ნებას.

► მოკვდავი ჰერაკლე არაერთი გმირობის წყალობით ღმერთი გახდა. ის ურჩხულებსა და უზარმაზარ ცხოველებს ამარცხებდა. ეს ქანდაკება წარმოგვიდგენს ჰერაკლეს, რომელიც კლაუს კენტავრ ქირონს — ცხენისტანიან და ადამიანისთავიან არსებას.

89

პოეტები და დრამატურგები ღმერთებზე ლეგენდებსა და მითებს ჰყვებოდნენ. ზოგიერთში აღწერილი იყო, როგორ იქნევედა მუშტებს მესთამტყორცნელი ზევსი მრისხანებისას და ამით ჰექა-ქუხილს იწვევდა. სხვა ლეგენდებსა და მითებში კი ნაამბობი იყო ღმერთებისა და ადამიანების ცხოვრების, სიყვარულისა და სისასტიკის, სიხარბისა და დაუნდობლობის ამბავი.




ოლიმპიური თამაშები

91

ოლიმპიური თამაშები ზევსის პატეოსაცემად დაწესდა. საუკუნეთა განმავლობაში სპორტული თამაშები უდიდესი მოვლენა იყო ბერძნულ სამყაროში. ოლიმპოს მთაზე უზარმაზარი კომპლექსი აშენდა ტაძრით, სარბენი ბილიკებით, სტუმრებისთვის განკუთვნილი სადგომებითა და ოთახებით. კომპლექსი 40000 მაყურებელს იტევდა. უზარმაზარ მინდორზე იდგა უამრავი ფარული, სადაც სასმელ-საჭმელი იყიდებოდა.

► გამარჯვება! ბერძნებს სჯეროდათ, რომ გამარჯვებულები ღმერთების რჩეულნი იყვნენ. პირველი ოლიმპიური თამაშები ძვ.წ. 776 წელს გაიმართა, თუმცა სპორტული შეჯიბრებები გაცილებით ადრეც ეწყობოდა.



92

ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მთელი საბერძნეთიდან ჩამოდიოდნენ ძალოსნები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. ყველა მათგანი ოლიმპიადაზე დაწესებულ მკაცრ წესებს უნდა დამორჩილებოდა — ზევსის პატეოსაცემის ნიშნად დაუშვებელი იყო მონაწილეთა შორის ჩხუბი. იკრძალებოდა საასპარეზო ბილიკების მახლობლად იარაღისა და საჭურავლის შენახვაც. თავის მხრივ, მონაწილენიც ითხოვდნენ უსაფრთხოების გარანტიას — ის, ვინც გაბედავდა და თავს დაესხმებოდა ოლიმპიელებს, სასტიკად ისჯებოდა.

უპასუხე კითხვებს

1. როდის გაიმართა პირველი ოლიმპიური თამაშები?
2. შეეძლოთ თუ არა ქალებს ოლიმპიურ თამაშებზე დასწრება?
3. რით აჯილდოვდნენ გამარჯვებულებს?

პასუხებს: 1. ძვ.წ. 776 წელს, ოლუს-მარონიის მინდორზე.
2. არა. ქალებს ოლიმპიურ თამაშებზე დასწრება შეეძლო.
3. ოქროს ვეფხვით.



93

ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე პოპულარული სირბილი, სიგრძეზე ზტომა, ჭიდაობა და კრივი იყო. მაყურებელი ინტერესით ადევნებდა თვალს ეტლების რბოლას, შუბის ტყორცნასა და მძლეოსანთა შეჯიბრებას. ყველაზე პრესტიჟულ სახეობად ითვლებოდა 200 მეტრ დისტანციაზე სირბილი. იმართებოდა შეჯიბრება მუშტი-კრივიშიც, რომელსაც პანკრატიონი ეწოდებოდა.

▲ მოკრივეებს ხელთათმანი არ ეკეთათ, მათ მხოლოდ ხელის მტევნებს უხვევდნენ.



94

ბევრი შეჯიბრება ისეთი იარაღებით იმართებოდა, რომელთაც ბრძოლებში იყენებდნენ. ერთ-ერთი ურთულესი სახეობა იყო ე.წ. პოპლიტების სირბილი — მუხარადით, საჭურველითა და ფარით. ოლიმპიური თამაშები, ძირითადად, მამაკაცებისთვის იმართებოდა, ქალებისთვის ცალკე აწყობდნენ.



▲ ბადროს ტყორცნა ძალ-ღონის გამოცდის საუკეთესო საშუალება იყო.



▲ 2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მოცურავე მაიკლ ფელპსმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. თანამედროვე ოლიმპიური თამაშები ანტიკური ხანის თამაშების მიხედვით იმართება და 1896 წლიდან მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სპორტულ შეჯიბრებად ითვლება.

95

ათლეტებს, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებში იმარჯვებდნენ, ისეთივე პატივს მიაგებდნენ, როგორსაც გმირებს. მათ თავს დაფინის გვირგვინით უმკობდნენ და ზეითუნის ზეთით, ძვირფასი სამოსითა და კერამიკული ჭურჭლით ასაჩუქრებდნენ. პოეტები მათ განსაზღვრულად სიმღერებს თხზავდნენ, მშობლიური ქალაქ-სახელმწიფოები კი სიცოცხლის ბოლომდე უფასო კვებითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფდნენ.

► გამარჯვებულებს დაფინის გვირგვინებს იმის ნიშნად ადგამდნენ თავზე, რომ ისინი ღმერთებოვით ძლიერი იყვნენ.





გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და პირველი კანცლერი

| | | | | | | | |
|------------------------------|---|--|--|---|---|--|---------------------------------------|
| | | | | 1 ნიკარაგუის პრეზიდენტი | 2 კედლის სანგრევი ძე, საბრძოლო იარაღი | 3 მაროლმსაგუ- ლების ქალღმერთი | 4 უღანო აზიაში |
| | | | | | | | |
| | | | | 5 ისტორიული მხარე იმერეთში | | | |
| | | | | | | | |
| | | | | 6 საღუმლო პოლიციის ორგანო შეფის რუსეთში | | | |
| 7 პარიზის უნევერსიტეტი | | | | | | 8 ვახა ხეთის დედაქალაქი | |
| | 9 გერმანიის სახელმწიფო, იმპერია | | | | | 10 ლენინის ნამდვილი გვარი | |
| | 11 ისტორიული ოლქი ესპანეთში | | 12 ისრის ტანი, კაცის ტანიც ითქმის, ძე | | 13 საქართველოს მეფე დავით VII ... | | |
| | | | | | 14 კიევის ერთ- ერთი დამაარსებელი | | |
| | 15 საბერძნეთის ფელის ერთეული ვერომდე | | | | 16 წრდილიეთატ- ლანტიკური აღიანსი | | |
| | 17 საფრანგეთის ეროვნული გმირი ვანა ... | | | | | 18 მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში | 19 იემენის დედაქალაქი |
| | 20 უძველესი ცივილობაცია ცენტრალურ ამერიკაში | | 21 ესპანეთის მეფე ზუან ... I | | | | |
| | | | | 22 ინდო-პრის ერთ-ერთი მთაგარი ლეთაგბა | | | |
| | 23 მხარე გერმანიაში | | | | | | |
| | | | | | | 24 საქართველოს ეროვნული გმირი | 25 XV საუკუნის რუსი მოგზაური |

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანორდის პასუხები:

1. მედინა; 2. დოეი; 3. ქიზიფი; 4. ნობარქოსი; 5. რეფიმი; 6. სამიტი; 7. ტიტო; 8. ფორუმი; 9. მონეტა;
10. ბენიტო; 11. ლაზიკა; 12. ნოსტე; 13. ვიზა; 14. ერეგანი; 15. თუმი; 16. იმპერია; 17. ასი; 18. პანთონი;
19. გრო; 20. მაგმა; 21. სუნინი; 22. ლიარა; 23. იმი; 24. სრა; 25. ვალია. სურათზე: მარგარეტ ტეტჩერი.